პალიტრა მედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 დეკემბერი **ხუთშაბათი** 2010

№302 (13290) ფასი 60 თეთრი

# გახსოვდეთ საქართველო!




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ჩემპიონებო, რატომ?

10

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სავარაუდო ტრანსფერები

# სად მიდიხართ, ბიჭებო?

## ხოჭოლავა და ყაზაიშვილი ვიტესში



ვაკო ყაზაიშვილი

რუსთავის "ოლიმპის" ფეხბურთელებს ჰოლანდიის ერედივიზიონის კლუბში გასასინჯად იწვევენ. ლაპარაკია საფეხბურთო აკადემია "ოლიმპის" აღზრდილებზე, ცენტრალურ მცველ **დათი ხოჭოლავასა** და პლეიმეიკერ **ვაკო ყაზაიშვილზე** – მათ **მერაბ ჟორდანიას** კუთვნილ არნემის "ვიტესში" ახალი წლიდან ელიან.

საქართველოს ასაკობრივი ნაკრების ორივე წევრი 17 წლისაა და წლეულს გიორგი დევდარიანის 17-წლამდელთა გუნდში ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში ითამაშეს. ხოჭოლავამ "ოლიმპის" რიგებში უმაღლესი ლიგის ორი შეხვედრა ჩაატარა, ყაზაიშვილმა კი - შვიდი. ამ უკანასკნელმა ელიტრაუნდის სამ მატჩში სამი გოლიც გაიტანა. ყაზაიშვილი 21 დეკემბერს "ვიტ ჯორჯიას" წინააღმდეგ სუპერთასის მატჩში "ოლიმპის" ძირითად შემადგენლობაში ვიხილეთ და ასაკის კვალობაზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ამ შემთხვევაში ჰოლანდიური კლუბი მოლაპარაკებას აწარმოებს არა რუსთავულ კლუბთან, არამედ საფეხბურთო აკადემია "ოლიმპთან". ორივე ფეხბურთელი აკადემიაში გაიზარდა და ქვეყნის ჩემპიონის რიგებში სკოლასა და კლუბს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე თამაშობს.

როგორც გვითხრეს, ხოჭოლავა და ყაზაიშვილი ჰოლანდიელებს 8 იანვარს ანთალიურ შეკრებაზე გაჰყვებიან. თუმცა დეტალები 29 დეკემბრამდე გაირკვევა. შეგახსენებთ, რომ "ვიტესში" ვარჯიშობს მათი ყოფილი თანაგუნდელი **გიორგი ჭანტურია** და ეროვნული ნაკრების ცენტრალური მცველი **გურამ კაშია**.

კლუბის ყიდვის შემდეგ მერაბ ჟორდანიას "ვიტესში" ლამის ყველა ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელის გასიჯვა შესთავაზეს. შეგახსენებთ, რომ არნემში მიწვევა "ლელოსთან" დაადასტურეს სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" მცველმა **საბა კვირკველიამ**, ტალინის "ფლორას" ნახევარმცველმა **ზაქარია ბეგლარიშვილმა** და დონეცკის "შახტარის" პლეიმეიკერმა **თორნიკე ოქრიაშვილმა**.

სხვათა შორის, "ვიტესში" ჩვენებურთაგან პირველმა ქართველმა ებრაელმა, **ჰაიმ მეგრელიშვილმა** ითამაშა. ჰაიმი არნემულ კლუბში 2007-დან 2009 წლამდე ირიცხებოდა, შემდეგ ჰაიფას "მაკაბიში" დაბრუნდა, წლეულს კი კარიერა კვიპროსში, ლარნაკას ალკი-ში გააგრძელა. იყო დრო, ჰაიმი ისრაელის ნაკრების კანდიდატი იყო, მაგრამ ბოლო ორი წელია, ტრავმებმა შეაწუხა და აღარ იწვევენ. ამჟამად მეგრელიშვილი 28 წლისაა. მისი ძმა **აკივა მეგრელიშვილიც** ფეხბურთელია, მაგრამ ჰაიმის დონეზე არ უთამაშია.

**მერაბ მამულაშვილი**



# ყველაფერი იქაური აქაურობისთვის

## გიორგი ფოფხაძე და არჩევანი

დანიურ „ვიბორგში" კარგა ხანს მოთამაშე მარცხენა მცველმა გიორგი ფოფხაძემ სკანდინავია დატოვა. ჩვენებურმა კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა და ტესტირებაზე მეორე ბუნდესლიგის „ოსნაბრიუკში" გამოჩნდა. თუმცა ეს გუნდიც დატოვა და ახალი კლუბის მოლოდინშია. გიორგის, რომელსაც ეროვნულ გუნდში ექვსი მატჩი აქვს ჩატარებული, ნაკრებში დაბრუნება აქვს მიზნად დასახული. თბილისში მყოფ ფოფხაძეს სატრანსფერო და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ.

**- ჯერ „ვიბორგზე" გკითხავთ. კლუბთან კონტრაქტი რა მიზეზით გაწყვიტეთ?**

- კონტრაქტი მომავალ ზაფხულს მიმთავრდებოდა. სათამაშო პრაქტიკა არ მაკლდა, პრობლემა არ მქონია. „ვიბორგში" ოთხწელიწად-ნახევარი ვითამაშე. ჩემპიონატისა და სათასო თამაშების ჩათვლით, ასზე მეტი შეხვედრა ჩავატარე. ქულები გავანიავეთ და მივხვდი, მთავარ ლიგაში გადასვლის შანსი დავკარგეთ. ჩემი მთავარი მიზანია, ეროვნულ ნაკრებში დავბრუნდე. ამისთვის კი უკეთეს დონეზე თამაშია საჭირო. ამას გარდა, ზაფხულში შვილი შემეძინა და ჩემი ეს ნაბიჯი ოჯახმაც განაპირობა. ერთი სიტყვით, გუნდის მწვრთნელსა და კლუბის ხელმძღვანელობას დაველაპარაკე და ორმხრივი შეთანხმებით კონტრაქტი გავწყვიტეთ. უკვე თავისუფალი აგენტი ვარ, სხვა გუნდში ჩემს გადასვლაზე აგენტი აქტიურად მუშაობს და იმედი მაქვს, მალე უგუნდოდ აღარ ვიქნები.

**- ამის მერე ავსტრიულ „შტურმში" გამოჩნდით...**

- ილია კანდელაკის წასვლის შემდეგ „შტურმმა" საიმედო მარცხენა მცველი ვერ დაიმატა და ბრემენის „ვერდერიდან" ინათხოვრა, თუმცა მისი დათმობა ალბათ მალე მოუწევთ. „შტურმში" რამდენიმე დღე ვივარჯიშე და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ფრანკო ფოდამ ჩემზე წარმოდგენა შეიქმნა. „შტურმი" ჩემს აგენტსაც ესაუბრა და თუ „ვერდერიდან" იჯარით დამატებული მცველი არ შეიმატეს, მაშინ შემეხმიანებიან.

**- თვის დასაწყისში მეორე ბუნდესლიგის „ოსნაბრიუკში" იყავით ტესტირებაზე...**

- ამ გუნდში ჩემი გერმანელი აგენტის მეშვეობით მოვხვდი. რამდენიმე დღე ვივარჯიშე, ტესტირება გავიარე. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კარსტენ ბაუმანმა მითხრა, ჩვენ უფრო ჩამწლელი სტილის მცველი გვინდოდა, შენ კი შემტევი მცველი ხარო. ბაუმანის ეს კომენტარი გერმანულ გაზეთებშიც დაიბეჭდა. თუმცა ამის შემდეგ „ოსნაბრიუკის" სპორტული დირექტორი კონტრაქტის პირობებზე მაინც დამელაპარაკა, ბარემ აქ ხარ და შენი დამატება რომ გადავწყვიტოთ, თანხები გავარკვიოთო. ერთი კვირის წინ აგენტმა დამირეკა და მითხრა, იანვარში „ოსნაბრიუკი" საბოლოო სიტყვას იტყვისო.

**- გავიგეთ, კიდევ ორი ვარიანტი გქონიათ, დანიიდან და შვეიცარიიდან...**

- ჩემი აგენტის თქმით, დანიის მთავარი ლიგის აუტსაიდერი „ოლბორგიცაა" ჩემით დაინტერესებული. ეს გუნდი ბოლო ადგილზეა, დაცვაში უჭირს და სუპერლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. ამ ბოლო დროს შედარებით მცირებიუჯეტიან დანიურ კლუბებს ფინანსური კრიზისი საგრძნობლად დაეტყოთ. თუმცა, თავისუფალი აგენტი ვარ და გუნდები სწორედ ასეთებს ეძებენ.

რაც შეეხება შვეიცარიას, შესაძლოა, ერთი ვარიანტი ამ ქვეყნიდანაც გამომიჩნდეს.

**- ჩვენს ჩემპიონატში დროებით თამაშს გამორიცხავთ?**

- ჩემთვის მთავარია, ნაკრების მწვრთნელთა ინტერესის სფეროში მოვხვდე და ამის გამო რომელიმე ქართულ კლუბში თამაშსაც არ გამოვრიცხავ. ისე კი, ჩვენს გუნდებზე ბევრი უსიამოვნო ამბავი გავიგე. „კოლხეთის", „ბაიას", „სამტრედიას" ფინანსური კრიზისს ვგულისხმობ. ეს კლუბები გაკოტრდნენ და დაშლის პირას არიანო. ასე ჩვენი ფეხბურთი და ეროვნული ჩემპიონატი ვერ განვითარდება. იმედია, სახელმწიფო რამე სახით დაეხმარება ამ კლუბებს. კარგიც მინდა ვთქვა, თბილისის „დინამო" და ქუთაისის „ტორპედო" ფინანსურად მოძლიერდნენ და ამან ძალიან გამახარა. დანიაში ვიყავი და კარგად ვიცი იქაური ჩემპიონატის დონე. ჩვენს ჩემპიონატში იმის ნახევარი თანხა რომ იყოს, რაც დანიაშია, მათზე უკეთესი თუ არა, არანაკლები დონის ჩემპიონატი გვექნებოდა. ქართულ კლუბებს დანიის მწირი ფინანსური შესაძლებლობების მქონე კლუბების ტოლი ბიუჯეტი რომ ჰქონდეთ, ბევრი ქართველი ლეგიონერი დაბრუნდება ეროვნულ ჩემპიონატში და მერე ნახეთ, როგორ აიწევს პირველობის დონე.

**- თქვენი ტრანსფერის საკითხი როდის გადაწყდება?**

- წლის ბოლომდე თუ არა, იანვრის პირველ ნახევარში, წესით, ყველაფერი გარკვეული უნდა იყოს. მანამდე კი ინდივიდუალურად ვემზადები, აგენტის ზარს ველოდები და ყველანაირად ვცდილობ, კონდიციები შევინარჩუნო.

**დავით ცაბაძე**

● ფედერაცია და კლუბები

# დავსხდეთ, დავილაპარაკოთ

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** უმაღლესი ლიგის კლუბების ხელმძღვანელებს სათითაოდ შეხვდა. მოგეხსენებათ, ფედერაციის თავკაცობამ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში კლუბების საწევრო, 40 ათასი ლარი გაანახევრა. სეზონის წინ, თითო-ოროლა კლუბის გარდა, საწევრო თანხა პროფესიული ფეხბურთის ლიგაში სრულად არავის შეუტანია. ფედერაციის თავკაცმა ქართული კლუბების მესვეურებთან ცალ-ცალკე გაარკვია, ვის რა თანხა დარჩა შესატანი.

უმაღლესი ლიგის ყველა კლუბი ვალდებულია, სამი ასაკობრივი გუნდი ჰყავდეს. ჭაბუკთა ამ სამი გუნდისთვის უეფა ეროვნულ ფედერაციებს დახმარების სახით ყოველწლიურად გარკვეულ თანხას უგზავნის. სიჭინავასთან საუბარი სწორედ ამ თანხებს შეეხო.

გარდა ამისა, კლუბების ხელმძღვანელები სიჭინავას იმ საკითხებზე ესაუბრნენ, რომლებშიც ფედერაციის პრეზიდენტის დახმარება სჭირდებათ. მაგალითად, ბოლნისის „სიონმა" ფედერაციის ტექნიკურ სპონსორ JAKO-სთან შეღავათიან ფასში ეკიპირების მიღებისთვის ითხოვა დახმარება. სხვა გუნდებმა სხვა საკითხები წამოსწიეს.



გუშინ კიდევ ერთი შეხვედრა შედგა. მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა კომიტეტის ხელმძღვანელებმა **ლევან ფანიაშვილმა, მერაბ მალალურაძემ** და **ავთო შალამბერიძემ** უმაღლესი და პირველი ლიგების გუნდების მთავარ მწვრთნელებსა და კაპიტნებს სამსაჯო საკითხზე სემინარი ჩაუტარეს. მწვრთნელებმა და კაპიტნებმა ვიდეომასალაც ნახეს და გარკვეულ საკითხებზეც იმსჯელეს.

**დავით ცაბაძე**



გიორგი ყიფიანი

● სიონი

# სიონი ისევ გიორგიანელია

## თანაც იაკოს ფორმაში

ამ სეზონში იყო პერიოდი, როცა ბოლნისის „სიონი" მოწინავე სამეულში იწონებდა თავს, მერე კი პოზიციები დათმო, ხუთეულსაც ჩამოსცდა და ჩემპიონატის პირველი ნახევარი მეშვიდე ადგილზე დაამთავრა. ქვემოქართლელებს თასის გათამაშებაში ხელი მოეცარათ, მეოთხედფინალში ქუთაისის „ტორპედომ" გამოთიშა გათამაშებას.

გუშინ კლუბის ხელმძღვანელებს სპონსორთან, სააქციო საზოგადოება „მადნეულის" თავკაცობასთან ჰქონდა შეხვედრა. სეზონის შეფასება, სავარაუდო ცვლილებები, დავალიანება, მომავალი ბიუჯეტი და გეგმები, - ამაზე იყო ლაპარაკი.

გადაწყდა, რომ ბოლნისელთა კლუბი ფეხბურთელების დავალიანებას, ერთი თვის ხელფასს წლის ბოლომდე გაისტუმრებს. გუნდს ისევ ის სამწვრთნელო შტაბი უხელმძღვანელებს - **გიორგი ყიფიანი, გიორგი ყიფშიძე, დავით ასლანაძე**. სეზონის დასკვნით ეტაპზე კლუბის ბიუჯეტი იგივე იქნება, რაც ჩემპიონატის პირველ ნახევარში.

რაც შეეხება შემადგენლობაში ცვლილებებს, ქუთაისის „ტორპედოში" გადასულ თავდამსხმელ **რევაზ გოცირიძის** გარდა, „სიონი" ჯერ არც ერთ მოთამაშეს არ დაუტოვებია. შაბათს, 25 დეკემბერს გუნდის კრება ჩატარდება და იქ გაირკვევა, ვინ დატოვებს ქვემოქართლელთა გუნდს. ამასთან, ამ უქმეებზე გაირკვევა, ვის გადაბირებას შეეცდებიან ბოლნისელები.

გუნდი მზადებას საქართველოში დაიწყებს, 20 იანვრიდან კი ორკვირიანი უცხოური შეკრებაა ჩაფიქრებული. ჯერჯერობით იალტაში მომზადების ვარიანტი განიხილება, მაგრამ ეს საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.

კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ საქართველოს ნაკრებების მსგავსად, შესაძლოა, ბოლნისელთა გუნდიც ჩვენი ფედერაციის ტექნიკურმა სპონსორმა, გერმანულმა კომპანია JAKO-მ შემოსოს. ამ ფირმასთან თანამშრომლობაში დახმარება „სიონის" მესვეურებმა ფედერაციას სთხოვეს. JAKO-სა და „სიონს" შორის მოლაპარაკება მალე დაიწყება და, წესით, ეს საკითხი იანვარში უნდა გადაწყდეს.

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდივით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკლუბო ამბები



# დომინოს პრინციპი

## როდის ივლის სტადიონზე პანაშვიდზე მეტი ხალხი?

**ზაზა ნიჩუა** სამტრედიელი გულშემატკივარია, ფეხბურთით ცხოვრობს, მისი ფიქრი, ტკივილი და სიხარული "სამტრედია", ქართული ფეხბურთი და ეროვნული ნაკრებია. რედაქციებსა თუ ტელეგადაცემებში მისი ზარები ხშირად ისმის.

სუპერთასის მატჩის შემდეგ ტრადიცია არ დაურღვევია და თამაშისას მეგობრების წრეში ხუმრობით ნათქვამი გაღმოგვცა – სუპერთასს თბილისში რომ დაესწრო, იმდენი ხალხი სამტრედიაში პანაშვიდზე დადისო.

მართალია ეს კაცი, თბილისურ კლუბებს მაყურებელი კატასტროფულად აკლია. უფრო სწორად, თითქმის არ ჰყავს – „დინამოს" კიდევ რა უჭირს, "გლადიატორები" წლების წინ ჩამოყალიბდა და ქართველ ფანებში ერთ-ერთი ყველაზე აქტიურები არიან. „ვიტ ჯორჯიას", "ლოკომოტივს" და "გაგრას" (მაინც თბილისურ კლუბად ითვლება) კი გულშემატკივართა ორგანიზებული ფან-კლუბი, ფაქტობრივად, არც ჰყავთ. ეს იმ დროს, როდესაც საბჭოთა პერიოდში თბილისის "დინამოს" მთელ იმპერიაში ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავდა, დუბლების მატჩებზე კი 35 ათასი კაცი კატასტროფულ მაჩვენებლად ითვლებოდა.

ახლა მცირედი იმედი ჩნდება, რომ ვითარება ოდნავ მაინც შეიცვლება. ყოველ შემთხვევაში, თბილისის "დინამოს" ახალი მეპატრონის, **რომან ფიფიას** დაპირებები, მისი მოსვლის შემდეგ დაწყებული პროცესები ამისკენ გვიბიძგებს და გვინდა ვირწმუნოთ, რომ ეს იმედი ილუზია არ არის.

თბილისის "დინამოში" რომან ფიფია დიდი ამბიციებით გამოჩნდა, რაც ფეხბურთელებთან შეხვედრისას ილაპარაკა:

1 - "დინამომ" საქართველოში ფინანსურად ყველაზე ძლიერი კლუბის მდგომარეობა უნდა დაიბრუნოს.

2 - გუნდის რადიკალური შეცვლა-გაძლიერების მიზნით, ფიფია სოლიდური თანხის დახარჯვას აპირებს.

3 - უახლოეს პერიოდში საქართველოს ცამეტგზის ჩემპიონში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება – ბევრს დაემშვიდობებიან, ბევრს მიიწვევენ.

4 – გარემონტდება დიღმის საწვრთნელი ბაზა, რომელიც ბოლო დროს ფინანსური პრობლემების გამო მნიშვნელოვნად შეილახა.

5 – ამ ყველაფრის შემდეგ, "დინამოში" მისულ ბიზნესმენს სურს, რომ გულშემატკივრისთვის საოცნებო "დინამოს" კონტურები ჩამოაყალიბოს.

რომან ფიფიამ თავი გილიოტინაში გაყო – თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობა მძიმე ჯვარია, რასაც ბოლო წლების ისტორია ადასტურებს – ეს არის უმადური და უმძიმესი საქმე, რადგან გულშემატკივარი მხოლოდ "13 მაისს" ალიარებს, შიგნით არსებული პრობლემები კი არ აინტერესებს. **ბუბა ტყავაძეს** მის ხელთ არსებული ფინანსებით და შემადგენლობით იმავე შედეგებისთვის სხვა კლუბში რომ მიეღწია, ძეგლს დაუდგამდნენ, მაგრამ "დინამოს" მუდმივად ჩემპიონობას სთხოვენ მიუხედავად იმისა, არის თუ არა ფული და არიან თუ არა ფეხბურთელები.

სეზონი დასრულდა და მალე "დინამოს" ახალი ტექნიკური დირექტორი **მურთაზ შელია** და მთავარ მწვრთნელად დაბრუნებული **კახა კაჭარავა** მოსაწვევ ფეხბურთელებზე დაილაპარაკებენ. ერთ-ერთი შესაძლო ნამატი, შესაძლოა, თბილისის "დინამოდან" ცხინვალის "სპარტაკში" გადასული **ვალერი ბოლქვაძე** იყოს. მართალია, ცხინვალელებმა მასთან ახალი ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს, მაგრამ ახალგაზრდა პლეიმეიკერი ბოლქვაძე შელიას ფავორიტია და მის წაყვანას შეეცდება – "სიგნალი" უკვე მოგვივიდა.

და რა შუაშია თავში ნახსენები ვითარების შეცვლის იმედი? ფიფიას "დინამოში" მისვლის შემდეგ რუსთავის "ოლიმპის" მეპატრონე **ჯოზეფ კეიმ** განაცხადა, რომ *"გუნდში ძალიან ბევრი ცვლილება იგეგმება. ქართული ფეხბურთი იქნება აბსოლუტურად განახლებული და ბევრ ადამიანს განაცვიფრებს".*

კეის არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ჩვენი წყაროებით შევიტყვეთ, რომ „ოლიმპის" ახალი მეპატრონე კლუბის დაფინანსების მნიშვნელოვნად გაზრდას აპირებს, რათა რუსთაველმა კლუბმა თბილისის "დინამოს" კონკურენცია გაუწიოს და კვლავ ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. სახელის გადარქმევისგან განსხვავებით, ეს უდავოდ მოსაწონი საქმეა – "ოლიმპის" გაძლიერება მხოლოდ გაგვახარებს და ამას მოვუწონებთ. ამ ყველაფერს ხელს ის უწყობს, რომ ეკონომიკური კრიზისის შემდეგ რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში ვითარება მკვეთრად გამოსწორდა და კლუბისთვის მოიცალეს.

სხვათა შორის, ბევრმა არ იცის, რომ თბილისის "დინამოში" მისვლამდე რომან ფიფიას რუსთავის "ოლიმპის" შეძენა სურდა. რატომ ვერ შეთანხმდა კლუბის ამჟამინდელ მეპატრონეებთან, ჩვენთვის უცნობია. თუმცა ამ ფაქტმა განამტკიცა აზრი, რომ ფიფიას კლუბი "ზემოდან დავალებით" კი არ შეუძენია, არამედ ეს მისი დიდი სურვილი იყო.

შეუძლებელია, "დინამოს" ამბიციამ არ გადაკვეთოს "ზესტაფონისა", რომელიც დღეისთვის ყველაზე მაღალბიუჯეტიანი კლუბია – ილია კოკაია 2010/11 წლების სეზონში 3,9 მილიონი დოლარის დახარჯვას აპირებს. თუმცა კონკურენტის გაძლიერება-გამდიდრება, ვფიქრობთ, "ზესტაფონის" ბიუჯეტზეც აისახება, ისევე, როგორც ქუთაისის "ტორპედოსა" და "ვიტ ჯორჯიასაზე". ეს არის „დომინოს პრინციპი", პროცესი, სადაც ყველა კლუბი ერთმანეთზეა დამოკიდებული და თუ კონკურენტები ერთმანეთს ანგარიშს არ გაუწევენ, ლიდერთა ჯგუფს ავტომატურად ჩამოსცილდებიან.

ეს არ არის ზღაპარი: როდესაც ქართულ საფეხბურთო და მედიასივრცეში **ბადრი პატარკაციშვილი** გამოჩნდა, კონკურენტ კლუბებსა და მედიასაშუალებებშიც (ტელევიზიებში, გაზეთებში) რადიკალურად გაზარდეს ბიუჯეტი. ეს ცხოვრების კანონია, რასაც ფიზიკაში ნიუტონმა "ქმედება იწვევს უკუქმედებას" უწოდა. სამყაროში აბსოლუტურად დამოუკიდებელი ერთეული არ არსებობს, მით უფრო ფეხბურთში, სადაც მძაფრი კონკურენციაა. პატარკაციშვილი "დინამოს" რომ დაეპატრონა, სწორედ მაშინ გამოჩნდა ილია კოკაიას ამბიციური "ზესტაფონი" და ოდესღაც თბილისელთათვის საყვარელი "თბილისი", რომლის ბიუჯეტიც დღევანდელი უმაღლესი ლიგის შვიდი გუნდისთვის სანატრელია.

ასე იყო თავის დროზე უკრაინასა და რუსეთშიც: უკრაინაში მხოლოდ ორი მდიდარი კლუბი იყო, კიევის "დინამო" და დონეცკის "შახტარი", მაგრამ ეს განვითარებისთვის არასაკმარისი იყო. თუმცა შემდეგ ლიდერებმა დაფინანსება გაზარდეს და სხვებმაც ძალაუნებურად მიბაძეს. ასე აიწია საერთო დაფინანსების მაჩვენებელმა. ეს ლოგიკურიც არის - ელიტის მდგომარეობა ბევრს განსაზღვრავს. ლიდერების დაწევის სურვილი ნებისმიერი კლუბის მოტივაციას ზრდის.

იმედია, რომან ფიფიას ქართულ ფეხბურთში მოსვლა ჩვენს იმედებს გაამართლებს და მომავალი წლის სუპერთასს მაინც დაესწრება სამტრედიულ პანაშვიდზე მეტი ადამიანი.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრანსფერები

# ფეხბურთი წიგნია

## თამაზ პერტიას აზრი და მამუკა ლონლაძის აზერბაიჯანი

ლატვიის დასრულებული სეზონის სიურპრიზად აღიარებული "დაუგავას" ქართველი მთავარი მწვრთნელი **თამაზ პერტია** თურქეთში იმყოფებოდა. 35 წლის სპეციალისტი ორი წლის წინ "მილანის" ბაზაზე გადიოდა სტაჟირებას, ახლა კი თანამემამულე **შოთა არველაძეს** "კაისერში" ჩააკითხა და თურქეთში კვირაზე მეტხანს დაჰყო. პერტია ამბობს, რომ სტაჟირებით კმაყოფილი დარჩა.

*"ფეხბურთი წიგნივით არის, ყოველდღე ახალ-ახალი გვერდი უნდა გადაფურცლო და სიახლეს შეიტყობ. თურქეთში ძალიან საინტერესო და სასარგებლო სტაჟირება გამომივიდა, რისთვისაც შოთას დიდ მადლობას ვუხდი. "კაისერის" სავარჯიშო პროცესი ორგანიზებულად ტარდებოდა. ჩემს დროს შოთა საქართველოში საუკეთესო თავდამსხმელი იყო, მან ევროპის სხვადასხვა ლიგებში 400-მდე გოლი გაიტანა და ცდილობს, საკუთარი გამოცდილება ფეხბურთელებს გაუზიაროს. არ დავმალავ, ზოგჯერ ვკამათობდით, მაგრამ საბოლოოდ ბევრი სასარგებლო რჩევა მივიღე... მესამე წელია, მწვრთნელად ვმუშაობ და, ცხადია, ბევრი ახალი გავიგე. ვფიქრობ, თურქეთში მიღებული ცოდნა "დაუგავაში" გამომადგება.*

*"კაისერი" თურქეთში ერთ-ერთი ყველაზე დაბალბიუჯეტიანი კლუბია, მაგრამ ფეხბურთელები ლომებივით იბრძვიან. შედარებით მწირი ფინანსური შესაძლებლობების მიუხედავად, "კაისერი" ჩემპიონატის ლიდერებშია და მედლისთვის ბრძოლის ძალა შესწევს. აქედან მარტივი დასკვნის გამოტანა შეიძლება – სწორი სავარჯიშო პროცესი და გამართული ინფრასტრუქტურა ძვირადღირებულ ფეხბურთელებზე მნიშვნელოვანია.*

*... სავარჯიშო პროცესის გაცნობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩვენი ფეხბურთელების ტექნიკური მომზადებისა და აზროვნების დონე თურქების დონეს ბევრით არ ჩამორჩება. თუმცა საქმისადმი მიდგომაში უდიდესი განსხვავებაა. ჩემი აზრით, "დაუგავას" ხუთი ფეხბურთელი "კაისერში" ითამაშებდა, მაგრამ ძალიან ძნელია მოხვდე კლუბში, სადაც საშუალო წლიური ხელფასი 700-800 ათასი ევროა".*



მამუკა ლონლაძე

პერტიამ არ დამალა, რომ საქართველოს ჩემპიონატის მატჩების ნახვის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელი შეიგულა: *"სულ ხუთ შეხვედრას დავესწარი და ინდივიდუალურად ძლიერი ბევრი ფეხბურთელი ვნახე. საქართველოში პრობლემა გუნდური თამაშია, გამონაკლისი მხოლოდ "ზესტაფონია". რამდენიმე ფეხბურთელი მომეწონა და მათ გასინჯვაზე მივიწვევ. თუკი გუნდურ სქემას მოერგებიან, კონტრაქტებს აუცილებლად გავუფორმებ".*

თუმცა პერტიამ არ დაგვიკონკრეტა, რომელ ფეხბურთელებს გულისხმობდა. ამაშობაში კი ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ "დაუგავას" მისი ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა ლონლაძე** ტოვებს. 24 წლის თავდამსხმელი ლატვიაში წელს გადავიდა, მანამდე კი ქუთაისის "ტორპედოში", ცხინვალის "სპარტაკში", "ბორჯომსა" და უზბეკეთის "შურტანში" თამაშობდა.

ლონლაძემ სიახლე თავად გვითხრა:

- ლატვიის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ რევაზ ძოძუაშვილი დამიკავშირდა, "თურანში" გადასვლა შემომთავაზა და, ალბათ, "დაუგავას" დავტოვებ კიდეც. თუმცა ჯერ საბოლოო პასუხი არ მითქვამს.

**- ლატვიაში დარჩენა რატომ არ გსურს, ვითომ აზერბაიჯანში უკეთესი პირობებია?**

- თამაზ პერტიას მადლიერი ვარ, მან თავის გამოჩენის შანსი მომცა, მაგრამ აზერბაიჯანი ჩემთვის უფრო მისაღებია, სახლთან ახლოს ვიქნები და კლიმატიც უფრო ჩვენებურია. ლატვია მაინც ცივი ქვეყანაა და როდესაც ვარიანტებს ერთმანეთს ადარებ, ყველაფერს ითვალისწინებ. ვერ ვიტყვი, რომ ფინანსურად მოვიგებ. ლატვიაში ცოტა უკეთესი პირველობაა, სოლიდურ კლუბში და ძალიან კარგ მწვრთნელთან ვთამაშობდი, მაგრამ აზერბაიჯანში ბოლო დროს ბევრი ძლიერი ფეხბურთელი ჩადის და უარს მეც არ ვიტყვი. ძოძუაშვილმა "დაუგავას" კაპიტანი იური სკოლოვსკისიც მიიწვია და ალბათ, ორივე გადავალთ. სხვათა შორის, თაუზში უკვე ვიყავი, ერთი კვირა ვივარჯიშე და "თურანის" პრეზიდენტს პირობებზე შევუთანხმდი.

**- "დაუგავასთან" კონტრაქტი დაგისრულდა?**

- ერთი წელი კიდევ დამრჩა, მაგრამ "თურანი" მზადაა გამოგვისყიდოს მეც და სოკოლოვსკისიც. აზერბაიჯანელები კი ერთწლიან კონტრაქტს მთავაზობენ. ძოძუაშვილთან თამაშობს ჭედიაც და, მგონი, თავდასხმაში კარგი დუეტი გამოგვივა.

**- პერტიამ ასე იოლად გაგიშვა?**

- მითხრა, რომ დატოვება სურს, მაგრამ თავად ფეხბურთელი იყო და კარგად გამიგო, აზერბაიჯანში თამაში რატომ მირჩევნია. სხვათა შორის, "თურანი" ბოლო დროს აშკარად გამოცოცხლდა და ახლახან თასის მეოთხედფინალიდან "ყარაბახი" გამოაგდო. ეს იგივეა, "ზესტაფონი" "ბაიამ" ან "სამტრედიამ" რომ დაამარცხოს. ამ დროს ძოძუაშვილის მისვლამდე გუნდს ერთი შეხვედრაც არ ჰქონდა მოგებული... სიმართლე გითხრათ, საქართველოს რომელიმე ლიდერ კლუბში მოხვედრას ვიმედოვნებდი. მეგონა, ლატვიაში არც ისე ურიგო სეზონის შემდეგ რომელიმე კლუბი მიმიწვევდა, რადგან ლატვიის ჩემპიონატისა და თასის თორმეტ შეხვედრაში ცხრა გოლი გავიტანე, მაგრამ ძველებურად უყურადღებოდ ვიგრძენი თავი და სიმართლე გითხრათ, აზერბაიჯანში წასვლა ამიტომ გადავწყვიტე.

**მერაბ მამულაშვილი**

# მნახონ და გადაწყვიტონ

## ჯაბა ლიპარტიას ანთალიაში ელიან

**ჯაბა ლიპარტიას აზერბაიჯანულ „ყარაბახში" შესაძლო გადასვლაზე უკვე ვწერდით. „ვიტ ჯორჯიას" თავდამსხმელი გუშინ სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა ჯერჯერობით ტრანსფერის გარეშე. ამ საკითხზე ჯაბას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.**

- „ყარაბახს" 23 დეკემბერს წლის ბოლო მატჩი აქვს ცხრილის ლიდერ ლენქორანის „ხაზართან" და ამ თამაშისთვის დიდ სამზადისში არიან. ამიტომ გუნდთან ერთად მხოლოდ სამი ვარჯიში ჩავატარე. საქართველოში გამომგზავრებამდე გუნდის თავკაცმა ყურბან ყურბანოვმა მითხრა, მინდა, გუნდთან ერთად ანთალიურ შეკრებაზე წამომყვე და ეს საკითხი იქ ამოვწუროთო.

**- თითქოსდა კონტრაქტზე ტესტირების გარეშე უნდა მოგეწერა ხელი. ამჯერად კი სინჯები გიწევს?**

- არა მგონია, სინჯებამდე მივიდეს საქმე. თბილისში წამოსვლის წინ მწვრთნელმა მითხრა, შენზე კარგი წარმოდგენა მაქვსო. თავისუფალი აგენტი რომ იყო, ან აზერბაიჯანის ჩემპიონატში ლეგიონერებზე ლიმიტი არ იყოს, კონტრაქტს ახლავე გაგიფორმებდიო. ასე რომ, კვლავ „ვიტ ჯორჯიას" ვეკუთვნი და „ყარაბახის" თავკაცმა მთხოვა, კლუბისგან ანთალიაში წაყოლის ნებართვა ამეღო.

**- გიშვებს მერე „ვიტ ჯორჯია"?**

- დიახ, „ყარაბახს" 9 იანვარს ანთალიაში შევუერთდები. როგორც გუნდის მწვრთნელმა მითხრა, ერთ საკონტროლო მატჩს ვითამაშებ და კონტრაქტზე მერე ვილაპარაკოთ.

**- ვეტერინართა გუნდს ეკუთვნი და, ბუნებრივია, აზერბაიჯანელები უფასოდ ვერ წაგიყვანენ. სატრანსფერო თანხაზე კლუბები უკვე შეთანხმდნენ?**

- როგორც ვიცი, ამ საკითხზე შეთანხმება უკვე მიღწეულია.

**- შენ როგორ იცი, გიორგი ადამია ზამთრის შესვენებისას კლუბს ხომ არ შეიცვლის?**

- მას სეზონის ბოლომდე კონტრაქტი აქვს და ჩემპიონატს „ყარაბახში" დაასრულებს. დანარჩენზე კი მერე იფიქრებს.

**დავით ცაბაძე**



ჯაბა ლიპარტია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იყიდეთ, იყიდეთ... ჩქარა!

ჩვენთან საფეხბურთო 2010 წელი კი დასრულდა, მაგრამ ვიდრე ჩემპიონატი განახლდება, ფეხბურთის მოყვარულებს მოსაწყენად ნამდვილად არ ეცლებათ. XXII ჩემპიონატის მეორე ეტაპი სავარაუდოდ, 12 თებერვალს დაიწყება, თუმცა მანამდე არაერთი საინტერესო მოვლენა გველოდება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ერთ თვეში ხომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებია; ამას გარდა ჩვენი უპირველესი გუნდი, ალბათ, კვლავაც შეეცდება შთამბეჭდავი წაუგებელი სერიის გაგრძელებას — 9 თებერვალს საქართველოს ნაკრები ამხანაგურ მატჩში სომხეთის ნაკრებს ნაესპარინგება. არანაკლებ ინტერესს იწვევს... ქართული სატრანსფერო კამპანიაც, წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად საკმაოდ ადრე რომ დაიწყო. თავად განსაჯეთ: გუნდების უმრავლესობამ სეზონი ერთი კვირის წინ დაამთავრა, მაგრამ მწვრთნელებსა თუ კლუბების ხელმძღვანელებს დღესდღეობით ბევრად უფრო დიდი თავსატეხი აქვთ, ვიდრე ... საახალწლო-სადღესასწაულო სამზადისი. ერთი მხრივ, არც გაემტყუნებათ: ჩვენთან ხომ ყველაფელი „დასწრებაზეა"; ჰოდა, თავისი გუნდისთვის სასურველი ფეხბურთელის გადაბირებისთვის „ფეხს თუ აითრევენ", ან საკლუბო ბიუჯეტში დამატებით თანხას არ მოიძიებენ, მაშინ უკვე სასურველი მოთამაშე კონკურენტს დარჩება. არ გაგეცინოთ: ქართულ სატრანსფერო ბაზარზეც მოიძებნებიან ისეთი ფეხბურთელები, ერთდროულად რამდენიმე კლუბი რომ არის დაინტერესებული მათი შეძენით. კიდევ ვიმეორებთ: სატრანსფერო ბაზარზე მსგავსი ნაადრევი გააქტიურება, ცოტა არ იყოს, უჩვეულოდ მოსჩანს, მაგრამ გვინდა, არ გვინდა, მეტ-ნაკლებად დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ისე როგორც ის ფაქტი, რომ უმაღლესი ლიგის გუნდების უმრავლესობა მეორე ეტაპისათვის მზადებას ახალ წლამდე იწყებს — სავარაუდოდ, 25-27 დეკემბერს. ამის მერე, ფეხბურთელებს ორი-სამი დღით დაითხოვენ და 3 იანვრიდან უკვე გამალებული მზადებაც დაიწყება. რომელ გუნდსაც ამის საშუალება აქვს, უცხოურ შეკრებაზე გაემგზავრება (ასეთი, ალბათ, ორი-სამი კლუბი თუ იქნება), ზოგი საქართველოს შავიზღვისპირეთში გაემგზავრება (ამ შემთხვევაშიც, ორ-სამ კლუბზეა ლაპარაკი); დანარჩენი კი, „ტრადიციული" და სამწუხარო რეალობის წინაშე დადგება, — მეორე ეტაპის დაწყებამდე... რამდენიმე დღით ადრე რომ შეაკოწიწებს ძირითად შემადგენლობას, მერე დაპირებული სპონსორების იმედად იქნება და ვინ იცის, ასეთი „მწარე სინამდვილის" მიუხედავად, უმაღლესში ადგილის შენარჩუნება მაინც შეძლოს. აქვე, არცთუ უმნიშვნელო ნიუანსიც: დაახლოებით ერთი კვირაა, ქართული საფეხბურთო საზოგადოების კულუარებში უფრო და უფრო ხშირად ისმის ხმები იმის თაობაზე, რომ სეზონის ბოლოს უმაღლესი ლიგიდან... არც ერთი გუნდი არ გავარდება! ამ „ნოვატორული" იდეის ავტორებს (უფრო ზუსტად, „შემომგდებთ"), ეგრეთ წოდებული, არგუმენტიც მზად აქვთ: აქაოდა, ფეხბურთის ფედერაციაში საპრეზიდენტო არჩევნებია და, აქედან გამომდინარე, ფინანსურად თუ სპორტულად შეჭირვებულ გუნდებს, შესაძლოა...



„საფეხბურთო ამნისტიაც" შეეხოთო. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ დღესდღეობით ყველაზე არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობა იმ გუნდებს აქვთ, უმაღლეს ლიგაში ბოლო ორი წლის განმავლობაში რომელთა დაბრუნებასაც ყველა დიდი ზარ-ზეიმით შევხვდით. ასეც უნდა ყოფილიყო: ბოლოს და ბოლოს, ისეთ ტრადიციულ საფეხბურთო ქალაქებში, როგორიცაა ზუგდიდი, ფოთი და სამტრედია, უმაღლესი ლიგის მატჩები ნამდვილად უნდა ჩატარებულიყო. ეგ კი არა, სრულიად ბუნებრივი მოლოდინიც გვქონდა, რომ „ბაიას" (იგივე „მგლების"), „სამტრედიისა" და „კოლხეთის" მაგალითს სხვა გუნდებიც მიბაძავდნენ და ამათზე ბევრად ტიტულოვანი „ბათუმი" და „გურია" ლამის 2011 წლისთვისვე უმაღლესში „გადმოვიყვანეთ"...

...ისევ ამ მართლაც ნაადრევად დაწყებულ სატრანსფერო კამპანიას დავუბრუნდეთ და ჩვენი ტრადიციული „მიდი-მოდის" ცხრილიც გვინდა შემოგთავაზოთ. ოღონდ, ნუ გაგიკვირდებათ, ბევრი გუნდის გასწვრივ ჯერჯერობით სიცარიელე რომ დაინახოთ; ანუ, კლუბების უმრავლესობა ჯერჯერობით არ ახმაურებს სავარაუდო წამსვლელ-მომსვლელთა ვინაობას; ზოგან, თვითონ კლუბის თუ გუნდის ხელმძღვანელობაშია ახლახან მომხდარი ცვლილებები და რა გასაკვირია, რომ ყველასათვის საინტერესო სატრანსფერო სიახლეები, ამ ეტაპისათვის, უკანა პლანზეა გადასული. ისე, ცნობისათვის: სეზონის დასაწყისიდან პირველი ეტაპის ბოლომდე შეუცვლელად მხოლოდ ხუთმა მწვრთნელმა იმუშავა (**გია გეგუჩაძე, მერაბ კოჭლაშვილი, გელა სანაია, გიორგი ყიფიანი, ელგუჯა ქომეთიანი**); თანაც, აქედან ერთი უკვე ოფიციალურად დაემშვიდობა თავის ყოფილ კლუბს - ბოლო ორი სეზონის განმავლობაში პერსპექტიულ და კვალიფიციურ მწვრთნელად ჩამოყალიბებულმა გელა სანაიამ „სამტრედიიდან" წამოსვლა გადაწყვიტა. ეგ კი არა, 12 თებერვლამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და სულ მცირე, სამი-ოთხ გუნდში რომ გარკვეული სამწვრთნელო გადაადგილებები ვიხილოთ, არც ის გაგვიკვირდეს. ალარაფერს ვამბობთ ბოლო წლებში დამკვიდრებულ მართლაც „ჭეშმარიტად ქართულ" სატრანსფერო ჩვეულებაზეც: როცა ერთი და იგივე ფეხბურთელი მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში, დაახლოებით სამი-ოთხ გუნდს მოივლის და საბოლოოდ კი, მეხუთეში ალმოჩნდება. ოღონდ, ამ შემთხვევაში „აუცილებელი პირობაც" არ დაავიწყდებათ: თურმე, წინა სამი-ოთხი გუნდი იმიტომ დაიწუნა, რომ პირობებმა არ დააკმაყოფილა. თუმცა, ვატყობთ, რომ ეს უკვე აშკარად სულ სხვა თემაზე „გადავერთეთ"; კონკრეტულად კი, ჩვენი გაზეთის კიდევ ერთ ტრადიციულ რუბრიკაზე („სიცრუის დეტექტორი"), სწორედ სატრანსფერო კამპანიის დროს რომ ხდება აქტუალურზე-აქტუალური. ჰო, როგორ გგონიათ, მხოლოდ უცხოურ კლუბებში დაწუნებული ქართველი ფეხბურთელები გვიყვებიან სამშობლოში დაბრუნებულნი სატრანსფერო ზღაპრებს? ნურას უკაცრავად: აქაც არაერთი შემთხვევა ყოფილა და სამწუხაროდ, წინაც არაერთი „ადგილობრივი მასშტაბის" სატრანსფერო ზღაპარი გველოდება.

...2010 წლის ბოლომდე, ალბათ, ერთხელ კიდევ შემოგთავაზებთ ქართულ „სატრანსფერო მიდი-მოდის" და იმედი დავიტოვოთ, რომ იმ დროისთვის მხოლოდ კონკრეტულ სიახლეებზე გვექნება საუბარი...

**გია ტუხაშვილი**

## სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება/ საკონტრ. მატჩები |
|---|---|---|---|
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | — | — | — |
| ოლიმპი<br>თორნიკე მაისურაძე | — | — | 4 იანვრიდან რუსთავში |
| დინამო<br>კახა კაჭარავა | **თამაზ სამხარაძე (მთავარი მწვრთნელი);** ვაწაძე (ვოლგა, რუსეთი), მუჯირი (კონტრაქტი დაუმთავრდა) | **კახა კაჭარავა (მთავარი მწვრთნელი),** | 3 იანვრიდან თბილისში<br>23 იანვრიდან ანთალიაში |
| ვიტ ჯორჯია<br>მერაბ კოჭლაშვილი | დ. ლომაია (კონტრაქტი დაუმთავრდა), ლიპარტია (ყარაბახი, აზერბაიჯანი), კლიმიაშვილი (?) | მგელაძე (სპარტაკი, იჯარა დაუმთავრდა) | |
| ბაია<br>ელგუჯა ქომეთიანი | სომხიშვილი (?), ზუხბაია (?), გოგობერიშვილი (?), ხუბუა (?), დოლიძე (?), კ. ჩხეტიანი (?), გ.მ. ხიდეშელი (?), ჭიჭვეიშვილი (?), ლ. ახალაია (?), მეგრელაძე (ტორპედო), კვეკვესკირი (?) | — | |
| ტორპედო<br>გია გიგატაძე | ზ. ხაჭაპერაძე (?), კვერნაძე (?), ლ. კირკიტაძე (?), ბიბილაშვილი (?), ცნობილაძე (?) | **გვარამაძე (მეკარეების მწვრთნელი, სპარტაკი),** მეგრელაძე (ბაია), რ. გოცირიძე (სიონი), შ. კაშია (სპარტაკი), იმედაშვილი (ხაზარი, აზერბაიჯანი) | |
| სიონი<br>გიორგი ყიფიანი | რ. გოცირიძე (სიონი) | | 25 დეკემბრიდან - ბოლნისში<br>20 იანვრიდან - იალტა (უკრაინა) |
| კოლხეთი<br>ბესიკ შეროზია | გ. შენგელია (?), სტურუა (?), ექონია (?), მახვილაძე (?), ო. გველესიანი (?), ინწკირველი (?), ჭითანავა (?), გ. დეკანოსიძე (?), სილაგავა (?), რ. ჯიქია (?), ჯოჯუა (?), თედიაშვილი (?), სიჭინავა, ციცხვაია (ორივე გაგრა) | | |
| სამტრედია<br>? | **გელა სანაია (მთავარი მწვრთნელი)** | | |
| სპარტაკი<br>ბადრი კვარაცხელია | **გალდავა (?), ჩალაძე (?), მამუდოვი (?), ბაბულაიძე (?), ცინცაძე (?), კორსანტია (?), სარალიძე (?), ბუზალაძე (?), თავბერიაძე (?), ფურცელაძე (?), ძაგანია (?),** მგელაძე (ვიტ ჯორჯია, იჯარა დაუმთავრდა), შ. კაშია (ტორპედო), მაისურაძე (?), შონია (?), | | 27 დეკემბრიდან - თბილისში<br>10 იანვრიდან - შავი ზღვის პირეთში |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისური ჩანაფიქრები

# თან ფეხბურთელი, თან ნაკრების მწვრთნელი



კარაგერს ახალი პერსპექტივა გაუჩნდა

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ „ლივერპულის" ვეტერანი მცველი **ჯეიმი კარაგერი** მომავალში ნაკრების შესაძლო მწვრთნელად წარმოიდგინა და განაცხადა, რომ მას ეროვნული გუნდის ხელმძღვანელთა შტაბში ჩართავს. ამრიგად, 32 წლის კარაგერს სამწვრთნელო კარიერის ახალგაზრდულ ნაკრებში დაწყების შანსი ეძლევა. ასოციაციის წარმომადგენელთა დაკვირვებით, ლივერპულელი, რომელსაც სხვა გუნდში არასდროს უთამაშია და მერსისაიდელთა წითელი მაისურით 450 შეხვედრა აქვს ჩატარებული, ელიტურ ფეხბურთელთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელთაც ახალგაზრდებისთვის ფასდაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლია და დიდი შანსია, მომავალში დიდ ნაკრებსაც გაუძღვეს.

ფეხბურთის განვითარების დეპარტამენტის დირექტორმა, სერ **ტრევორ ბრუკინგმა** დაადასტურა, რომ ასოციაციას მიზნად ახალგაზრდა ინგლისელ მწვრთნელთა აღმოჩენა და წახალისება აქვს დასახული. მან ბრძანა:

*„ახალი წლიდან ვაპირებთ რამდენიმე მათგანი მწვრთნელთა შტაბში მივიზიდოთ. ასე აჯობებს, ვიდრე მომავალში რომელიმე მათგანის პირდაპირ დიდი გუნდის თავკაცად დანიშვნა. ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელთაგანის ამოცანა ჩვენი გუნდების დაკვირვება, სტრუქტურის შესწავლა და მოთამაშეების შემჩნევა იქნება. ფეხბურთელებს, რომელთაც მომავალში მწვრთნელობა აქვთ გადაწყვეტილი, შეუძლიათ მოვიდნენ, ჩვენს კურსებსა და შეკრებებს დაესწრონ და დააკვირდნენ, აქვთ თუ არა უნარი და სურვილი თავიანთი წვლილი შეიტანონ ნაკრების განვითარების საქმეში".*

კარაგერის ზემოთ ნახსენებ შტაბში ჩართვა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის დღესვე **ფაბიო კაპელოს** ერთ-ერთი თანაშემწე გახდება, მაგრამ გეგმა აშკარაა: ფეხბურთის ასოციაციას მისი საქმეში ჩათრევა უნდა; ურჩევნია ლივერპულელი მწვრთნელად იხილოს და არა **ალან შირერის** მსგავსად, BBC-ს წამყვანად. ასეთივე სურვილი აქვს თავად კარაგერსაც, რომელიც ნოემბერში, „ტოტენჰემთან" შეხვედრის დროს დაშავდა და ჯერჯერობით მოედანზე არ დაბრუნებულა. ფეხბურთელი არ მალავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს „ლივერპულის" თავკაცობას აპირებს და ამისათვის სამწვრთნელო საქმის შესწავლა სურს. მართლაც დიდებული წინაპირობაა: უდიდესი გამოცდილების ადამიანი სწავლას ეშურება. რასაკვირველია, 32 წლისას მოედნიდან მის კიდესთან გადანაცვლება არ ეჩქარება და ამბობს, რომ რამდენიმე წელიწადს კიდევ სიამოვნებით გააგორებდა ბურთს, მაგრამ ეს ბარტონის ეროვნულ საფეხბურთო ცენტრში სიარულში ხელს არ შეუშლის. სწორედ ბარტონის ცენტრს ხსნის ახლა ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია და ნაკრების მწვრთნელთა შტაბის ახალგაზრდა წევრებთან იქ აპირებს მუშაობას.

თუ გახსოვთ, ჯეიმი კარაგერს სანაკრებო კარიერა დასრულებული ჰქონდა და მარტო „ლივერპულის" საქმეებით იყო დაკავებული, მაგრამ გასულ ზაფხულს მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება რომ შესთავაზეს, დაჰყაბულდა. როგორც ირკვევა, ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კაპელოსთან ერთად დიდ ტურნირზე ყოფნა და მის მეთოდებზე დაკვირვება ყოფილა. ახლა, თუკი ის ფეხბურთის ასოციაციის შემოთავაზებას დაჰყაბულდება, მიეცემა საშუალება მჭიდროდ ითანამშრომლოს 21-წლამდელთა ნაკრების თავკაც **სტიუარტ პირსთან**, რომელიც ბრუკინგის თქმით, ამ დღეებში ასოციაციას თავისი ახალი კონტრაქტის პირობებს უთანხმებს.

და რაკილა სიტყვამ ახალგაზრდა ინგლისელთა გუნდი მოიტანა, მომავალ წელს ასოციაციასა და „არსენალს" შორის დიდი ბრძოლა 18 წლის **ჯეკ უილშირის** გამო ატყდება. საქმე ის არის, რომ ინგლისელები ევროპის 21 წლამდელთა ჩემპიონატზე უძლიერესი შემადგენლობის წაყვანას აპირებენ, რაც „მეთოფეთა" თავკაც **არსენ ვენგერს** არ ეჭაშნიკება. მან ზუსტად იცის, რომ ზაფხულის შემდეგ უილშირს დიდი ნაკრების თავკაცი კაპელოც რეგულარულად გამოიძახებს და ბიჭის გადაწვის ან დაშავების საშიშროებას ხედავს. გარდა ამისა, ვენგერი ამტკიცებს, რომ ფეხბურთელი ან ერთ ნაკრებში უნდა თამაშობდეს ან მეორეში, თუმცა 21-წლამდელთა წინა ჩემპიონატზე ბრძოლა წააგო და **თეო უოლკოტი** დათმო.

უილშირის დღეში არიან სხვა გუნდების ახალგაზრდა მოთამაშეებიც: **მიკა რიჩარდსი, ჯორდან ჰენდერსონი, კირან გიბსი** და „ძმანი მათნი", რომელთაც ინგლისის დიდი ნაკრების შვეიცარიელებთან შეხვედრიდან ერთ კვირაში, 11 ივნისიდან, ზემოთ ნახსენები ევროპის ორკვირიანი პირველობა ელით.

ინტერვიუ. პეპე რეინა

# მამიკოს ბიჭი

რ**ოგორ** განწყობაზე უნდა იყოს მეკარე იმ წელიწადს, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა და პრემიერლიგაში საუკეთესოს უწოდებენ? თითქოს, კარგზე, არა? არადა, რთულ დღეშია „ლივერპულის" გოლკიპერი **პეპე რეინა**, თავად შესანიშნავ ფორმაშია, გუნდი კი ცუდად თამაშობს. ესპანელი უკვე ხუთი წელიწადია, რაც „ენფილდზეა", „წითლები" კი თანდათან აუარესებენ შედეგებს. სამაგიეროდ, გასულ ზაფხულს, მისმა ეროვნულმა გუნდმა სამხრეთ აფრიკაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე აჯობა ყველას.

*„თავს ბედნიერად მაინც არ ვგრძნობ,* - უთხრა რეინამ „დეილი მეილის" კორესპონდენტს. – *საქმე მრავალმხრივ უკეთ შეიძლებოდა ყოფილიყო. უკმაყოფილო ვარ, რადგან ადამიანს ყოველთვის წარმატება სურს. მინდოდა „ლივერპულს" მეტად დავხმარებოდი. რატომღაც არ მტოვებს შეგრძნება, რომ ამ სეზონში იყო პერიოდები, როდესაც გუნდს რაღაც დავაკელი. მინდა ეს შეგრძნება მოვიცილო, საქმე გამოვასწორო. მინდა შარშანდელ სეზონში რომ ვთამაშობდი ისევ ისე ავთამაშდე, მაგრამ ფეხბურთში ყველანი ერთმანეთზე ვართ დამოკიდებული – გუნდური თამაში წყვეტს ყველაფერს. როდესაც გუნდში ჩავარდნა და საკუთარი თავის რწმენის დეფიციტია, მისი თითოეული წევრი ითრგუნება. მე შეცდომებზე კი არა, შეგრძნებებზე გელაპარაკებით. მინდა ერთი ნაბიჯით უკან დავიხიო, რათა შემდეგ ისევ წინ წავიდე".*

პეპე რეინა ბოლო ხანს „ლივერპულის" ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი მეკარე, რომელმაც 200-მდე შეხვედრიდან 100-ში გოლი არ გაუშვა. ეს, რასაკვირველია, საამაყოა, მაგრამ „არსენალთან" და „სტიაუასთან" დაშვებულმა შეცდომებმა აჩვენა, რომ ყველაფერი რიგზე არ არის. ღვთის მადლით დახმარება შორს არ არის. მაშინ, როდესაც ბევრი სპორტსმენი ასეთ დროს ფსიქოლოგთან გარბის, პეპე ყურმილს იღებს და ყოველი შეხვედრის შემდეგ მამას **მიგელ რეინას** ურეკავს. მათთვის, ვისაც მიგელ რეინას გვარ-სახელი არაფერს ეუბნება: პეპეს მამა ახალგაზრდობაში მადრიდის „ატლეტიკოსა" და ესპანეთის ნაკრების კარის მცველი გახლდათ.

*„ის მხოლოდ მამა კი არა, ჩემი საუკეთესო მეგობარიც არის,* - ამბობს პეპე. – *ყოველთვის ვუსმენ და ვუჯერებ. უპირველეს ყოვლისა მას ვურეკავ ხოლმე და ერთად ვიხსენებთ, რა მოხდა განვლილ შეხვედრაში. მამაჩემზე უკეთეს რჩევას ვერავინ მომცემს, რადგან ყველაზე კარგად ის მიცნობს".*

მიგელის ხსენება რეინას გუნებას უკეთებს და უკვე შემართებით იწყებს ლაპარაკს ათას თემაზე. ახსენდება გასული ზაფხული, როდესაც ესპანეთის ნაკრებმა სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. კიდევ ახსენდება გოლფი...

*„აქ, „ლივერპულში" გოლფს ნორმალურად სულ შვიდი-რვა კაცი ვთამაშობთ. ყველაზე ძლიერი, ალბათ დანი აგერია, სტივი ჯერარდსაც არა უშავს. დირკ კუიტს კი ჰგონია, რომ იცის თამაში, მაგრამ სინამდვილეში, აზრზე არ არის".*

შემდეგ, რეინა ლაპარაკობს მის კავშირებზე „ბარსელონას" ვარსკვლავებთან, **ჩავისთან, ინიესტას** და სხვებთან, რომლებსაც „ლა მასიას" ბავშვთა აკადემიიდან იცნობს. იხსენებს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მადრიდში გამართულ ზეიმს...

*„ნებისმიერი ბავშვი ოცნებობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მსოფლიოს ჩემპიონი გახდება. ის დღე, როდესაც ოცნება ახდა, დაუვიწყარი იყო. ასევე შესანიშნავი იყო შემდეგი ოთხი დღე. რაც შეეხება იმ მომენტს, სესკ ფაბრეგასს „ბარსელონას" მაისური რომ ჩამოაცვეს, ჩემთან არანაირი კავშირი არ აქვს".*

თუმცა, გასულ წელიწადს რთული მომენტებიც იყო. მაგალითად, „ლივერპულიდან" **რაფა ბენიტესის** წასვლა, თუმცა ამას რეინაზე ისე ცუდად არ უმოქმედია, როგორც იმ ადგილს მერსისაიდელებმა პრემიერლიგის ცხრილში რომ დაიკავეს. ამას ვინ წარმოიდგენდა... შემდეგ იყო გაუთავებელი პრობლემები მეპატრონესთან დაკავშირებით.

*„მართლა შემაშფოთებელი მდგომარეობა იყო. არავინ იცოდა, რა ხდებოდა,* – იხსენებს რეინა ოქტომბრის ამბებს, როდესაც „ლივერპული" ამერიკულმა კორპორაცია New England Sports Ventures-მა შეიძინა – *შევყურებდით მოვლენებს და ვერც ერთი ჩვენგანი ვერაფერს აკეთებდა. ვიმედოვნებდით, რომ რაც უნდა მომხდარიყო, ჩვენი კლუბისთვის სასიკეთო იქნებოდა. საბედნიეროდ, ახალი მეპატრონეები ჩვენს ცხოვრებაში დადებით როლს თამაშობენ. პირადად მათთან ბევრი ნამდვილად არ მილაპარაკია, მაგრამ ვატყობ, რომ სანამ რაიმე ნაბიჯს გადადგამენ, ბევრს ფიქრობენ. მგონი ჯობს დრო მივცეთ და მათი მოღვაწეობა მერელა შევაფასოთ".*

დრო... აქვს კი პეპე რეინას ამდენი დრო? კიდევ დიდხანს დარჩება ესპანელი „ლივერპულში"? მისი შეძენა ხომ „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „არსენალს" სურთ. რეინა ნამდვილად არ არის ის კაცი, ვინც საუკეთესო წლებს ისეთ გუნდში გაატარებს, რომელსაც კონკურენცია არ შეუძლია. ის ამბობს:



პეპე რეინა მაინც უკმაყოფილოა

*„მე „ლივერპულთან" კიდევ ხუთი წელიწადი და ექვსი თვე მაკავშირებს. მინდა ამ გუნდის შემადგენლობაში ტიტული მოვიპოვო. ამაზე მეტი რა ვქნა? სხვანაირად როგორ დავამტკიცო ჩემი ერთგულება? არადა პრესა სულ ჩემს წასვლაზე ლაპარაკობს. პირადად მე კი მხოლოდ ერთი სალაპარაკო თემა მაქვს: „ლივერპული" და მისი წინსვლა. მსურს, რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ.*

*ეჭვი არ არსებობს, დღეს თუ არა ხვალ, ჩვენი გუნდი პრემიერლიგის ცხრილში კუთვნილ ადგილს დაიბრუნებს. სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი და ამ მიზნისკენ ვცდილობთ წასვლას. სამწუხაროდ, ამწუთას სხვა მდგომარეობაა. მოდი, რეალისტები ვიყოთ: დღეს ჩვენ სხვა ამოცანები გვაქვს გადასაჭრელი. ჯერჯერობით გვინდა უძლიერესთა მარაქაში დავბრუნდეთ".*

შობისა და ახალი წლის დღეებში „ლივერპულს" „ბლექპულთან", „ვულვზსა" და „ბოლტონთან" უწევს თამაში და სამი მოგება აშკარად გაუუმჯობესებდა მდგომარეობას.

*„თუ უახლოეს 10-12 დღეში კარგ შედეგებს მივაღწევთ, გუნება ყველას გამოუკეთდება და შემდეგ შესაძლოა უფრო ყოჩაღადაც ვითამაშოთ, თუმცა ძალიან დიდი მატჩი 9 იანვარს ფეხბურთის ასოციაციის თასზე გველის - „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერ იუნაიტედს" უნდა ვეთამაშოთ. თუ იქ გავიმარჯვებთ, ყველაფერი შეიცვლება, თუმცა ისიც ალალად უნდა ვაღიაროთ, რომ კენჭისყრაში არ გაგვიმართლა. თუმცა... კენჭისყრაში" არც „იუნაიტედს" გაუმართლა".*

ამბები



## ტევესი და კუკი

**კარლოს ტევესი** „მანჩესტერ სიტის" კაპიტნად მხოლოდ იმიტომ დატოვეს, რომ მწვრთნელმა **რობერტო მანჩინიმ** კლუბის აღმასრულებელ შეფს **გერი კუკს** აჯობა. ინგლისურმა ტაბლოიდებმა გამოიკვლიეს და გაიგეს, რომ არგენტინელი ფორვარდი კუკთან მოსალაპარაკებლად არც დაჯდა. შეხვედრაში, რომელიც მანჩინის სახლში გაიმართა კუკის ნაცვლად „სიტის" თავმჯდომარე **ხალდუნ ალ მუბარაქი** მონაწილეობდა.

ერთი სიტყვით, მთავარი საკითხის გადაწყვეტაში – დარჩება თუ არა ტევესი ისტლენდზე – კუკს მონაწილეობა არ მიუღია. ერთადერთი თემა, რომელსაც ის შეეხო არგენტინელის კაპიტნად დატოვება-არ დატოვება გახლდათ. თურმე, აღმასრულებელი შეფი ამტკიცებდა, რომ სამკლავური **კოლო ტურეს** უნდა გადასცემოდა, თუმცა მანჩინის, ტევესთან საკმაოდ რთული ურთიერთობის მიუხედავად, დაუჩემებია, რომ კაპიტნად კვლავ არგენტინელი სჭირდებოდა.

როგორც „მანჩესტერ სიტისთან" დაკავშირებული წყაროები ამბობენ, ტევესს მანჩინის პოზიცია ძალიან გახარებია. ზოგი უფრო შორსაც მიდის და ამტკიცებს, რომ ამ ნაბიჯით ტევესსა და მანჩინის შორის ახლებური მეგობრობა ჩამოყალიბდება, რაც იტალიელ სპეციალისტს დანარჩენ მოთამაშეებთან ურთიერთობის მოგვარებაში დაეხმარება.

## გლეიზერები მიდიან?

ნუთუ, „მანჩესტერ იუნაიტედის" მომავალი გაურკვეველია? ყოველ შემთხვევაში, კლუბის მავანი დიდმოხელეებისგან გაზეთებმა შეიტყვეს, რომ ამერიკელი ძმები **გლეიზერები** კლუბის გაყიდვას აპირებენ.

„ოლდ ტრეფორდის" არააღმასრულებელმა დირექტორმა (ასეთი თანამდებობაც ყოფილა) **მაიკლ ედელსონმა** დაუფარავად განაცხადა: *„საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ მეპატრონეთა ოჯახი ადრე თუ გვიან კლუბის გასხვისებას აპირებს".*

ასე და ამგვარად, ყატარის სამეფო ოჯახს პირადად შეიხ **ჰამად ბინ ხალიფა ალ თანის** „იუნაიტედისთვის" გამოყოფილი 1,5 მილიარდი ფუნტის თამამად და საქმიანად ფრიალის საშუალება ეძლევათ. გლეიზერებს შესაშური ბიზნესი გამოუვათ: ამერიკელმა ძმებმა 5 წლის წინ პრემიერლიგის კლუბში 790 მილიონი ფუნტი გადაიხადეს, ახლა კი თითქმის ორჯერ ძვირად გაყიდვის შესაძლებლობა ეძლევათ.

## სამბა სხვის დაკრულზე არ ცეკვავს

„ბლექბერნის" კაპიტანი **კრის სამბა** აცხადებს, რომ გუნდიდან წასვლაზე ფიქრობს. მიზეზი მწვრთნელ **სემ ელერდაისის** სამსახურიდან გაგდებაა. 26 წლის კონგოელი ფეხბურთელი ამბობს:

*„თუ ჩვენი კლუბის ახალი პატრონები მის მართვას ასეთი მეთოდებით აპირებენ, მაშინ მე ამაში მონაწილეობა აღარ მსურს. მე გუნდის კაპიტანი ვარ და ასეთი სიტყვების თქმა მიჭირს, მაგრამ მერწმუნეთ, სანამ ვიტყოდი, ბევრი ვიფიქრე. საფეხბურთო სამყაროში ვერავინ გაიგო, რატომ მოხსნეს სემი თანამდებობიდან. ფეხბურთელებს და ფანებს ამ კითხვაზე მკაფიო პასუხი სჭირდებათ".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

● სერია A



მილანის ახალი ლიდერი


მილოშ კრასიჩი

# თერთმეტი გამორჩეული

გამომდინარე იქიდან, რომ სერია A-ს მიმდინარე გათამაშება 38 ტურისგან შედგება - ჩემპიონატი ეკვატორს XIX ტურის დასრულების შემდეგ უწევს. თუმცა, 2010 წელი XVII ტურით დასრულდა, ჩემპიონატი შესვენებაზე გავიდა და სეზონის პირველ ნახევარსაც იტალიაში სწორედ ახლა აჯამებენ. შემაჯამებელ მასალას ხვალინდელ ნომერში წარმოგიდგენთ, დღეს კი იმ თერთმეტ ფეხბურთელს გაგაცნობთ, რომლებმაც სეზონის პირველ ეტაპზე საუკეთესო კუთხით წარმოაჩინეს თავი. მაშ ასე, თქვენ წინაშეა 2010/2011 წლების სეზონის პირველი ეტაპის სიმბოლური ნაკრები.

## კრისტიან აბიატი (მილანი)

17 ტურის შემდეგ „მილანს“ მხოლოდ 13 გოლი აქვს გაშვებული, რაც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ **კრისტიან აბიატი** თავის მოვალეობას შესანიშნავად ასრულებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი აბიატის კარიერაში, თანაც, ის მშობლიური გუნდის, „მილანის“ ღირსებას იცავს. კრისტიანი ყოველთვის გამოირჩეოდა შესაშური რეაქციით და ხშირად, ერთი შეხედვით აუღებელი ბურთები მოუგერიებია, მაგრამ ყოველთვის აკლდა სტაბილურობა. მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპით თუ ვიმსჯელებთ, ეს უდიდესი ნაკლი გამოსწორებულია.

## ალესანდრო ნესტა (მილანი)

თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი, რომელიც ასაკის მიუხედავად დღემდე უმაღლეს დონეზე ასპარეზობს და გუნდისთვის უმნიშვნელოვანეს ფეხბურთელად ითვლება. ნესტა ტრავმებმა გატანჯეს, რის გამოც არაერთხელ იდგა კარიერის დასრულების პირას. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, გამოჯანმრთელდა და „მილანის“ ძირითადი შემადგენლობის უცვლელი ფეხბურთელია. მიმდინარე სეზონში, რამდენიმე შეხვედრა მართლაც საოცრად ჩაატარა და სრულიად დამსახურებულად მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში.

## ტიაგო სილვა (მილანი)

კიდევ ერთი „მილანელი“, რაც პრინციპში არც არის გასაკვირი. „როსონერი“ ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია, რაშიც უკანახაზელებს უდიდესი წვლილი მიუძღვით. კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ ლომბარდიულ გრანდს მხოლოდ 13 გოლი აქვს გაშვებული, რაშიც **ტიაგო სილვამაც** შეიტანა თავისი წვლილი. შესაძლოა, ბევრმა გაიკვირვოს ბრაზილიელის სიმბოლურში მოხვედრა, რადგან არაერთი ტური გამოტოვა ტრავმის გამო. საქმეც ესაა - „მილანმა“ სწორედ იმ პაექრობებში გაუშვა გოლების აბსოლუტური უმეტესობა, რომლებიც სილვამ გამოტოვა.

## ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი)

სიმბოლურ ნაკრებში სამი მცველი მოხვდა და ასეთ სქემაში **ჯორჯო კიელინი** იდეალურად ეწერება. ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ თავის დროზე ჯორჯო მარცხენა მცველი იყო და შემდეგ შეიწია ცენტრში. ანუ, სამი მცველის პირობებში ის იდეალურად მოირგებდა ცენტრალური მარცხენა მცველის ფუნქციას. უკვე წლებია, ეს ფეხბურთელი სტაბილურად მაღალ დონეზე ასპარეზობს და გამონაკლისი არც მიმდინარე სეზონია. **ლეონარდო ბონუჩი** ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ გამოუცდელობიდან გამომდინარე, ხშირად მოსდის შეცდომები. კიელინის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არაერთხელ დააზღვია ახალგაზრდა მეწყვილე და ამასთან, უშუალო მოვალეობას თავს შესანიშნავად ართმევს.

## მილოშ კრასიჩი (იუვენტუსი)

**მილოშ კრასიჩის** ტრანსფერს იტალიაში ბევრი სკეპტიკურად შეხვდა, რადგან სერბმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი. სამაგიეროდ, „იუვეს“ მთავარმა მწვრთნელმა გამოუცხადა სრული ნდობა და პირველივე ტურიდან ძირითად შემადგენლობაში დააყენა. სერბმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა, არა მარტო კარგი თამაშით დაგვამახსოვრა თავი, გუნდის ლიდერად და საუკეთესო ფეხბურთელად იქცა. თავად განსაჯეთ, „გაძეტა დელო სპორტის“ ვერსიით, ექვსჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში. ბუნებრივია, პირველი ეტაპის რჩეულ ფეხბურთელთა შორისაც გამოინახა მისთვის ადგილი.

## მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი)

2011 წელს ქალაქი ნეაპოლი შესანიშნავ განწყობაზე შეხვდება, რადგან მათი სათაყვანებელი გუნდი სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა. **ვალტერ მაძარის** ერთ მუშტად შეკრული გუნდი ჰყავს, რომელშიც ყველას თავისი ფუნქცია აკისრია, თუმცა რამდენიმე ფეხბურთელის გამორჩევა მაინც შესაძლებელია. პირველ რიგში, ეს **ედისონ კავანიზე** ითქმის, რომელსაც ქვემოთ დავუბრუნდებით, იქამდე კი **მარეკ ჰამშიკზე** ვთქვათ. სლოვაკმა შემტევმა უკვე 7 გოლის გატანა მოასწრო და იქიდან მხოლოდ ერთი იყო თერთმეტმეტრიანით. საგულისხმოა, რომ ჰამშიკი არ არის ფორვარდი, სიღრმიდან თამაშობს და მისი ასეთი შედეგიანობა მართლაც რომ დასაფასებელია.

## ალბერტო აკვილანი (იუვენტუსი)

**ალბერტო აკვილანი** აშკარად თავის გუნდში მოხვდა - შესანიშნავად ჩაეწერა „იუვენტუსში“ და თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა. ტურის სიმბოლურ ნაკრებში ოთხჯერ მოხვდა, რაც ძალიან კარგი შედეგია. თანაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კრასიჩის მსგავსად, ეს მისი სადებიუტო სეზონია ტურინული გრანდის შემადგენლობაში. თანაბრად ნაყოფიერია დაცვით და შეტევით ფაზაში. სტატისტიკური მონაცემებით, ერთ-ერთი პირველია მათ შორის, ვინც მეტოქე გუნდების იერიში ყველაზე ბევრჯერ ჩაშალა. ამასთან, სახიფათო გახლდათ შეტევაში და ტრადიციული შორეული დარტყმების გარდა, ზუსტი გადაცემებითაც გამოიჩინა თავი.

## ერნანესი (ლაციო)

„ლაციო“ მიმდინარე სეზონის მთავარი აღმოჩენაა. „ნაპოლისგან“ უფრო ველოდით წარმატებულ ასპარეზობას, ვიდრე „ბიანკოჩელესტესგან“, რადგან ბოლო პერიოდში ამ გუნდს აღმავლობის არაფერი ეტყობოდა. და აი, ყველასათვის მოულოდნელად, „ლაციო“ ათამაშდა და თანაც როგორ. ექსპერტების აზრით, „ლაციალეს“ წარმატების საიდუმლო ნახევარდაცვის სიძლიერეშია, სადაც ახალწვეული ბრაზილიელი, **ერნანესი** ირჯება. ძალიან ტექნიკური ფეხბურთელი, რომელმაც 16 პაექრობაში მიიღო მონაწილეობა და ხუთი გოლის გატანა მოახერხა. უსაზღვრო ფანტაზიის მქონე ფეხბურთელია და როგორც ამბობენ, სწორედ ასეთი მოთამაშე აკლდა ბოლო წლებში რომაულ გუნდს.

## სტეფანო მაური (ლაციო)

„ლაციოს“ რომ ძლიერი ნახევარდაცვა ჰყავს, იქიდანაც ჩანს, რომ სიმბოლურ ნაკრებში ამ რგოლის ორი ფეხბურთელი მოხვდა. **სტეფანო მაურიმ** ფანტასტიკურად ჩაატარა სეზონის პირველი ნახევარი, რაზეც მისი ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება მეტყველებს. დიახ, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, მაურიმ „სკუადრა აძურას“ მაისურა მოირგო და თუ ასე გააგრძელა, ნაკრების ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელადაც იქცევა. ძალიან საიმედოდ ირჯება მოედნის ცენტრში და აკვილანის მსგავსად, თანაბრად ნაყოფიერია დაცვითი და შეტევითი ფუნქციების შესრულებისას. სამჯერ შეარხია მეტოქე გუნდის კარის ბადე, ამასთან, არაერთი საგოლე გადაცემა მიითვალა აქტივში.

## ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი)

სერია A **ზლატან იბრაჰიმოვიჩისთვის** ზედგამოჭრილი ტურნირია - „იუვენტუსში“ შესანიშნავი ასპარეზობით დაგვამახსოვრა თავი, რის შემდეგაც კიდევ უკეთესად წარმოჩინდა „ინტერის“ შემადგენლობაში. კატალონიაში წარუმატებელი მოგზაურობის შემდეგ კი „მილანის“ ფეხბურთელი გახდა და უკვე შავ-წითელი მაისურით სჩადის სასწაულებს. „როსონერის“ ძალიან დიდი ხანია, რაც სკუდეტო არ მოუგია და როგორც **ადრიანო გალიანი** აცხადებს, საამისოდ გუნდს სწორედ იბრაჰიმოვიჩი აკლდა. ზლატანი „მილანშია“, გუნდი სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას და ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად ითვლება - ამით ყველაფერია ნათქვამი.

## ედინსონ კავანი (ნაპოლი)

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ „ნაპოლის“ წარმატებებში ყველაზე დიდი წვლილი ურუგვაელ თავდამსხმელს **ედინსონ კავანის** მიუძღვის. მაშინაც კი, როდესაც ნეაპოლურ გუნდს თამაში არ მისდის, კავანის შეუძლია მარტომ გადაწყვიტოს მატჩის ბედი და ერთი შედეგიანი დარტყმით გუნდს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანოს. ასე მოხდა ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის და სერია A-ს ბოლო ტურის პაექრობებში. ევროარენაზე კავანიმ „სტიაუას“ მოუჭრა გზა პლეი ოფისკენ, ეროვნულ პირველობაზე კი „ლეჩე“ დატოვა უქულოდ. ედინსონს უკვე 10 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა დავაში ლიდერობს.

**ლაშა წიკლაური**

● ამბები

## ნოიერმა მაგათი გააწყრა

დღე ისე არ გავა, რომ მანუელ **ნოიერის** შესახებ ახალი ინფორმაცია არ გავრცელდეს. გუშინწინ „შალკეს“ მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** კატეგორიული ტონით თქვა, მანუელი 2012 წლამდე (ნოიერს „შალკესთან“ კონტრაქტი სწორედ 2012 წლამდე აკავშირებს) აუცილებლად ჩვენთან ითამაშებსო. „აუგსბურგთან“ მატჩის (გერმანიის თასის მერვედფინალი) მერე ნოიერმა „სქაი სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში შემდეგი განაცხადა: *„ფელიქს მაგათს ვერ დავეთანხმები. შესაძლოა, ეს მისი მოსაზრებაა, მაგრამ სხვას შეიძლება სხვანაირი აზრი ჰქონდეს.“*

მანუელმა იქვე დასძინა, რომ ახალ წლამდე „შალკესთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმება გამორიცხულია: *„ახალ წლამდე საჩუქრების დარიგებას არ ვაპირებ. არ მიყვარს, როცა წნეხის ქვეშ მაქცევენ,“* - აღნიშნა ნოიერმა, რომელსაც ჩვენი გერმანელი კოლეგები მიუნხენის „ბაიერნში“ გადასვლას უწინასწარმეტყველებენ.

## ბულარუზი აინტრახტში?

ფრანკფურტის „აინტრახტს“ წამყვანი მცველები დაუშავდა და არცაა გასაკვირი, ამ პოზიციაზე გაძლიერებას რომ აპირებს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ფრანკფურტელებმა მიზანი „შტუტგარტში“ ჩამოწერილი გამოცდილი უკანახაზელისკენ, **ხალიდ ბულარუზისკენ** მიმართეს. მართალია, ჰოლანდიელ მცველს შვაბებთან კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ უკვე ცხადია, რომ **ბრუნო ლაბადიას** ხელში არავითარი პერსპექტივა არ აქვს. „ბილდის“ ცნობით, „შტუტგარტი“ მზადაა, საკმაოდ მაღალანაზღაურებადი ბულარუზი (2 მილიონი ევრო წელიწადში) ძალიან დაბალ ფასად დათმოს.

## ჰანკე გლადბახისკენ

თითქმის გადაწყვეტილია, რომ „ჰანოვერის“ თავდამსხმელი **მაიკ ჰანკე** იანვრიდან კარიერას ბუნდესლიგის აუტსაიდერ მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ გააგრძელებს. მიონხენგლადბახელებმა გერმანიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელის, 27 წლის ჰანკეს გადაბირება მას მერე გადაწყვიტეს, რაც მთავარმა მწვრთნელმა **მიხაელ ფრონტცეკმა** ფორვარდები **მომო იდრისუ** და **რაულ ბობადილია** უდისციპლინობის გამო განაცხადიდან ამოაგდო. ჰანკეს „ჰანოვერში“ ძალიან იშვიათად ათამაშებენ - მეოთხე ადგილზე მყოფი გუნდის მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** მას პირველ წრეში მხოლოდ შვიდჯერ ენდო და თანაც, უმეტესად შეცვლაზე ათამაშებდა. მიუხედავად ამისა, ჰანკემ მაინც შეძლო სამი გოლის გატანა და სხვათა შორის, ერთი გოლი სწორედ „გლადბახს“ გაუტანა.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეფო თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

# ეს ჩვენი ტურნირია

## უფერული ვალენსიური დერბი

როგორც ჩანს, ყველაზე ძველი ესპანური საფეხბურთო ტურნირის (თასი 1902 წლიდან იმართება) ყველაზე მეტჯერ გამარჯვებული „ბარსელონა“ თასის ადრეული ეტაპიდან გავარდნის პირასაა - სამშაბათს **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდმა ვერაფერი მოუხერხა „კამპ ნოუზე“ ბილბაოს „ატლეტიკს“ და ახლა, 5 იანვარს საპასუხო მატჩი „სან მამესზე“ ელის. „სან მამესზე“ თამაშს ეხუმრებით?

ასე ცუდად „ბლაუგრანას“ ამ სეზონში საერთოდ არ უთამაშია. ბასკურმა გუნდმა გაუძლო მასპინძელთა ზეწოლას და ახლა საპასუხო მატჩში სენსაციით იმუქრება. ან კი რა იყო გასაძლები, „ბარსა“, ფაქტობრივად, არც დამუქრებია ხეირიანად „ატლეტიკის“ კარს. აქედან ლოგიკური შედეგიც - 0:0.

პეპის გუნდმა უფერული მატჩი შემოგვთავაზა, ბასკებმა თავი კარგად დაიცვეს და ის ერთი-ორი საფრთხეც გააუვნებელყვეს, რაც კატალონიურმა გრანდმა შექმნა სტუმართა კართან. შედეგად, ბილბაოს „ატლეტიკი“ წლევანდელ სეზონში სულ მეორე გუნდია, რომელმაც „ბარსელონასთან“ თამაშში გოლი არ გაუშვა. სტადიონიც სანახევროდ ცარიელი იყო. მასპინძლები თავიდანვე ეკვეთნენ მეტოქეს, თუმცა **ხოაკინ კაპაროსი** მომზადებული დაუხვდა - მან დაცვის კვარტეტს ხუთი ნახევარმცველი დაახმარა. ამის გამო, „ბარსას“ შორეული დარტყმები ძნელთუ სახიფათო იყო, ცენტრში კი ისეთი სიმჭიდროვე წარმოიქმნა, რომ კატალონიელებს ჩვეული პასები აღარ გამოსდიოდათ. **ბოიან კრკიჩი**, რომელმაც ახლახან 2015 წლამდე გაახანგრძლივა კლუბთან ხელშეკრულება და, რა თქმა უნდა, ყველაზე მონადინებული იყო, პირველი დაემუქრა **გორკა ირაისოსის** კარს, თუმცა ბასკი გოლკიპერი იოლად გაუმკლავდა ბოიანის დარტყმას. თავის მხრივ ორი კარგი მომენტი **ანდრეს ინიესტასაც** ჰქონდა - პირველად მოჭრილი დარტყმით სცადა გატანა, მაგრამ ირაისოსმა იყოჩაღა, შემდეგ კი თითქმის ანალოგიურ ეპიზოდში მეკარემ ბურთი კარს ზემოთ გადააგდო. „ატლეტიკი“ თითქმის არ უტევდა, თუმცა **გურპეგის** თავური საკმაოდ სახიფათო გამოდგა, ბურთი **მაქსველს** შეეხო და კინაღამ „ბარსელონას“ კარის მაღალ კუთხეში გავიდა.

გვარდიოლამ იფიქრა, რომ გუნდი მეორე ტაიმში მოუმატებდა და შესვენებაზე ცვლილებებისთვის არ მიუმართავს, მაგრამ მალე მიხვდა, რომ შეცდა და არაფრის გამკეთებელი **სეიდუ კეიტასა** და არაეფექტური ბოიანის ნაცვლად თავდამსხმელთა დუეტი შეუშვა, რომელთა ანგარიშზე ჯამში უკვე 40 გოლია ამ სეზონში - **დავიდ ვილია** და **ლეო მესი**. მაგრამ შედეგი არც ამან გამოიღო - „ატლეტიკი“ ძალიან კარგად თამაშობდა დაცვაში. ის, რომ „ბარსა“ შუახაზში ვერ ბატონობდა მსოფლიოს ჩემპიონი ნახევარმცველის, **ხავი მარტინესის** დამსახურებაა. თამაშის მიწურულს „ბარსამ“ კინაღამ მიაღწია მიზანს - მესის ჩაწოდებულს **ჟერარდ პიკემ** მიუსწრო, მაგრამ დაახლოებით ოთხი მეტრიდან ააცილა კარს! მოკლედ, „ლოს ლეონესს“ „სამეფო თასზე“ წინსვლის ბრწყინვალე შანსი აქვს.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ჩვენ ვდომინირებდით, თუმცა რაღაც მაინც გვაკლდა. საპასუხო შეხვედრა კიდევ იმით იქნება რთული, რომ ის პირველია ახალ წელს. მოკლედ, თუკი თასზე წარმატება გვსურს, ეს „სან მამესზე“ უნდა დავამტკიცოთ. შედეგი, რა თქმა უნდა, ცუდია, გოლი რომ გაგვეტანა, სულ სხვა თამაშს იხილავდით. მეორე ტაიმში მეტად შევუტიეთ, მაგრამ „ბილბაო“ ძალიან დიდი რესურსით იცავდა კარს. ფრე ცუდია, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგ გუნდს ვეთამაშეთ. საპასუხო მატჩში აუცილებლად ლამაზი, შემტევი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ, რომ ორმატჩიანი დუელი მოვუგოთ მეტოქეს“.*

**ხოაკინ კაპაროსი** (ბილბაო): *„ძალიან გახარებული ვარ, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ საქმის ნახევარია გაკეთებული. არავინ ჩათვალოს, რომ საპასუხო მატჩში აუცილებლად მოვიგებთ, ყველაფერი ჯერ კიდევ ბუნდოვანია. ამ თამაშის წინ ბევრს არ ეგონა, რომ „ბარსას“ შეტევებს გავუძლებდით, თუმცა მეტოქე არადამაჯერებლად გამოიყურებოდა. ალბათ, არც კი მჭირდება შევახსენო ჩვენს გულშემატკივრებს, რომ ხუთში სტადიონზე მოვიდნენ, ჩვენი მხრიდან კარგ თამაშს ვპირდებით მათ. ეს ჩვენი ტურნირია, მაგრამ „ბარსა“ ძლიერია“.*

კიდევ ერთ მერვედფინალში ვალენსიური დერბი და... კვლავ 0:0 ვიხილეთ. მართლაც, დიდი იმედგაცრუება ელოდათ ფანებს „მესტალიაზე“, ისინი ხომ „ლამურების“ გამარჯვებას და ლამაზ სანახაობას ელოდნენ. ახლა ყველაფერი 5 იანვარს „ელ მადრიგალზე“ გადაწყდება.

არადა, პირველ ტაიმში „ვალენსიას“ გოლის გატანა შეეძლო - **პაბლო ერნანდესს** საამისოდ 100-პროცენტიანი შანსი ჰქონდა, ის მეკარესთან პირისპირ გავიდა, თუმცა „ცაში ყვავები დააფრთხო“. უმთავრესი მოვლენები მოედნის შუა მესამედში მიმდინარეობდა, საჯარიმოდან საჯარიმომდე. არც **უნაი ემერის** ხუთკაციანი დაცვის ხაზი უწყობდა ხელს შემტევ ფეხბურთს, სამაგიეროდ, ამით **ნილმარისა** და **ჯუზეპე როსის** დუეტი განეიტრალდა.

„ვალენსიამ“ მეორე ტაიმი ალმაფრენით დაიწყო, **მიგელმა** მარჯვენა ფლანგზე გაირბინა, კარგადაც ჩააწოდა **მატამაც** დიდებულად დაარტყა ბურთის დაუმუშავებლად, მაგრამ „ვილიარეალი“ გოლისგან ძელმა იხსნა. „ვალენსია“ არ დაცხრა, მალე **ადურისი** საჯარიმოში შეიჭრა, სადაც **მუსაჩიომ** კი მოცელა, მაგრამ მსაჯის სასტვენი სდუმდა. ამის შემდეგ გატანა უკვე სტუმრებს შეეძლოთ, ამერიკელმა **ჯოზი ალტიდორმა** მეკარე **გუაიტას** ნილმარი შეატოვა, მაგრამ ეს უკანასკნელი არაბრაზილიურად მოეპყრო ბურთს და გუაიტა მას ფეხებში ჩაუხტა და ეპიზოდი განმუხტა. ამ მომენტის შემდეგ გუნდები უბრალოდ „ზრდილობის გულისთვის“ დასდევნენ ბურთს. ყველაფერი ამ წყვილშიც უკვე 2011 წელს გაირკვევა.

**უნაი ემერი** (ვალენსია): *„ვილიარეალი“ დიდებული გუნდია, მაგრამ ჩვენ სოლიდურად ვითამაშეთ დაცვაში და მატჩში უპირატესობა მოვიპოვეთ. მოედნის ყოველ გოჯზე თავდაუზოგავად ვიბრძოდით. გამარჯვება გვსურდა, თუმცა მიზანს ვერ მივაღწიეთ. ისე, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ და საპასუხო მატჩის წინაც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი“.*

**ხუან კარლოს გარიდო** (ვილიარეალი): *„ვალენსია“ ბურთს უკეთ აკონტროლებდა და ჩვენც ბევრი პრობლემა შეგვიქმნა. ჩვენი შეცდომები მეტოქის კარგი თამაშითაა გამოწვეული. საპასუხო მატჩი დაძაბული იქნება და შეიძლება ბოლო წუთამდე არ გადაწყდეს, ვინ გავა „სამეფო თასის“ მეოთხედფინალში“.*

სამშაბათს „სამეფო თასის“ მესამე მატჩში სეგუნდადივიზიონის „გრანადა“ შინ „დეპორტივოს“ 1:1 დაუზავდა. გალისიელები **რიკის** პენალტის წყალობით დაწინაურდნენ, თუმცა 70-ე წუთზე ბრწყინვალედ მოთამაშე გამთამაშებელმა **პეპე დიასმა** ამ შეხვედრაშიც ფრე დააფიქსირა - 1:1. საპასუხო მატჩის წინ

**კორდობა-დეპორტივო 1:1**

**კორდობა (4-4-2):** ა. გარსია - ხერარდო (42. ფერნანდესი), აგუსი, ტენა, რიჩი - ხ. კალეხონი, უსერო, ალბერტო, ლუკე (79. ორიოლ რიერა) - პ. დიასი, შარლესი (59. სესმა).

**დეპორტივო (5-4-1):** მანუ - ლაურე, ზე კასტრო (67. როჩელა), აიტამი, ლოპო, სეოანე - ლასადი (60. პ. ალვარესი), ხ. როდრიგესი, რ. პერესი, დეზმარე - რიკი (30. ადრიანი).

**გოლები:** 0:1 რიკი (17-პენ), 1:1 პ. დიასი (70)

**ბარსელონა-ბილბაო 0:0**

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დ. ალვეში, პიკე, აბიდალი, მაქსველი - ჩავი, მასკერანო (78. ადრიანო), კეიტა (53. მესი) - პედრო, კრკიჩი (62. ვილია), ინიესტა.

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, უსტარიცი, კოიკილი - სუსაეტა, გურპეგი, ხ. მარტინესი, გაბილონდო - ი. მარტინესი (54. მუნიაინი), იტურასპე (71. ორბაისი).

**ვალენსია-ვილიარეალი 0:0**

**ვალენსია (5-4-1):** გუაიტა - მიგელი, სტანკევიჩიუსი, რ. კოშტა, დეალბერტი, მატიო (78. ხ. ალბა) - პ. ერნანდესი (58. ხოაკინი), ალბელდა, მადურო, მატა - ადურისი (65. სოლდადო).

**ვილიარეალი (4-4-2):** ხ. კარლოსი - ა. ლოპესი, გონსალო, მუსაჩიო, კაპდევილა - კანი (46. მ. სენა), ბ. ვალერო (89. მარიო), ბრუნო, კასორლა - ნილმარი, როსი.

| | |
|---|---|
| ალმერია-მალიორკა | 4:3 |
| ატლეტიკო-ესპანიოლი | 1:0 |
| ბეტისი-ხეტაფე | 1:2 |
| სევილია-მალაგა | 5:3 |
| რეალი-ლევანტე | 8:0 |


ასეთ დღეში ბარსას იშვიათად თუ ნახავთ

ამბები



### ამას რა გააჩერებს?

გუშინ კი დავწერეთ, რომ მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელმა თავკაცმა ახალ, „სიჩუმის ტაქტიკას“ მიმართა და ამიტომ არ გამოცხადდა სამეფო თასის მატჩისწინა პრესკონფერენციაზე, მაგრამ აბა განსაკუთრებულს რა გააჩერებდა და **ჟოზე მოურინიო** კიდევ ერთხელ გადაწვდა „ინტერის“ ან უკვე ყოფილ თავკაც **რაფა ბენიტესს**. *„რაში მაინტერესებს, როდის ან რატომ მოხსნიან ბენიტესს? ჩემთვის საინტერესო მხოლოდ „ინტერია“, კლუბის პრეზიდენტი, მეგობრები, ფეხბურთელები და გულშემატკივრები, მათ ორი წლის განმავლობაში ყველაფერი მომცეს და ამას ვერ დავივიწყებ. მსურს „ინტერმა“ ყველაფერი მოიგოს ჩემპიონთა ლიგის გარდა, რადგან ლიგაზე „რეალი“ მონაწილეობს. რაფაზე რა ვთქვა? სათქმელიც არაფერია, საკლუბო ჩემპიონატის მოგების შემდეგ ერთი სამადლობელო სიტყვა არ წამოსცდენია. გინდა თუ არა, ეს წარმატება ხომ მე შევუქმენი მას“*, - განუცხადა პორტუგალიელმა სპეციალისტმა „გაძეტა დელო სპორტს“. ამ გამოცემასთან ინტერვიუში მან სხვა თემებზეც ილაპარაკა, მაგალითად, „ინტერში“ დაბრუნების ალბათობაზე: *„არ ვიტყვი, რომ ეს გამორიცხულია, თუმცა არც იმას ვიტყვი, რომ საერთოდ გამორიცხულია, რომელიმე სხვა კლუბში გადავიდე. რა თქმა უნდა, „ინტერი“ პირველი იქნება, მაგრამ, ვიმედოვნებ, გუნდს არ დავჭირდები. თუკი ვჭირდები, ესე იგი ცუდ გზას დაადგნენ, ეს კი მე ნამდვილად არ მსურს. ჩემი მომავალი იტალიაში ან ინგლისში მესახება“.* მოურინიომ უარყო, რომ „რეალში“ პრობლემები გაუჩნდა და მოკლედ მოჭრა: *„მე პრობლემები არასოდეს მაქვს“.*

### ასენხო მალაგას სურს

„მალაგა“, რომელსაც „რეალის“ ყოფილი მწვრთნელი **მანუელ პელეგრინი** წვრთნის, მადრიდის „ატლეტიკოს“ გოლკიპერ **სერხიო ასენხოს** შეძენითაა დაინტერესებული. ანდალუსიელები ცუდად ასპარეზობენ, 16 მატჩში მათ 35 გოლი გაუშვეს და პელეგრინი გუნდის გაძლიერებაზე ფიქრობს. 21 წლის ასენხო კი შესაფერისი კანდიდატია, მას მადრიდულ კლუბში სათამაშო პრაქტიკა არა აქვს. ასენხომ კარიერა „ვალიადოლიდში“ დაიწყო, 2009 წელს ის „ატლეტიკოში“ გადავიდა, მაგრამ მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და ყველაფერი დაკარგა - ადგილი სასტარტოში, ახალგაზრდულ ნაკრებში...

### ის პრეზიდენტი გახდება

ეს სიტყვები „ბარსელონას“ პრეზიდენტ **სანდრო როსელს** ეკუთვნის, რომელიც მიიჩნევს, რომ **ხოსეპ გავრდიოლა** ადრე თუ გვიან „ბარსელონას“ პრეზიდენტი გახდება. „დიარიო ასთან“ ინტერვიუში როსელმა შემდეგი განაცხადა: *„გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, მას 10-ბალიანი სისტემით ათიანს დავუწერდი, რადგან ამაზე უკეთ თამაში უბრალოდ შეუძლებელია. გვარდიოლამ კარგად იცის, რომ მას კარგი წინადადება ელის ჩვენგან. მან იცის, რომ 2+3 წლიან კონტრაქტს შევთავაზებთ. საერთოდ ვერ ვხედავ პრობლემებს. ვფიქრობ, რომ მას კარგი შანსი აქვს ისეთივე კარიერა ჰქონდეს „ბარსელონაში“, როგორც სერ ალექს ფერგიუსონს - „მანჩესტერში“, ან ფრანც ბეკენბაუერს - „ბაიერნში“. დიახ, მიმაჩნია, რომ ერთ დღესაც ის კლუბის პრეზიდენტი გახდება“.*

### ნოლიტო: ბარსელონადან ბენფიკაში

„ბარსელონას“ ახალგაზრდა, ნიჭიერი ფორვარდი **ნოლიტო** სათამაშოდ პორტუგალიურ გრანდ „ბენფიკაში“ გადადის. 24 წლის ნოლიტო ლისაბონურ კლუბთან 4-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. ნოლიტო „ბარსას“ სარეზერვო გუნდის შეტევების ლიდერია, მაგრამ გვარდიოლამ სულ სამჯერ მისცა შანსი მას პირველ გუნდში (აქედან ორჯერ „სამეფო თასზე“). ამბობენ, ნოლიტოს მოთმინების ფიალა **ბოიან კრკიჩის** ახალმა კონტრაქტმა ამოუწურა. სხვათა შორის, მისით მოსკოვის „სპარტაკი“, „პანათინაიკოსი“, „მონაკო“ და „ფიორენტინა“ არიან დაინტერესებულნი.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## უცხოური ფეხბურთი



შალკელები გერმანიის თასის მეოთხედფინალში გასვლას ზეიმობენ

**სამშაბათს** გერმანიის თასის მერვედფინალის ოთხი მატჩი უნდა გამართულიყო, მაგრამ მხოლოდ ორი შეხვედრა შედგა. „ოფენბახისა“ და „ნიურნბერგის“, ასევე „კობლენცისა“ და „კაიზერსლაუტერნის“ დაპირისპირებები დიდთოვლობის გამო გადაიდო. „შალკემ“ „აუგსბურგი“ გააგდო, „ჰოფენჰაიმმა“ კი „გლადბახი“.

**აუგსბურგი-შალკე 0:1**

**აუგსბურგი (4-2-3-1):** იენტცში - ვერჰაეგი, მიორლე, სანკო, ბელინგჰაუზენი - ბრინკმანი, კვაკმანი - ს. ჰაინი, იორლი, ვერნერი (75. თურკი) - რაფაელი (60. ბერტრამი).

**შალკე (4-2-2-2):** ნოიერი - უჩიდა (92. მატიპი), ჰიოვედესი, მეტცელდერი, შმიტცი - კლუგე, რაკიტიჩი - ფარფანი, ხურადო (54. ედუ/89. პაპადოპულოსი) - ჰუნტელაარი, რაული.

**გოლი:** 0:1 ფარფანი (84)

**გაფრთხილება:** სანკო - მეტცელდერი, ჰუნტელაარი

**მაყურებელი:** 30 660

**ჰოფენჰაიმი-ბორუსია (მ) 2:0**

**ჰოფენჰაიმი (4-2-2-2):** ჰაასი - ბეკი, ვორსა, კომპერი, იბერტსბერგერი - რუდი, ლუის გუსტავო (91. იაისლე) - ვუკჩევიჩი, სალიჰოვიჩი - სიგურდსონი (89. თომალა), ბა (80. მლაპა).

**ბორუსია მ. (4-1-2-2-1):** ჰაიმეროთი - ლეველსი, კალსენ-ბრაკერი, დემსი, ვისინგი - ნოიშტედტერი - მარქსი (46. ჰერმანი), ბრედლი - როისი (89. ბეკერი), არანგო (67. მატმური) - დე კამარგო.

**გოლები:** 1:0 სიგურდსონი (35), 2:0 ბა (63)

**გაფრთხილება:** სიგურდსონი, რუდი, ვორსა

**მაყურებელი:** 23 500

გერმანიის თასი. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩები

# შალკე ძლივს, ჰოფე ერთი ამოსუნთქვით

## ორი თამაში დიდთოვლობის გამო გადაიდო

**ოფენბახი-ნიურნბერგი** გადაიდო

**კობლენცი-კლაუტერნი** გადაიდო

მეორე ბუნდესლიგის ლიდერმა „აუგსბურგმა“ გერმანიის თასის მერვედფინალში „შალკე“ ძალიან დიდხანს აწვალა და აწერვიულა. გელზენკირხენელებმა თამაში მაინც მოიგეს და მეოთხედფინალში გავიდნენ, საკმაოდ გვიანი, 84-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით, რომელიც **ჯეფერსონ ფარფანის** ანგარიშზეა.

მართალია, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ გელზენკირხენელებმა ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს. თვითონ განსაჯეთ: „შალკემ“ „აუგსბურგის“ კარისკენ პირველად მხოლოდ მე-60 წუთზე დაარტყა (**რაული**, ააცილა). ესეც რომ არ იყოს, შალკელები მეკარე **მანუელ ნოიერს** უნდა უმადლოდნენ, ანგარიში „აუგსბურგმა“ რომ არ გახსნა. ნოიერმა 65-ე წუთზე **ვერნერის**, ხოლო 82-ე წუთზე კი აუგსბურგელთა გოლეადორ **მიხაელ თურკის** დარტყმები მოიგერია.

**ფელიქს მაგათი** თავისი შეგირდების თამაშით უკმაყოფილო იყო, რაც თუნდაც იმაზე დაეტყო, რომ მეორე ტაიმში შეცვლაზე შესული **ედუ** 35 წუთში მოედნიდან ისევ გაიყვანა. მატჩის წინ ფელიქსი ფეხბურთელებს დაჰპირდა, თუ „აუგსბურგს“ მოუგებთ, შვებულებას გაგიხანგრძლივებთ და 26 დეკემბრის ნაცვლად 2 იანვარს შევიკრიბებითო, მაგრამ დიდი შანსია, რომ ასეთი თამაშის მერე მაგათმა დაპირება არ შეასრულოს და ფეხბურთელებს ახალი წელი ბაზაზე გაატარებინოს.

### გლადბახის კრიზისი დამძიმდა

„ჰოფენჰაიმმა“ 2010 წელი წარმატებით დაასრულა. **რალფ რანგნიკის** გუნდმა გერმანიის თასის მერვედფინალში მიონხენგლადბახის „ბორუსია“ უპრობლემოდ დაამარცხა (2:0) და მეოთხედფინალში გავიდა. ბუნდესლიგის აუტსაიდერ „გლადბახს“ 90 წუთის განმავლობაში ერთი რეალური საგოლე შანსიც კი არ ჰქონია - **მიხაელ ფრონტცეკის** შეგირდები ძალიან უემოციოდ თამაშობდნენ და ზედმეტად ბევრ შეცდომას უშვებდნენ. იმ დროს, როცა **სიგურდსონმა** შესანიშნავი საჯარიმო დარტყმით ანგარიში გახსნა, „გლადბახის“ მეკარე **ჰაიმეროთი** გამოიყურებოდა ძალიან ცუდად, **დემბა ბას** გოლის მომენტში კი „სოფლელების“ თავდამსხმელმა **სეიად სალიჰოვიჩის** მიერ ჩაწოდებული კუთხურის დროს ერთბაშად ოთხ (!) მიონხენგლადბახელს აჯობა და თამაშის ბედიც საბოლოოდ გადაწყვიტა. ეს იყო „გლადბახის“ ზედიზედ მე-6 მარცხი - გვირაბის ბოლოს სინათლე არ ჩანს.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, გადაწყვეტილია, რომ მიონხენგლადბახური კლუბის ხელმძღვანელები ფრონტცეკს არ გაათავისუფლებენ. „ბორუსიას“ მეორე წრესაც ეს სპეციალისტი დააწყებინებს.

ინტერვიუ. ივიცა ოლიჩი

# ეს ნამდვილი კოშმარია!

## ოლიჩის კარიერას საფრთხე ემუქრებოდა

**რამდენადაც** იღბლიანი იყო ივიცა ოლიჩისთვის წინა სეზონი, იმდენად უიღბლოა მიმდინარე. ხორვატმა თავდამსხმელმა გაზაფხულზე ჩემპიონთა ლიგაში ფურორი მოახდინა, ახლა კი ლაზარეთშია და მიმდინარე სეზონში ერთი მატჩიც კი არ ჩაუტარებია ხეირიანად. ოლიჩმა ოპერაცია ნოემბრის დასაწყისში, აშშ-ში, დოქტორ რიჩარდ სტიდმანთან გაიკეთა, რომელმაც მიუნხენური გრანდის გოლეადორს რვათვიანი იძულებითი პაუზა გამოუწერა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ სეზონში ივიცა ერთ მატჩსაც ვერ ჩაატარებს. „შპორტ აინსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ხორვატი ამბობს, ზაფხულამდე ველოსიპედზე სეირნობა რომ შევძლო, ესეც დიდი მიღწევა იქნებაო. 31 წლის თავდამსხმელმა ხსენებულ ინტერნეტგამოცემას ძალიან საინტერესო ინტერვიუ მისცა.

**- ჰერ ოლიჩ, 2010/2011 წლების სეზონი თქვენთვის ძალიან ადრე, დასაწყისშივე დასრულდა. ბევრს უკვე დაავიწყდით კიდეც. არადა, წინა სეზონში მთელი საფეხბურთო ევროპა გააოცეთ...**

- რვათვიანი პაუზა ფეხბურთელისთვის, რომელიც ნელ-ნელა არასაფეხბურთო ასაკს უახლოვდება, ნამდვილი კოშმარია. უკვე 31 წლის ვარ და ასეთი ტრავმა ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეულია. იმდენად მტკივნეული, რომ ძალიან მაგარი ანეკდოტი უნდა მომიყვეთ, გაცინება რომ შევძლო. მიუხედავად ამისა, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ და მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად რთული იქნება ფორმის აღდგენა - საუკეთესო კონდიციების დასაბრუნებლად ყველაფერს გავაკეთებ. და ზუსტად ვიცი, რომ ყველაფერი გამომივა, რადგან შრომას შედეგი ყოველთვის მოაქვს.

**- ოპტიმისტად რჩებით...**

- სწორად გამიგეთ, ცხადია, ძალიან გამიჭირდა, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერს უნდა შეეგუო. ყოველთვის ყველაფერი კარგად ან ცუდად ვერ იქნება.

**- მთელი სეზონი ფეხბურთის გარეშე - როგორია ივიცა ოლიჩის ერთი დღე ასეთ დროს?**

- სპორტული თვალსაზრისით ბევრს ვერაფერს ვაკეთებ. დღეში რამდენიმე საათის მანძილზე სპეციალური ვარჯიშებით დავდივარ, რათა ფეხმა ცოტა მაინც იმოძრაოს. ცხადია, ეს ძალიან მოსაწყენია. ამას უმეტესად 15-დან 19 საათამდე ვაკეთებ, მერე ვისვენებ, მერე ისევ ვმოძრაობ და ა.შ.

**- საშინელებაა...**

- ვცადე, ფეხზე მომაგრებული ვარჯიშით დამეძინა, მაგრამ ვერ შევძელი. ლოგინში გადაბრუნებას ვერ ვახერხებდი და ეს მართლა კოშმარია.

**- თქვენი ასეთი მძიმე ტრავმა ბევრს გაუკვირდა.**

- გასაკვირი არაფერი იყო, თუმცა ტრავმა მაინც მოულოდნელად დამატყდა თავს. ისე, მუხლში ტკივილებს ორი თვის მანძილზე ვგრძნობდი. იყო დრო, როცა მტკივანი ფეხით ვვარჯიშობდი და ვთამაშობდი. ტკივილები ხანდახან გამივლიდა ხოლმე, მაგრამ ეს ხომ არაფერს ნიშნავს. ვფიქრობდი, რომ გადამივლიდა, მაგრამ როცა მივხვდი, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, ექიმს მივმართე...

**- ექიმებმა კარიერის დასრულება ხომ არ გირჩიეს?**

- გადაწყვეტით არ უთქვამთ, ფეხბურთის თამაშს უნდა შეეშვაო, მაგრამ რამდენჯერმე სიტყვა გადამიკრეს, მითხრეს, შესაძლოა, უმჯობესი იყოს, რომ ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდოო, მაგრამ ამაზე ისეთი რეაქცია მქონდა, რომ მაშინვე ოპერაცია დაგეგმეს. კარიერის დასრულება ჩემთვის მართლა სერიოზული შოკი იქნებოდა და ძალიან შემეშინდა, რომ შეიძლებოდა, იძულებული გავმხდარიყავი, ფეხბურთისთვის თავი დამენებებინა. მერე ექიმმა მითხრა სასწრაფოდ ოპერაცია უნდა გაიკეთო, თუ არა და ორი კვირის მერე უკვე გვიანი იქნება და ფეხბურთს ველარასოდეს ითამაშებო. შესაბამისად, მოსაფიქრებელი დრო არ მითხოვია.

**- ლუის ვან გაალთან კონტაქტი ხშირად გაქვთ?**

- რა თქმა უნდა. თანაც, ლუისთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ოპერაციის წინ რომ ვესაუბრე, ისეთი რალაცები მითხრა, მონდომება გამიორმაგდა. ვან გაალი გენიალური პიროვნებაა.

**- ხშირად ამბობენ ხოლმე, როცა ფეხბურთელი ტრავმირებულია, სრულიად მარტო რჩებაო. თავს გუნდისგან იზოლირებულად ხომ არ გრძნობთ?**

- ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეთი რამ არ მიგრძნია. ბიჭებთან მუდმივი კონტაქტი მაქვს. ყოველდღე ზებენერშტრასეზე ვარ და რომელიმე თანაგუნდელს მაინც ვხვდები.

**- როგორ შეაფასებდით ბუნდესლიგის პირველ წრეს?**

- რთულია, როცა თანაგუნდელებს ვერ ეხმარები. სიმართლე გითხრათ, ვცდილობ, ფეხბურთზე ძალიან ცოტა ვიფიქრო, რადგან ეს მწუხარებას მიორმაგებს.



ივიცა ოლიჩი ამ სეზონში ერთ თამაშსაც ვერ ჩაატარებს

**- ოჯახის წევრები ალბათ მაქსიმალურად გეხმარებიან.**

- სახლში სტრესული მდგომარეობაა. მე ხომ ოთხი შვილი მყავს და რაკი სულ სახლში ვარ, ჩემზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. მეუღლეს ოჯახურ საქმეებშიც ვეხმარები. რამდენად კარგად გამომდის, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტია, რომ ვცდილობ. კარგი ის არის, რომ ჩემი ვარჯიშებით ბავშვები მაგრად ერთობიან.

**- ახლა ძალიან ბევრი თავისუფალი დრო გაქვთ და საინტერესოა, რას აკეთებთ?**

- ფეხბურთს ვუყურებ, ბავშვებს ვეთამაშები, ვკითხულობ, მაგრამ ესეც მომბეზრდა.

**- როგორ ფიქრობთ, რის მიღწევა შეუძლია „ბაიერნს“ ამ სეზონში, ივიცა ოლიჩის გარეშე?**

- ჩემი ტრავმა „ბაიერნისთვის“, რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ ხომ ხედავთ, მარიო გომესმა გოლების გატანა დაიწყო და ძალიან კარგ ფორმაშია. რეკორდმაისტერის ყველა თამაში ვნახე და ჩემი აზრით, „ბაიერნი“ მხოლოდ თავის თავზე უნდა იყოს კონცენტრირებული. მთავარია, ჩემმა თანაგუნდელებმა ზედიზედ რამდენიმე თამაში მოიგონ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. დარწმუნებული ვარ, „ბაიერნი“ მეორე წრეში დორტმუნდის „ბორუსიას“ უმძიმესი წნეხის ქვეშ მოაქცევს. ვფიქრობ, „ბაიერნს“ ჩემპიონთა ლიგაშიც შეუძლია წარმატების მიღწევა.

ტრანსფერი

# რენზინგი თხებმა შეიფარეს

## ფინკე კიოლნში იაპონელებსაც ჩაიყვანს?

**ფოლკერ ფინკეს** „კიოლნის“ სპორტულ დირექტორად მუშაობა ოფიციალურად ჯერ არ დაუწყია, მაგრამ პირველი ტრანსფერი უკვე სრულყო: გუშინ „კიოლნმა“ კონტრაქტი გაუფორმა მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილ მეკარე **მიხაელ რენზინგს**, რომელიც ზაფხულის მერე უკლუბოდ იყო. ამ ხუთი თვის განმავლობაში 26 წლის რენზინგი ბეცირკსობერლიგელ „გარხინგში“ ვარჯიშობდა და ცდილობდა, ფორმა შეენარჩუნებინა. „კიოლნთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას ვადა სეზონის ბოლომდე აქვს და თუ მიხაელმა იმედები გაამართლა, „თხები“ მას უფრო ხანგრძლივ კონტრაქტს გაუფორმებენ.

*„ეს ხუთი თვე ჩემს ცხოვრებაში ურთულესი პერიოდი იყო. „ბაიერნის“ მეკარეობის მერე უმუშევრად დარჩენა და ხუთი თვე უსაქმოდ ყოფნა ნებისმიერისთვის ტრაგედია იქნებოდა და არც მე ვარ გამონაკლისი. თუმცა ყოველდღე ვვარჯიშობდი და ვფიქრობ, რომ კარგ ფორმაში ვარ. მიხარია, რომ „კიოლნში“ ლუკას პოდოლსკი დამხვდება - ადამიანი, რომელიც „ბაიერნში“ ჩემი თანაგუნდელი და მეგობარი იყო,“* - განაცხადა რენზინგმა ოფიციალური პრეზენტაციის დროს. 26 წლის მიხაელი „კიოლნში“ **ფარიდ მონდრაგონს** შეცვლის. ამ უკანასკნელმა უკვე გააფორმა კონტრაქტი „ფილადელფიასთან“ და იანვრიდან კარიერას აშშ-ში გააგრძელებს.

*„მიხაელ რენზინგი ძალიან კარგი მეკარეა. შესაძლოა, „ბაიერნში“ ვერ გაამართლა, მაგრამ „კიოლნისთვის“ ამ ეტაპზე ზედგამოჭრილი კანდიდატურაა,* - აცხადებს ფინკე და იქვე დასძენს, - *ჩვენი მიზანი ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. მწვრთნელობა აღარ მინდოდა და სხვათა შორის, არც სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ვაპირებ.“*

ფინკე არც იმას გამორიცხავს, რომ „კიოლნში“ ერთი-ორი იაპონელი ფეხბურთელი ჩაიყვანოს. მოგეხსენებათ, ფოლკერი ერთი წელი იაპონიაში მუშაობდა და იქაურ ბაზარს ძალიან კარგად იცნობს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



გუშინ კიოლნმა მიხაელ რენზინგი ოფიციალურად წარადგინა

ინტერი

# ბენიტესი იმეილით დაითხოვეს

## ლეონარდო და ძენგა მზად არიან

„ინტერისა“ და **რაფა ბენიტესის** ურთიერთობა ნელ-ნელა დასასრულისკენ მიდის. უკვე ნათელი ხდება, რომ მალე შავ-ლურჯებს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლებათ. ორიოდე დღის წინ გაცნობეთ, რომ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მოგების შემდეგ ესპანელმა ლივერპულში შეიარა, სადაც სახლი აქვს და იქ ხანმოკლე შვებულება გაატარა.

„ლა გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, სწორედ ლივერპულში ყოფნისას მიიღო ბენიტესმა „ინტერის“ ოფისიდან იმეილი, რომელიც აუწყებდა, რომ გათავისუფლებული იყო. მოკლედ, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, თამამად შეგვიძლია, რაფა „ნერაძურის“ ყოფილ დამრიგებლად მოვიხსენიოთ.

იტალიური სპორტული მედია დროს უქმად არ კარგავს და უკვე ბენიტესის სავარაუდო მემკვიდრეებზე საუბრობს. ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად **ლეონარდოს** ასახელებენ, მეტიც, იმასაც კი ირწმუნებიან, რომ **მასიმო მორატი** მას უკვე შეეხმიანა და „ინტერი“ ბრაზილიელს ორწლიან კონტრაქტს სთავაზობს. ზედმეტია იმის შეხსენება, რომ გასული სეზონი ბრაზილიელმა „მილანის“ დამრიგებლის ამპლუაში გაატარა, მაგრამ იმედები ვერ გაამართლა და სეზონის დასრულებისთანავე დაითხოვეს. „მილანიდან“ წასვლის შემდეგ 41 წლის ლეონარდო სამშობლოში ცხოვრობს.

კიდევ ერთ კანდიდატად **ლუჩანო სპალეტის** მოიხსენიებდნენ, მაგრამ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტმა“ მის გაშვებაზე კატეგორიული უარი განაცხადა და ეს ვარიანტიც ავტომატურად გამოირიცხა.

ავტორიტეტული ბრიტანული ვებგვერდი goal.com კი იუწყება, რომ წარსულში სახელგანთქმული მეკარე და ამჟამად არაბული „ალ ნასერის“ თავკაცი **ვალტერ ძენგა** მზადაა, ახლანდელი კლუბი დაუყოვნებლივ დატოვოს და „ინტერს“ მიაშუროს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ განცხადებას იგი კონკრეტული შეთავაზების გარეშე არ გააკეთებდა.



ბენიტესმა ინტერს ხელი დაუქნიაო...

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, გუშინ მორატი ბენიტესის გათავისუფლებასაც უარყოფდა და მის პოტენციურ შემცვლელებთან მოლაპარაკებებსაც. *„შექმნილი სიტუაცია გამოსავლის ძებნისკენ გვიბიძგებს. „ინტერის“ მწვრთნელი ბენიტესია და არც სხვა მწვრთნელებთან გვილაპარაკია. ახლა ამ თემაზე მეტის თქმა არ შემიძლია“*, - განაცხადა „ინტერის“ პრეზიდენტმა.

ბოლოს კი იმ თემას შევეხოთ, რამაც ბენიტესს მკვეთრი განცხადებების გაკეთებისკენ უბიძგა. ალბათ მიხვდით, რომ „ინტერის“ სატრანსფერო პოლიტიკას ვგულისხმობთ. შეგახსენებთ, რაფამ საკლუბო მუნდიალის მოგების შემდეგ კლუბს ღიად მოსთხოვა სამიოთხი მაღალი დონის ფეხბურთელის შეძენა, რაზეც მორატისგან მკვახე უარი მიიღო.

„ინტერის“ ვიცე-პრეზიდენტმა **რინალდო გელფიმ** კლუბის ფინანსურ მდგომარეობაზე ვრცლად ისაუბრა და განაცხადა, რომ „ინტერმა“ მიმდინარე სეზონში დანახარჯები მკვეთრად შეამცირა.

რასაკვირველია, ეს პროცესი კლუბის სატრანსფერო პოლიტიკას უკავშირდება. ზაფხულში მილანელებმა „მანჩესტერ სიტის“ **მარიო ბალოტელი** მიჰყიდეს, მისი კალიბრისა და ღირებულების ფეხბურთელი კი არ უყიდიათ. ამის მიუხედავად, „ინტერის“ ჯიბე იტალიაში მაინც ყველაზე სქელია. ამ სეზონში კლუბის სახელფასო ფონდი 205-დან 234 მილიონ ევრომდე გაიზარდა, რაც სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგის მოგებით მიღებულმა შემოსავლებმა უზრუნველყო.

მორატის განცხადების მიუხედავად კი მაინც არაა გამორიცხული, რომ ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე „ინტერმაც“ შეიაროს. გუშინ გაირკვა, რომ მილანელები „უდინეზეს“ ჩილელი ფლანგელის, 20 მილიონ ევროდ შეფასებული 22 წლის **ალექსის სანჩესის** შეძენით არიან დაინტერესებულნი.

50 წლის ბენიტესს კი უმუშევრად დიდხანს დარჩენა არ უნდა ემუქრებოდეს. ბრიტანულ პრესაში უკვე გაიჟღერა ვარაუდმა, რომ „ლივერპულის“ ხელმძღვანელობა მალე **როი ჰოჯსონს** დაითხოვს და კლუბში ბენიტესს დააბრუნებს...

**ლევან ჯანეზაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# კვირკველია და ნოზაძე საქართველოს და ევროპის მიღმა

მონდომებას რომ ძალიან ბევრი რამე შეუძლია, გუშინ დაწყებულმა ბერძენ-რომაელთა საქართველოს ჩემპიონატმაც დაადასტურა. ჭიდაობის ფედერაციამაც გაითვალისწინა ერთი თვის წინ ჩატარებულ „თავისუფალთა“ ანალოგიურ შეჯიბრებაზე დაშვებული შეცდომები და ახლანდელი ტურნირი რადიკალურად განსხვავდება მაშინდელისგან - ამჯერად დარბაზში პოლიციელებიც მორიგეობენ, საჭიდაო არენის გასწვრივაც საკმაოდ მაღალი სარეკლამო აბრებია განთავსებული, მაყურებელი შედარებით იზოლირებულია ლეიბებისგან, მკაცრადაა გამიჯნული მსაჯთა ადგილი და იქ გარეშე პირები ვერ შედიან. აშკარად გაამართლა მთავარ მსაჯებად სომხების მოწვევამაც, თუმცა მათ გუშინ ბევრი საქმე ნამდვილად არ ჰქონიათ. ეტყობა, ფედერაციამ მწვრთნელებთან და ცალკეულ გუნდებთანაც იმუშავა. ყოველ შემთხვევაში, გუშინ გაპროტესტებული შეხვედრები ძალზე ცოტა იყო. ალბათ, იმიტომ, რომ მწვრთნელები ბევრად თავშეკავებულნი იყვნენ და იშვიათად კამათობდნენ. შეჯიბრება ბევრად უფრო მშვიდი და ორგანიზებულია. რაც მთავარია, ამჯერად გახსნის საზეიმო ცერემონიალი შედგა, რაც არანაკლები მიღწევა გვგონია.

ამ ყველაფერმა ჩემპიონატის საკმაოდ მაღალი დონე განაპირობა, რასაც ჭიდაობების ასევე ნორმალური ხარისხი დაემატა. ცხადია, ამ ეტაპზე ფალავნები საუკეთესო ფორმაში ვერ იქნებიან, მაგრამ, მთლიანობაში, მაღალი დონის შეხვედრები ვიხილეთ. გული მხოლოდ იმაზე თუ დაგვწყდება, რომ ახალი სახეები ნაკლებად ჩანდნენ. გამონაკლისია - წყალტუბოელი **გენადი ქუთათელაძე** (55), თბილისელი **ილია გულბათაშვილი** (74), ბათუმელი **მარად აბულაძე** (66). იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც კარგად ვიცნობთ ასაკობრივი ნაკრებებიდან და ქვეყნის წინა პირველობებზეც უჩვენებიათ შედეგები - ოზურგეთელი **ზურაბ მაჭარაშვილი**, ბათუმელი **ამირან შავაძე** (55), მისი თანაქალაქელი **ფირუზ წულუკიძე** (60), თბილისელი **ზურაბ დათუნაშვილი** (74), თუმცა ამ მხრივ მთავარ სიურპრიზად მაინც 66-ში გაჩემპიონებული ბათუმელი **არჩილ თურმანიძე** იქცა. **ზაზა სილაგაძის** აღზრდილი ბოლო წლებში თანდათან ყალიბდება ლიდერად - შარშან თბილისში გამართულ ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე ფინალში გავიდა, მაგრამ ფენომენალურ აზერბაიჯანელ **ჰასან ალიევთან** დამარცხდა. თურმანიძემ წლეულს წონითი კატეგორია შეიცვალა, რაც მალამოსავით მოუხდა - ადაპტაციის გარეშე მოიპოვა პირველივე წარმატება, თანაც ისეთ ძლიერ შეჯიბრებაში, როგორიც საქართველოს ჩემპიონატია. მან მთელი ტურნირი დამაჯერებლად განვლო, ფინალში კი ძველი ლიდერი - **მუხრან მაჭუტაძე** ძირითად დროში დაამარცხა. ესეც ერთი ნიშანი თაობათა ცვლისა, რაც ამ წონაში კანონზომიერად ხდება.

55-ში კვლავაც ქუთაისელმა **ლაშა გოგიტაძემ** გაიმარჯვა, რომელსაც ფინალში მაჭარაშვილმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. გოგიტაძე რამდენიმე წელიწადია, ამ წონის ლიდერია, თუმცა ჯერ ისიც ახალგაზრდაა. აქ ლამის ყოველწლიურად ჩნდებიან ხოლმე ახალგაზრდები, მაგრამ გოგიტაძის ლიდერობა დღემდე ვერავინ შეარყია.

60-ში ძველი სახეების კონკურენცია ვიხილეთ - ფინალში **რევაზ ლაშხმა** ქვედა წონიდან ამონაცვლებული ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ირაკლი ჭოჭუა** დაამარცხა. აქ ორი ახალგაზრდის - სამტრედიელი **გოგიტა გოგიბერაშვილისა** და ჭაბუკებში ევროპის ორგზის ჩემპიონის, ბათუმელი **ფირუზ წულუკიძის** მიღწევებსაც გამოვარჩევთ. ახალი თაობა აქაც მოდის და თუ მათ სათანადო ხელშეწყობა ექნებათ, თუ მათ განვითარებას სწორი გზით წარმართავენ, ლიდერობასაც აუცილებლად გადაიბარებენ.

ძველი თაობიდან ვისაც ყველაზე მეტად ეკუთვნის ქება, ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი ბერძენ-რომაელი **მანუჩარ ცხადაიაა**. ხობელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ქვეყნის პირველობაზე ამჯერადაც ზედა წონით კატეგორიაში - 74-ში გამოვიდა და კიდეც გაიმარჯვა. როგორც გაირკვა, ადრინდელისგან განსხვავებით, ამჯერად ის ამ წონაში დარჩენას აპირებს. ბოლო წლებში ცხადაიას წონის დაკლება ყოველთვის უჭირდა, თუმცა დიდი წვალებით მაინც აკეთებდა ამას, ახლა კი გადაუწყვეტია, თავი აღარ დაიტანჯოს. გუშინ ნანახით თუ ვიმსჯელებთ, ფრიად დამაჯერებლად იჭიდავა. რაც მთავარია, არც ახლა უღალატა საკმაოდ ტექნიკურ სტილს, რაც მას ყოველთვის გამოარჩევდა. ოღონდ ცოტა ნერვები უნდა მოთოკოს და როგორმე მეტი მტკიცე ხასიათი გამოიმუშაოს. მან ფინალში პირველი პერიოდი დათმო და მაშინაც ქულა უფრო თავისი გაცხარებით დაკარგა, როცა ჯერ მსაჯებს შეეკამათა და შეხვედრა გააპროტესტებინა, მერე კი, მისი პროტესტი რომ არ დააკმაყოფილეს, თავის მოთოკვა გაუჭირდა და გულბათაშვილმა იოლად აულო ქულა. თუმცა ცხადაიამ თავისი სიძლიერე მეორე პერიოდშივე დაამტკიცა, როცა ჯერ საკმაოდ დაკვირვებით, ჭკვიანურად მოამზადა ილეთი, მერე კი უზადო „ვერტუშკით“ სამქულიანი გდება მიითვალა. ის ცოტა უცნაურად მოიქცა დამატებით დროში, როცა შეხვედრის გაგრძელება მისი ასარჩევი იყო, მაგრამ... ჩოქბჯენში ჩადგომა არჩია! ალბათ, მოჭიდავეთა უმეტესობა საპირისპიროდ მოიქცეოდა, თუმცა, ეტყობა გრძნობდა, გუშინ ჩოქბჯენში თვითონ არ იყო მეტოქის დამტრიალებელი. ყოველ შემთხვევაში, პირველ პერიოდში ის სადავო ეპიზოდი იმ შემთხვევას მოჰყვა, როცა თავად ჩოქბჯენიდან ვერ დაატრიალა მეტოქე. ასეა თუ ისე, ამჯერად მისი უცნაური გადაწყვეტილება გამართლებული აღმოჩნდა - თავი კარგად დაიცვა და მომგებიანი ქულაც მოიპოვა. რაც შეეხება გულბათაშვილს, ისიც ქებას იმსახურებს. სხვას რომ თავი დავანებოთ, ნახევარფინალში გივი კარტოზიას სახელობის „დიდი პრიზის“ ტურნირის ჩემპიონი, ქუთაისელი **გიორგი ცირეკიძე** დაამარცხა, მაგრამ ჯერ ოსტატობა აკლია - ეს კარგად გამოჩნდა ცხადიასთან ორთაბრძოლაში, რომელიც იოლად აკონტროლებდა შეხვედრას, თავის სტილს ახვევდა თავზე... წაგების მიუხედავად, გულბათაშვილს გული დიდად არ უნდა დასწყდეს, რადგან საკმაოდ კარგად იჭიდავა, დახვეწა კი დროის და გამოცდილების ამბავია.

ჩემპიონატი დღეს დამთავრდება დარჩენილი სამი წონითი კატეგორიის წარმომადგენელთა შეხვედრებით და სწორედ დღეს იქნება ყველაზე დიდი დანაკლისი! აქამდე ისე ვიცოდით, რომ სამი ლიდერის გარდა, ყველა იჭიდავებდა, მაგრამ გუშინ საღამოს, აწონვის შემდეგ გაირკვა, რომ არც ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** (74) იასპარეზებს და არც ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონი **რამაზ ნოზაძე** (96). ორივეს ზედა წონაში უნდა ეჭიდავა, მაგრამ კვირკველიამ მიზეზად ავადმყოფობა დაასახელა, ნოზაძემ კი... აწონვაზე დააგვიანა! მათ ავტომატურად დაკარგეს ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება.

**ირაკლი თავაძე**

**კვარცხლბეკი.**

**55 კგ.** 1. ლაშა გოგიტაძე (ქუთაისი), 2. ზურაბ მაჭარაშვილი (ოზურგეთი), 3. ამირან შავაძე (აჭარა), გენადი ქუთათელაძე (წყალტუბო).

**60 კგ.** 1. რევაზ ლაშხი (ბორჯომი), 2. ირაკლი ჭოჭუა (თბილისი), 3. ფირუზ წულუკიძე (აჭარა), გოგიტა გოგიბერაშვილი (სამტრედია).

**66 კგ.** 1. არჩილ თურმანიძე 2. მუხრან მაჭუტაძე, 3. მარადი აბულაძე (აჭარა), ანტონ მამაგეიშვილი (ქუთაისი).

**74 კგ.** 1. მანუჩარ ცხადაია (ხობი), ილია გულბათაშვილი, 3. ზურაბ დათუნაშვილი (თბილისი), რამინ ფევაძე (აჭარა).

● მძლეოსნობა

# საუკეთესოები დაასახელეს

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ 2010 წლის შედეგები შეაჯამა და საუკეთესო სპორტსმენები დაასახელა. ქალებში უკონკურენციოდ გავიდა პირველ ადგილზე **მარიამ ქევხიშვილი**. ათენისა და პეკინის ოლიმპიადების მონაწილე ქართველი ათლეტი რამდენიმე წელიწადია, ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობს და იქვე ვარჯიშობს **ლემკეს** ხელმძღვანელობით. წლეულს მან ოკეანისგაღმა ბირთვის კვრაში სტუდენტთა 12 ტურნირი მოიგო, მათ შორის — სტუდენტური ლიგა და ამერიკის სტუდენტ მძლეოსან ქალთა შორის საუკეთესოდ აღიარეს. იმ შეჯიბრებებზე სამჯერ საქართველოს რეკორდი (18,47; 18,49; 18,59 მ) გააუმჯობესა. ამასთანავე, მარიამმა წლეულს მალტაში ევროპის B დივიზიონის პირველობა მოიგო, ხოლო კონტინენტის პირად-გუნდურ ჩემპიონატზე ბარსელონაში 17,87 მეტრით მე-10 ადგილი დაიკავა.

ვაჟებში საუკეთესოდ ახალციხელი **ენდრიკ ზილბერშტეინი** დაასახელეს. წლეულს მან ევროპის B დივიზიონის პირველობაზე 400 მეტრზე რბენაში ოქროს მედალი დაიმსახურა. ამავე დისტანციაზე საქართველოს და უკრაინის ჩემპიონობა მოიპოვა, თანაც კიევში მეოთხედი საუკუნის წინათ მიხეილ გაფრინდაშვილის მიერ დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა (47.19).

მძლეოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ წარმატებული რეგიონული ორგანიზაციებიც გამოავლინა - სამეგრელო-ზემო სვანეთი (რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი **რეზო ბუკია**), იმერეთი (**დავით ფრუიძე**) და სამცხე-ჯავახეთი (**ზიგმუნდ ზილბერშტეინი**).

**ვაჟა დანელია**



მარიამ ქევხიშვილი

## 2011 წლის 20 იანვარს

### საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებია

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის აღმასკომის გადაწყვეტილებით, ფედერაციის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები 2011 წლის 20 იანვარს გაიმართება. ადგილი და დრო მოგვიანებით გამოცხადდება.

ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველმა კანდიდატებმა განაცხადი მძლეოსნობის ფედერაციაში (მისამართი: ჩოლოყაშვილის 9 (ყოფილი ჭავჭავაძის 49/ბ) 2011 წლის 10 იანვრამდე უნდა წარმოადგინონ.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია

საქართველოს აბსოლუტური პირველობა ქართულ ჭიდაობაში

ფალავნობა 2010




24 დეკემბერი ქ. თბილისი სპორტკომპლექსი "მართვე"
ც.დადიანის №134 (ნაძალადევის რაიონი)
აწონვა 23 დეკემბერს, 16.00-17.00 სთ-მდე, შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიაში
მთავარი მსაჯი: საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ორგზის ფალავანი
ოთარ ჟურაშვილი

ჭადრაკი

## ქულით ჩამორჩება, შანსი რჩება...

ფრანგულ ვანდოვრ-დე-ნანსიში დასასრულს მიუახლოვდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველი დიდოსტატი **თორნიკე სანიკიძეც** მონაწილეობს. ბოლო ორ ტურში მან მონაგარს ქულა-ნახევარი შესძინა. მე-6 ტურში ფრანგ **ფილიპ ბროკეს** დაუზავდა, გუშინ კი მის თანამემამულე **კევინ ტერიეს** სძლია, შვიდი ტურის შემდეგ 5 ქულა მოაგროვა და მეოთხე-მეათე ადგილებს იყოფს. ფინიშამდე ორი ტურით ადრე საპრიზო ადგილებზე გასვლის შანსს ინარჩუნებს. 6 ქულით **ტიგრან გარამიანი** მეწინავეობს. 0,5:0,5 ქულით ნაკლები მოაგროვეს **იან-პიერ ლე რუმ** და **მატიე კორნეტმა** (ორივე- საფრანგეთი), რომლებიც მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებენ. მე-8 ტურში სანიკიძე (2558) თეთრებით ლე რუს (2520) დაუპირისპირდება.

## სტარტი მოგებით

გრონინგენში დაიწყო მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი. A კატეგორიის ტურნირში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა შორის თბილისელი **დავით ლობჟანიძეც** ცდის ძალებს. სტარტზე მან ჰოლანდიელ **კოენ ლამბრედს** სძლია. მეორე ტურში წილისყრამ სომეხ **ვაჰე ბალდასარიანს** შეახვედრა.

## ბოლო ტურის წინ

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ერთვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა. გათამაშების ცხრილის სათავეში კი ორი საერთაშორისო ოსტატი მოექცა - **მალხაზ სულაშვილი** და **შოთა აზალაძე**. სულაშვილმა შავი ფიგურებით დიმიტრი კვარაცხელია დაამარცხა, აზალაძე კი გიგა ყუფარაძეს შეუთანხმდა ყაიმზე. ლიდერებს 6,5-6,5 ქულა აქვთ და, დღევანდელი ბოლო ტურის შედეგების მიუხედავად, უმაღლეს ეშელონში თამაშის უფლება მოიპოვეს, რადგან ორი მდევარი (**ბაჩანა მორჩიაშვილი** და **ლუკა პაიჭაძე**) მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება, ხოლო ამდენივე (**დავით ზარქუა** და **გიგა ყუფარაძე**) — თითო ქულით. მართალია, 8 მონაწილეს 5-5 ქულა აქვს, მაგრამ მათ ლიდერებთან გათანაბრების შანსი აღარ აქვთ.

გაუწყებთ გუშინ გამართული 13 პარტიის ანგარიშებს:

შოთა აზალაძე-გიგა ყუფარაძე 0,5:0,5, დიმიტრი კვარაცხელია-მალხაზ სულაშვილი 0:1, გიორგი ბალათუროვი-ლუკა პაიჭაძე 0:1, ბაჩანა მორჩიაშვილი-ივერი ქილლაძე 1:0, ალექსანდრე ყაშაშვილი-დავით ზარქუა 0,5:0,5, ნიკოლოზ ჩხაიძე-გაიოზ ნიგალიძე 0:1, დავით მაღალაშვილი-გიორგი ხელაია 0:1, ირაკლი ბერაძე-ნიკოლოზ შავთვალაძე 0:1, ნატო იმნაძე-მადონა ბოკუჩავა 0:1, კახაბერ წერეთელი-ბექა ახალაძე 1:0, აკაკი შალამბერიძე-დავით ლომსაძე 0,5:0,5, ნათია ჯალაბაძე-გიორგი სიბაშვილი 1:0, ლიკა კობეშავიძე-ნიკოლოზ ქუმსიაშვილი 0:1

ბოლო ტურში უმაღლესი ლიგის 4 საგზურის გასანაწილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს სულაშვილი-მორჩიაშვილის, პაიჭაძე-აზალაძის, ზარქუა-ყუფარაძის, ნიგალიძე-ხელაიას, ბოკუჩავა-ბალათურიას, შავთვალაძე-კვარაცხელიას, ქილლაძე-ყაშაშვილის ორთაბრძოლათა შედეგებს.

## ჩემპიონობისთვის ყაიმით პყოფნის

თურქულ ანტაკიაში მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გუშინ მესამე პარტია გათამაშდა. ჩინელმა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **ჰოუ იფანმა** (2591) თეთრი ფიგურებით თანამემამულე **რუან ლუფეისთან** (2480) პაექრობისას ენდშპილში უარესი პოზიცია მიიღო, მაგრამ მის მეტოქეს ორი ზედმეტი პაიკი უპირატესობის სარეალიზაციოდ არ ეყო და შეხვედრა 75-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა. ანგარიში გახდა 2:1 იფანის სასარგებლოდ.

დღეს ბოლო - მეოთხე კლასიკური პარტია გათამაშდება. დაზავების შემთხვევაში იფანი ტიტულს მოიპოვებს.

ვაჟა დანელია

კალათბურთი. ინტერვიუ თორნიკე შენგელიასთან

# ბელგიაში ნებისმიერი მეტოქის ძლევა შეგვიძლია, თუ...



საქართველოს ნაკრებისა და ბელგიური „სპიროუ" „პეპინსტერის" ფორვარდი თორნიკე შენგელია საქართველოში დაბრუნდა. ცხადია, დროებით - ბელგიის ჩემპიონატში კათოლიკურ შობასთან დაკავშირებით შესვენება გამოცხადდა და კალათბურთელებსაც ერთკვირიანი შვებულებები ჩამოურიგეს.

თორნიკე „დინამოს" ბაზაზე ვნახეთ. იგი „სოხუმთან" ერთად ვარჯიშობდა, აშკარად ეტყობოდა, რომ კარგ ფორმაშია, რაც არაა გასაკვირი - ბელგიის ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლო მატჩი ხომ გასულ შაბათს გამართა.

- საქართველოში კვირას ჩამოვედი და 28 დეკემბრამდე დავრჩები. დროულად მოვასწარი გადმოფრენა - ახლა გავიგე, უამინდობის გამო ბელგიიდან კიევის მიმართულებით ფრენა აღარ ხორციელდება. ვიმედოვნებ, 28-მდე ევროპაში გამოიამინდებს და უკან დაბრუნებაში ხელი არ შემეშლება.

**- უახლოესი მატჩი როდის გაქვთ?**

- 8 იანვარს „მონსს" მივიღებთ. მანამდე კვირაზე მეტი დრო მოსამზადებლად.

**- საქართველოშიც ვარჯიშობ...**

- დილაობით ფიზმომზადებაზე ვმუშაობ, შუადღეს - გუნდთან ერთად, საღამოს - სროლებზე. ხუთი დღე ასეთი გრაფიკით ვივარჯიშებ, მერე ვნახოთ.

**- ამ სეზონში „პეპინსტერი" როგორი გუნდია, რა სტილში თამაშობს?**

- გუნდში 7 ამერიკელია, ფიზიკურად კარგად ვართ მომზადებულები და თამაშის სტილიც შესაბამისია - ძალისმიერი, სწრაფი...

**- მაგრამ სასურველ შედეგს ვერ უჩვენებთ. 10-დან მხოლოდ 2 მატჩი მოიგეთ.**

- ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ გუნდურ კალათბურთს არ ვთამაშობდით. თუმცა, იყო ცოტა უიღბლობაც, ბოლო წუთებზე რამდენიმე მატჩი დავთმეთ. ბელგიაში ისეთი ჩემპიონატია, ნებისმიერს შეუძლია ფავორიტის დამარცხება.

**- უფროსობა „პეპინსტერის" მთავარი მწვრთნელით კმაყოფილია?**

- მან თავისი პოსტი უკვე დატოვა. ბელგიაში რომ ჩავალ, ალბათ ახალი მწვრთნელი დამხვდება. ჯერ არ ვიცი, ვინ მოვა გუნდში.

**- ზემოთ თქვი, ნებისმიერს შეუძლია ფავორიტის ძლევაო. „პეპინსტერს" აქვს ევროლიგის წარმომადგენლის, „შარლერუას" დამარცხების შანსი?**

- ამ გუნდთან ერთი მატჩი ჩავატარეთ, პირველ ტაიმში ვაჯობეთ, მესამე პერიოდიც თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მაგრამ ბოლო მეოთხედში დავმარცხდით. შემიძლია ისიც ვთქვა, რომ ბელგიაში არ მეგულება გუნდი, რომლის დამარცხება არ შეგვეძლოს. ამისთვის უფრო გუნდური თამაში და დაცვაში უკეთ მოქმედებაა საჭირო.

**- შარშან ესპანეთის ება-ში თამაშობდი და იქაურ უმაღლეს ლიგაშიც არაერთი მატჩი ჩაგიტარებია. შესაბამისად, არ უნდა გაგიჭირდეს ბელგიის ჩემპიონატის დონეზე ლაპარაკი.**

- ბელგიაში ბევრი ამერიკელია, ძირითადად ისინი, ვისაც მანამდე ევროპაში საკუთარი შესაძლებლობები დამტკიცებული აქვს. ევროლიგის წლევანდელ გათამაშებაში „შარლერუამ" მადრიდის „რეალი" და „უნიკახა" დაამარცხა. ეს შემთხვევითი მოგებები არ ყოფილა, ბელგიელებს ძლიერი ჩემპიონატი აქვთ, თუმცა „რეალის" ძლევა არც იმას ნიშნავს, რომ ბელგიის პირველობა ესპანეთისას სჯობს. ესპანელებს ევროპაში საუკეთესო ჩემპიონატი აქვთ.

**- სეზონის დასაწყისთან შედარებით სათამაშო დრო შეგიმცირდა...**

- საწყის მატჩებში მოედანზე 25 წუთს ვატარებდი, ბოლოს 10-12 წუთით მიწევს თამაში. მწვრთნელმა გადაწყვიტა ასე. თუმცა ვცდილობ დროის თუნდაც მცირე მონაკვეთში გუნდს სათანადოდ დავეხმარო. ვიმედოვნებ, ახალი მწვრთნელისგან მეტ ნდობას დავიმსახურებ.

**- „კონტრაქტით" შარლერუას ეკუთვნი. ამ კლუბიდან სეზონის მსვლელობისას ხომ არ დაგკავშირებიან?**

- „პეპინსტერში" იჯარით ვარ და სეზონის ბოლომდე იქ ვითამაშებ. ძალიან მინდა, თამაში გამოვასწოროთ და სატურნირო ცხრილში ზემოთ ავინაცვლოთ.

ვაჟა სიმონიშვილი

ინტერვიუ ლევან ფაცაციასთან

# ტროასა და სოხუმის დასაცავად!

ამერიკის კოლეჯების ლიგაში არაერთი ქართველი კალათბურთელი თამაშობს. ზოგი ზედა ეშელონშია, ზოგი იუნიორთა ლიგაში. სეზონის განმავლობაში ყველა „კოლეჯელს" შეგახვედრებთ. დღეს **დიმიტრი ფაცაციას** თამაშზე მოგითხრობთ, რომელიც სტატისტიკას წლიდან წლამდე აუმჯობესებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამერიკაში წასვლის შემდეგ იგი ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს წლეულს ატარებს: „ტროას" უნივერსიტეტის თერთმეტივე მატჩი სასტარტო ხუთეულში (მესამე ნომრის პოზიციაზე) დაიწყო. მისი სრული სტატისტიკა ასე გამოიყურება: საშუალოდ 32.2 წუთი 10.6 ქულა, 5.5 მოხსნა, 2.2 პასი, 1.2 ჩაჭრა (1.6 შეცდომა).

„ტროას" მიერ ჩატარებული 11 მატჩიდან ორში ქართველი ფორვარდი გუნდის ბომბარდირი გახდა, ხოლო სამჯერ ყველაზე მეტი მოხსნა მიითვალა. 11 შეხვედრა კი ვახსენეთ, მაგრამ საწყისი 9 მატჩი წინასასეზონო იყო, თუმცა ამერიკაში მათ ოფიციალურ კალენდარში თვლიან. რომ აღარ აგაბნიოთ, გეტყვით, რომ „ტროამ" NCAA-ში ჯერჯერობით ერთი შეხვედრა ჩაატარა - „ფლორიდა ატლანტიკს" დაუპირისპირდა. მატჩი დაძაბული გამოდგა და გამარჯვებული ოვერტაიმში გამოვლინდა - ფლორიდელებმა 82:77 მოიგეს. ტროელთაგან საუკეთესო სწორედ ქართველი თავდამსხმელი იყო, რომელმაც 41 წუთში 21 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა.



„ტროა" NCAA-ს მომდევნო მატჩს იანვარში ჩაატარებს. მანამდე ფაცაციას თანაგუნდელები იუტას კოლეჯის მიერ მოწყობილ ტურნირზე ითამაშებენ... უფრო სწორად, თამაშობენ - შეჯიბრების გახსნით მატჩში, 21 დეკემბერს „ტროამ" „მიჩიგანი" 102:99 დაამარცხა. ლევანის გუნდი ოვერტაიმს ვერც ამჯერად ასცდა.

ფაცაცია სასტარტო ხუთეულში იყო 31 წუთი, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში თავი არ გამოუჩენია - მხოლოდ სამი ქულა ჩააგდო. სამაგიეროდ, თანაგუნდელებს 8 პასი ჩამოურიგა, რასაც 6 მოხსნა და 2 ჩაჭრა მიაყოლა.

„მიჩიგანთან" მატჩამდე ლევან ფაცაციას ამერიკეში შევეხმიანეთ.

- NCAA-ში ერთი შეხვედრა ჩავატარეთ, „ფლორიდა ატლანტიკთან" ოვერტაიმში დავმარცხდით. მანამდე 9 შეხვედრა საგამოფენო იყო, თუმცა აქ ამ მატჩებს დიდ ყურადღებას აქცევენ. ასეთ შეხვედრებში სხვადასხვა კონფერენციების წარმომადგენლებს ვეთამაშებოდით, უმთავრესად კოლეჯების ლიგის საუკეთესო გუნდებს. მწვრთნელის თქმით NCAA-ს ფავორიტებთან საგამოფენო მატჩებში უკეთ მოვემზადებოდით. საწყისი ორი შეხვედრა მოვიგეთ, შვიდი წავაგეთ. თუმცა, არაერთში გვქონდა მოგების კარგი შანსი - ორჯერ დამატებით დროში დავმარცხდით.

**- სეზონი კარგად დაიწყე...**

- მცირე ტრავმის გამო ორ მატჩში სათანადოდ ვერ ვითამაშე, თუმცა ყოველ შეხვედრაში სასტარტო ხუთეულში ვიყავი. იმედი მაქვს, თამაშს კიდევ უფრო გავაუმჯობესებ.

**- მძიმე ფორვარდისთვის უჩვეულოდ არაერთ სამქულიანს ესვრი...**

- მსუბუქ ფორვარდად ვთამაშობ. მეოთხე ნომრის პოზიციაზე პეტერსონია.

**- კოლეჯების ლიგაში „ტროა" რა მიზნებს ისახავს?**

- შეჯიბრებისთვის სერიოზულად ვემზადებით. კარგი გუნდი გვყავს და პლეი ოფის საგზურისთვის ვიბრძოლებთ.

**- უნივერსიტეტში რა სპეციალობას ეუფლები?**

- სოციოლოგიას. მაინტერესებს ხალხთან ურთიერთობა და ფსიქოლოგია.

**- სწავლას როდის ამთავრებ?**

- გაზაფხულზე. შესაბამისად, ამერიკაში ეს ჩემთვის ბოლო სეზონია. საქართველოში დაბრუნებას და კარიერის ევროპაში გაგრძელებას ვაპირებ.

**- ჯერ საქართველოში, მერე ევროპაში?**

- სუპერლიგაში მოასპარეზე „სოხუმის" განაცხადში უკვე შემიყვანეს. სწავლასა და კოლეჯების ლიგაში თამაშს რომ დავასრულებ, სოხუმელებს შევუერთდები. იმედი მაქვს, შედეგიანადაც ვითამაშებთ. თუმცა, წინასწარ არ ვიცი, ამერიკაში სეზონი როდის დასრულდება და როდის მომიწევს საქართველოში ჩამოსვლა.

ვაჟა სიმონიშვილი

ლეგიონერი

# შერმადინის გაქცევა, ოლიმპიას წაქცევა

## პირველი ეტაპი მეორეზე

წინასწარ გეტყვით: ევროლიგის ბოლო ტურში „ოლიმპიასთვის" წაგება ტრაგედია არ იქნებოდა. მის მეტოქე „ვალენსიას" კი შეიძლება ჯგუფში ჩარჩენად დაჯდომოდა. შესაბამისად, როგორც ყოველთვის, ოლიმპიელებმა ლაღად ითამაშეს და ესპანეთში გამარჯვებაც თითქოს ჯიბეში ჰქონდათ...

საწყის სამ პერიოდზე არაფერს ვიტყვით. ერთი იმიტომ, რომ მწვრთნელმა **გიორგი შერმადინს** ცოტა სათამაშო დრო მისცა და მეორე - მთავარი მოვლენები ბოლო პერიოდში განვითარდა.

32-ე წუთზე „ოლიმპიას" სასტარტო ცენტრმა **კევინ პინკნიმ** (27 ქულა) მესამე ჯარიმა მიიღო და მწვრთნელმა მის ნაცვლად ქართველი ცენტრი შეუშვა. პინკნისგან დაზარალებულმა **დე კოლომ** ორივე საჯარიმო ჩააგდო და „ვალენსიას" ჩამორჩენა ერთ ქულამდე შეამცირა. ამის შემდეგ „ოლიმპია" 11:5 გაიქცა. რომლის დროსაც გიორგიმ ორი საჯარიმო ჩააგდო, ერთი ჩატენა, ორი პასიც მიითვალა... მოკლედ, 9 ქულა უშუალოდ მისი შრომის შედეგი იყო. ამასობაში „ოლიმპიას" უპირატესობა 7 ქულამდე გაიზარდა (70:63), სირენამდე კი 5 წუთი რჩებოდა.

დანებებას არ აპირებდა უკრაინელი **სერგეი ლიშჩუკი**, რომელმაც ფარიდან მოშორებით მყოფმა ორი ორქულიანი გამოიყენა და ესპანელებს თამაშის გადარჩენის იმედი დაუბრუნა. ბოლო წამებამდე თანაბარი თამაში გაჩაღდა. მატჩის დასრულებას 1.3 წამი უკლდა, როცა ოლიმპიელი **კენი გრეგორი** საჯარიმოს ხაზთან დადგა, პირველი ტყორცნა ააცილა, მეორის განზრახ გაცუდება სცადა, მაგრამ ბურთი მოულოდნელად კალათში ჩაეშვა (77:75 სლოვენიელთა სასარგებლოდ). ამან „ვალენსიას" მწვრთნელს **სვეტისლავ პეშიჩს** წუთშესვენების აღებისა და თამაშის მეტოქის ნახევრიდან განახლების საშუალება მისცა. შესვენებიდან დაბრუნების შემდეგ მოედანზე გამოჩნდა გიორგი შერმადინი, რომელიც მწვრთნელმა ბურთის შემომტანის წინ დააყენა, რათა თვალთახედვის დიაპაზონი შეემცირებინა. თუმცა, „ოლიმპიას" უკანახაზელებს უმეთვალყუროდ დარჩათ **დუშკო სავანოვიჩი**, რომელმაც დაახლოებით 8 მეტრიდან სამქულიანი ჩააგდო და ადგილობრივი გულშემატკივარი ძალიან გაახარა.

შერმადინმა 10:34 წუთი ითამაშა, 4 ქულა (1-დან 1 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 2 პასი, 1 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. მან მეტოქეს წესები ოთხჯერ დაარღვევინა, თვითონ ერთხელაც არ დაჯარიმებულა.

„ოლიმპიამ" D ჯგუფში გამოსვლა 6 მოგებითა და 2 წაგებით მეორე ადგილზე დაასრულა. პირველი ადგილი „პანათინაიკოსს" ერგო (7 გამარჯვება), მესამე - „ეფესს", მეოთხე - „ვალენსიას", მეხუთე - „მილანს", მეექვსე - ცსკა-ს. ბოლო ორი გუნდი ევროლიგას დაემშვიდობა. მეორე ჯგუფური ეტაპი იანვარში დაიწყება.

ვაჟა სიმონიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართული სპორტული ქრონიკები

## შეხვედრა წარსულთან

# ეპიზოდები ქართველ ფალავანთა ცხოვრებიდან

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის მიდამოებში ადრე საჭიდაო სარბიელი ყოფილა. **ვანო აბულაძე**, რომელსაც ხალხი „კამბეჩუას" ეძახდა, ერთხელ ამ მოედანზე ხვდებოდა ერთ უცხოელ გოლიათს (თვითონ კამბეჩუა არ იყო გოლიათური აღნაგობის). იმდენი ხალხი მოაწყდა, ქუჩა გადაიკეტა, ფაეტონები და კონკები გზაში ჩაიხერგა. გამოიძახეს პოლიცია, მაგრამ წესრიგი მაინც ვერ დაამყარეს. ჭიდაობა მალე გათავდა — კამბეჩუამ ბეჭებზე დასცა გოლიათი, პოლიციელები გაცვივდნენ ქუჩაში და შეკრებილთ ხმამაღლა ამცნეს ეს ამბავი, მხოლოდ ამ გზით შეძლეს სარბიელის მიღმა მყოფი ხალხის დაშლა.

1885 წლის 11 აგვისტოს ძველ სენაკში თვით **ნესტორ ესებუა** გამოდიოდა სარბიელზე მშობლიურ კუთხეში. მართალია, ბილეთები წინასწარ იყო გაყიდული, მაგრამ ბულვარში მოწყობილ საჭიდაოს დასავლეთ საქართველოს დაბა-სოფლებიდან იმდენი უბილეთო ხალხი მოაწყდა, რომ მათი სატევი ადგილი იქ აღარ იყო. უანგარიშო ხალხის ოდნავ გაფანტვა ერთმა გამჭრიახმა ქომაგმა მოახერხა. ხმა დააგდო — ესებუას აფიშაში გამოცხადებული ფალავნის ნაცვლად სხვა მოუწვევიათო...

კოლაგელი (გურჯაანელი) ფალავანი **ირაკლი კახელი (ვაჩნაძე)** დიდუბეში „გრიშუას ბაღში" — ციციშვილების „კნიაზების კრუგში", ხვდებოდა გამოჩენილ ფალავანს **ახკი სულეიმანს** (სხვათა შორის, ვაჩნაძის თანასოფლელია ევროპის, მსოფლიოსა და პეკინის (2008) ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, თავისუფალ ჭიდაობაში **რევაზ მინდორაშვილი**).

ვაჩნაძე-სულეიმანის შერკინებას სჯიდნენ: **ვანო ჩიბალოვი**, რომელსაც ყველა „შენ დაუკას" ეძახდა; აგრეთვე მომღერალი **ვანო სარაჯიშვილი**, იურისტი **შალვა მესხიშვილი** და პოეტი **ბეჩარა (ვასილ ბერიევი)**.

ირაკლი კახელის ბრწყინვალე გამარჯვებით აღფრთოვანებულ ხალხს ვაჩნაძისთვის ტანისამოსის ჩაცმა არ დაუცლია, საჭიდაო ჩოხითვე გამოუყვანია გარეთ, უმალვე ბალდადების ქნევით ოციოდე ეტლი მოგრიალებულა. შემდეგ კი ვერის ბაღებისკენ გაუქანებიათ...

ხშირად საჭიდაო მოედნები ფალავნობისას სავსე იყო ქომაგებით. სამი იმდენიც გარეთ იცდიდა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა და ჭიდაობის ირგვლივ მსჯელობდა. მალ-მალე კი შიგნით შიკრიკს გზავნიდნენ, ამბის გასაგებად...

ფალავნობის ამირანებს ხშირად უწერდა ლექსებს და უმღეროდა სახალხო მოლექსე **იეთიმ გურჯი (დაბლიშვილი)**:

„ვანოს ვიცნობ გლდანელსა ფალავანი გმირია,
შაშოს თავით ძმებითა მერე ჯიჯიშვილია,
მეჯვრისხეველ იოსებას დასჭირდება ქებაო,
ამ ჩვენ გლდანელ მიტოსაც კვლავ წრე მოუხდებაო.
ლამისყანელს აქებენ არცთუ დაუხევია,
კანდელაკსა სანდროსა — საქართველოს დევია".

ქართულ ჭიდაობას და ფალავნობას თავისი დაუწერელი კანონები აქვს. ის ცეცხლი, შემართება, რიტმი, რომელიც მას ოდითგან მოსდევს, თუ ჩამოშორდა, მაშინ დაკნინდება და ჩაქრება.

ღმერთმა ნუ ქნას!

**გაბრიელ ბარჯაძე**



ნესტორ ესებუა (მარცხნივ) და კულა გლდანელი

## იყო ასეთი შემთხვევა

# ფეხბურთელები კალათბურთის მოედანზე

1944 წელს თბილისის „დინამოს" კალათბურთელებს ბაქოელი თანაკლუბელები ეწვივნენ ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად. ყველა დაგეგმილი შეხვედრის ჩატარების შემდეგ სტუმრებმა კიდევ ერთი მატჩის ჩატარება ითხოვეს... ოღონდ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებთან. ამ თამაშის ერთ-ერთი ინიციატორი **ბორის პაიჭაძე** იხსენებდა: „გამოწვევა მივიღეთ, ვვარჯიშობდით მთელი ღამე, დასაძინებლად მხოლოდ დილით წავედით. საღამოს მოედანზე ვიყავით საფეხბურთო ჩაცმულობით — კოჭებამდე გრძელ ტრუსებში, რამაც ფეხბურთის და კალათბურთის მოყვარულებით გადაჭედილ დარბაზში ღიმილი გამოიწვია (ზესტაპონის ქუჩაზე ეს დარბაზი იყო, რომელიც 1991 წელს სამოქალაქო დაპირისპირებისას დაინგრა. რედ.).

თბილისელთა სასტარტო ხუთეულში თამაშობდნენ **ბორის ფრილოვი, უშანგი სალიაძე, ვიქტორ პანიუკოვი, არჩილ კიკნაძე** და **ვიქტორ ბერეჟნოი**. ჩემთან ერთად სათადარიგოთა შორის იყვნენ **გიორგი ჭელიძე, გაიოზ ჯეჯელავა** და **მიხეილ ბერძენიშვილი**. მასაჯობდა საკავშირო კატეგორიის არბიტრი **მიხეილ ცხვედაძე**. მატჩი ფეხბურთელებმა მოიგეს 3 ქულის სხვაობით.

ასე არასდროს მინერვიულია, ძალიან რთული ყოფილა სათადარიგოთა სკამიდან თანაგუნდელების თამაშისთვის თვალის „დევნება".

**მოამზადა გარუნ აკოპოვმა**

## დროება წერდა...

**უვარჯიშებოდ და უმოძრაოდ დაგდება ძალიან ასუსტებს არათუ მარტო სხეულს და ჯანმრთელობას, არამედ თვით გონებასაც.**

გაზ. „დროება". 1871

## თარიღი 25-29 დეკემბერი



ვლადიმერ რუბაშვილი მწვრთნელ მიხეილ თიკანაძესთან ერთად 1961 წელი

**25.XII.1951 წ.** დაიბადა **დავით კვაჭაძე** - კრივი.

**26.XII.1940 წ.** დაიბადა **ვლადიმერ რუბაშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა. ავტოკატასტროფაში დაიღუპა 1964 წელს.

**26.XII.1958 წ.** დაიბადა **შოთა ხაბარელი** - ძიუდო.

**26.XII.1954 წ.** დაიბადა **ვახტანგ კოპალეიშვილი** - ფეხბურთი.

**27.XII.1912 წ.** დაიბადა **ნესტორ ჩხატარაშვილი** — ფეხბურთი (მსაჯი, მწვრთნელი). გარდაიცვალა 2005 წელს.

**27.XII.1952 წ.** დაიბადა **ამბერკი ტაბიძე** - ხელბურთი.

**27.XII.1910 წ.** დაიბადა **ლევ კაპიტონოვი** - თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (მწვრთნელი). გარდაიცვალა 1993 წელს.

**29.XII.1914 წ.** დაიბადა **გაიოზ ჯეჯელავა** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 2005 წელს.

**29.XII.1929 წ.** დაიბადა **გალინა შარაბიძე**-მინაიჩევა - ტანვარჯიში.

**29.XII.1920 წ.** დაიბადა **დავით ჩირაძე** - ჭადრაკი (მწვრთნელი). გარდაიცვალა 1987 წელს.

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** ქართველი სპორტსმენი, რომელმაც ჯერ თავის სამშობლოს მოუტანა ოლიმპიური ოქროს მედალი, შემდეგ კი სხვა ქვეყნის (საბერძნეთი) სახელით ორჯერ დადგა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, იყო ძალოსანი **კახი კახიაშვილი.**

**პირველმა** ქართველი სპორტსმენებიდან ევროპის ჩემპიონის ტიტულის სარეკორდო რაოდენობას თავი მოუყარა თბილისელმა ჩოგბურთელმა **ალექსანდრე მეტრეველმა**, იგი ჩვენი კონტინენტის 16-გზის გამარჯვებულია.

**პირველად** საქართველოს მკლავჭიდელებმა 1989 წელს ჩაატარეს ოფიციალური შეჯიბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში **ვახტანგ მუსელიანის** თაოსნობით.

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

**1. სპორტის რომელ სახეობაში აქვს მოპოვებული დღემდე სპორტის ოლიმპიურ სახეობებში საქართველოს სპორტსმენებს ყველაზე მეტი ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები ევროპის ჩემპიონატებში?**

ა – თავისუფალ ჭიდაობაში
ბ – ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში
გ – ძიუდოში

**2. რომელმა ქართველმა ფალავანმა დაიმსახურა პირველმა ოლიმპიური მედალი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში?**

ა – გივი კარტოზიამ
ბ – შალვა ჩიხლაძემ
გ – რომან ძნელაძემ

**3. ვინ იყო საქართველოდან მსოფლიოს პირველი ჩემპიონი წყალბურთში?**

ა – მიხეილ გიორგაძე
ბ – ლერი გოგოლაძე
გ – გივი ჩიძავაძე

**4. ევროპის რამდენგზის ჩემპიონია თავისუფალ ჭიდაობაში ზარბეგ ბერიაშვილი?**

ა – ორგზის
ბ – სამგზის
გ – ოთხგზის

**5 რომელ წელს შედგა გივი ჩოხელის დებიუტი სსრ კავშირის საფეხბურთო ნაკრებში?**

ა – 1958 წელს
ბ – 1959 წელს
გ – 1960 წელს

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-გ.

## გამოხმაურება

„ქართული ქრონიკების" წინა გამოშვებაში გამოქვეყნებულ ამ ფოტოს იმავე დღეს გამოეხმაურა თბილისელი **ნუგზარ ებელაშვილი** და გვაცნობა ფოტოზე აღბეჭდილთა ვინაობა. მარცხნიდან: I რიგში — ამირხანაშვილი, ბუღდან ბაღაკაშვილი, ანზორ ქიბროშვილი; II რიგში — ოთარ კირვალიძე, ნოდარ ჩორგოლიანი, ანზორ ებელაშვილი, მიშა გულბათაშვილი, ჟორა ქორიშვილი, ვიქტორ ნაგლაძე, გოგი ქორიშვილი.

სურათი 1958 წლის 15 იანვარს, წინამძღვრიანთკარის სასოფლო - სამეურნეო ტექნიკუმის ეზოშია გადაღებული.



## ფოტო ლელოს არქივიდან



1939 წლის 24 მაისი. თბილისი. „დინამო"-ცსკა – 2:1. ორივე გოლი მაყურებლით გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ ბორის პაიჭაძემ (ცენტრში თეთრ ტრუსში) გაიტანა.

# კროსვორდი



პასუხები ხვალინდელ ნომერში

თარაზულად: 1. სპორტის ქართული სახეობა; 3. საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების კაპიტანი; 7. აკრობატული ფიგურა; 8. საქართველოს მთაში გავრცელებული დოღის სახეობა; 12. სახელოვანი ქართველი ხელბურთელი, მეკარე; 13. ბათუმის საფეხბურთო კლუბი; 14. წარსულში ქართული ფეხბურთის მეცენატი ..... შევარდნაძე; 16. ქართველი მოჭადრაკის, იზორიას სახელი; 17. უმაღლესი მწვერვალი ევროპაში; 19. მოსკოვის „ტორპედოს" მწვრთნელი, რომლის დროსაც პირველად გამოვლინდა სლავა მეტრეველის ტალანტი; 20. სპორტული ნაწარმის ფირმა; 23. ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი ფეხბურთელი; 25. გორის საფეხბურთო კლუბი; 28. ქართული საბრძოლო ხელოვნების სახეობა; 29. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი; 31. „გაგრას" სავარჯიშო სტადიონი.

შვეულად: 1. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი; 2. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მეკარე; 4. ცნობილი ქართველი მხატვრული ტანმოვარჯიშე; 5. მანუჩარ კვირკველიას მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში; 6. სპორტული მატჩი, რომელიც სატურნირო დატვირთვას არ შეიცავს; 9. ვეტერანი ქართველი ძიუდოისტი და მწვრთნელი; 10. სწრაფი თავდასხმა სპორტულ მოწინააღმდეგეზე; 11. ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია (აბრევიატურა); 15. მეკარე გუნდურ თამაშებში; 18. ძიუდოს ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი; 21. თბილისის „დინამოს" ყოფილი მწვრთნელი ... კახელაძე; 22. აზერბაიჯანული „ნეფტჩის" მთავარი მწვრთნელი; 24. რუსთავის ყოფილი საკალათბურთო გუნდი; 26. ვლადიმერ გუცაევის ნომერი თბილისის „დინამოში"; 27. საერთო ევროპული ვალუტა; 30. თბილისის საკალათბურთო გუნდი.

შეადგინა ლალი ქიქინაძემ

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

## ტულონური რევოლუცია



ჯორჯ გრეგანი (ბურთით) და გია ლაბაძე

# ბურჯელალის ანდამატი

საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი" მსოფლიო რაგბის ვარსკვლავებს ანდამატივით იზიდავს. ახლახან ცნობილი გახდა, რომ ინგლისის ნაკრების მგეზავმა **ჯონი ვილკინსონმა** გუნდთან კონტრაქტი ერთი წლით გააახანგრძლივა.

„ტულონის" მულტიმილიონერი პრეზიდენტი **მურად ბურჯელალი**, რომელიც რაგბიზე სიგიჟემდეა შეყვარებული, უკვე მერამდენე წელიწადია სუპერგუნდის შექმნას ცდილობს და საამისოდ, მეგავარსკვლავებს იწვევს, არ იშურებს არც ფულს და არც დროს, თუმცა მიზნის მიღწევას ვერაფრით ახერხებს.

ბურჯელალი იმდენად სერიოზულადაა „ავად", რომ გადაწყვიტა ავსტრალიის ნაკრების უკანა ხაზის ყველა მოთამაშე „ტულონში" მიიწვიოს. მას უკვე მიღწეული აქვს შეთანხმება სამხრეთ აფრიკის ნაკრების მეორეხაზელ **ბაკის ბოთასთან** და „ბორჯღალოსანთა" მესამეხაზელ **მამუკა გორგოძესთან**. მურადის ოცნებაა, ახალი ზელანდიის ნაკრების ამომავალი ვარსკვლავი, შუამარბი **სონი ბილ ვილიამსი** „ტულონის" შავ-წითელ კვართში გამოწკეპილი იხილოს.

მეტიც, ბურჯელალმა ყველაფერი იღონა, „ოლ ბლექსისა" და მსოფლიოს საუკეთესო მგეზავის, **დენ კარტერის** გადასაბირებლად. მან ახალზელანდიელს წელიწადში მილიონი ევრო შესთავაზა, რაც რაგბის საზომებით კოლოსალური თანხაა. დენი პირდაპირ უარის თქმას მოერიდა და ბურჯელალს მილიონ ორასი ათასი ევრო მოსთხოვა. რაზეც ფრანგი მილიონერისგან სასტიკი უარი მიიღო.

ერთი სიტყვით, ბურჯელალი თავისას არ იშლის. არადა, მის გუნდში ისეთი უმაღლესი რანგის მორაგბეებს უთამაშიათ, **ტანა უმაგა, ჯორჯ გრეგანი** და **დენ ლუგარი** რომ არიან. ახლა თითოეული მათგანის ტულონურ ეპოპეაზე გიამბობთ.

### ჯორჯ გრეგანი
**(ავსტრალია)**

„ის ყველაზე დიდი ვარსკვლავია ტანა უმაგას შემდეგ, ვისაც ფრანგულ კლუბებში უთამაშია", - განაცხადა მურად ბურჯელალმა 2007 წლის მსოფლიო თასის დასრულებისთანავე, როცა გრეგანთან „ტულონში" გადასვლის თაობაზე შეთანხმებას მიაღწია.

ჯორჯ გრეგანი ზამბიის ქალაქ ლუსაკაში დაიბადა. მან ავსტრალიის ნაკრების შემადგენლობაში 1999 წელს მსოფლიო თასი მოიპოვა. 2000 და 2001 წლებში კი სამი ერის გათამაშებაში გაიმარჯვა. გრეგანი 34 წლის იყო „ტულონთან" კონტრაქტი რომ გააფორმა. მან დიდი წვლილი შეიტანა ამ გუნდის ელიტური, მეორე დივიზიონიდან პირველში გადაბარგების საქმეში. მაშინ გრეგანთან ერთად მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეორეხაზელი, სამხრეთაფრიკელი **ვიქტორ მეტფილდიც** თამაშობდა. გრეგანმა ექვს თვეში 400 ათასი ევრო გამოიმუშავა.

„იმ პერიოდს ყოველთვის სიამოვნებით ვიხსენებ. გუნდში ძალიან კარგი, მეგობრული ატმოსფერო იყო. „სტად დე მაიოლის" ქომაგებმა ხომ საერთოდ გამაოცეს, ასეთი ომახიანი, ერთგული გულშემატკივრობა არსად მინახავს.

კიდევ ის მახსოვს ძალიან კარგად, რომ ყველა მეტოქე ჩვენ წინაალმდეგ გაათკეცებული ენერგიით იბრძოდა და ამას ხელს მედიაც უწყობდა. ვარსკვლავების გუნდი გვიწოდეს და ყველას უნდოდა, თავი ჩვენ წინააღმდეგ თამაშისას გამოეჩინა", - იხსენებს ჯორჯ გრეგანი.

ალსანიშნავია, რომ იმ პერიოდში, „ტულონში" თამაშობდა საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **გია ლაბაძე**, რომელიც გუნდის კაპიტანი იყო.

ბოლოს, გრეგანმა, რომელიც 2001 და 2004 წლებში, საკლუბო დონეზე, „ბრამბიზის" შემადგენლობაში ზე 14-ის ორი გათამაშების გამარჯვებული იყო, „ტულონში" ასპარეზობას იაპონიაში თამაში არჩია, სადაც ერთი სეზონი გაატარა და რაგბის სამუდამოდ დაემშვიდობა.

### ენდრიუ მერთენსი
**(ახალი ზელანდია)**

*„ცხოვრებაში არაფერია იმაზე კარგი, როცა საშუალება გაქვს აკეთო ის, რისი გაკეთებაც ყველაზე უკეთ შეგიძლია. მნიშვნელობა არ აქვს დროს, ასაკს, ადგილს - ჩემთვის მთავარია, რაგბი ვითამაშო და მით უფრო მიხარია, რომ ამის საშუალება საფრანგეთში მომეცა"* - თქვა ენდრიუ მერთენსმა, როცა „ტულონთან" კონტრაქტს ხელი მოაწერა.

ახალი ზელანდიის ნაკრების ლეგენდარულმა მგეზავმა 1995-2004 წლებში „ოლ ბლექსის" შემადგენლობაში 70 კეპი მოიხვეჭა. მერთენსი სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში დაიბადა. ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა მშობლები საცხოვრებლად ახალ ზელანდიაში გადაბარგდნენ. სწორედ აქ ისწავლა ენდრიუმ რაგბის ანა-ბანა და ქრაისტჩერჩის „კრუსეიდერზის" ღირსებას საკმაოდ დიდხანს იცავდა.

1995 წლის მსოფლიო თასზე, რომელიც სამხრეთ აფრიკაში გაიმართა, ის **ჯონა ლომუსთან** ერთად ახალი ზელანდიის ნაკრების მთავარი დამრტყმელი ძალა გახლდათ, თუმცა მაშინ „ოლ ბლექსმა" ფინალში „ბოკესთან" მაინც წააგო.

მერთენსმა ახალი ზელანდიის ნაკრებში 1999 წლის მსოფლიო თასზეც იასპარეზა, 2003 წლის გათამაშებაში კი ეროვნული გუნდის კარები მიუხურეს. ენდრიუმ უკეთესი მერმისის საძებნელად ევროპას მიაშურა. ჯერ ინგლისში, „ჰარლიქუინზის" შემადგენლობაში ჩაირიცხა და ამ გუნდს გაჩემპიონებაში დაეხმარა. იქიდან კი საფრანგეთში გადაბარგდა. ერთი წელიწადი „ტულონში" გაატარა, ერთიც პარიზულ „მეტრო რასინგში" და ამჟამად საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონის „ბეზიეში" ასპარეზობს **ლაშა მალალურაძესა** და **გიორგი მჭედლიშვილთან** ერთად.

### დენ ლუგარი
**(ინგლისი)**

„არ ვიყავი დარწმუნებული, რომ „ტულონში" კიდევ ერთი სეზონის გატარება მომიწევდა. ბურჯელალთან მოლაპარაკება ცუდად დასრულდა, მაგრამ მერე ტანა უმაგამ სთხოვა, ჩემთან კონტრაქტი გაეფორმებინა. როცა ტანას უნდა მის გუნდში თამაშობდე, ყველაფერი გვერდზე უნდა გადადო და ითამაშო, თანაც გამიმართლა, მურადი დათანხმდა, ჩემთვის იმ ოდენობის ჯამაგირი გადაეხადა, რამდენიც მოვითხოვე,." - იხსენებს დენ ლუგარი.

ლუგარი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ბურჯელალმა 2006 წელს „ტულონური რევოლუციისთვის" უცხოეთიდან მიიწვია. დენის კარიერა რიჩმონდში დაიწყო, მერე „სარასენზსა" და „ჰარლიქუინზში" თამაშობდა. ამ უკანასკნელში მან კარიერის დიდი ნაწილი გაატარა და დღემდე მის ერთგულ ქომაგად რჩება.

დენ ლუგარის დებიუტი ინგლისის ნაკრებში 1998 წელს შედგა. მან 2001 წელს, „თვიქნემზე" ავსტრალიის ნაკრებს ბოლო წუთზე გამარჯვების მომტანი ლელო გაუტანა, რის შემდეგაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა. 2003 წელს კი „პომების" შემადგენლობაში მსოფლიო თასსაც დაეუფლა.

2003-2005 წლებში ლუგარი „პერპინიანის" ღირსებას იცავდა. კატალონიური კლუბის პრეზიდენტმა მას გუნდიდან წასვლის უფლება იმ პირობით მისცა, თუ ერთი წლის განმავლობაში „პერპინიანის" წინააღმდეგ არ ითამაშებდა. „ტულონში" გატარებული ერთი სეზონის შემდეგ ლუგარმა ბუცები ლურსმანზე დაკიდა და სამწვრთნელო ასპარეზზე გადაინაცვლა. ის ამჟამად საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონის „ნიცას" მთავარი მწვრთნელია, სადაც საქართველოს ნაკრების შუამარბი **დავით კაჭარავა** თამაშობს.

## 23 დეკემბერი რაგბის ისტორიაში

**1888 წელი**

უელსის ნაკრებმა პირველი საერთაშორისო ტესტმატჩი სუონსიში გამართა, რომელშიც ახალი ზელანდიის ეროვნული გუნდი ერთი საჯარიმოსა და ორი ლელოს წყალობით დაამარცხა. მასპინძელთა ნაკრებში ითამაშა 17 წლის **ნორმან ბიგზმა** - ეს რეკორდი დღემდე არ გაუმჯობესებულა.

**1906 წელი**

სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ჩრდილოური ტურნეს ბოლო მატჩში უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა, რედრუტოში „კორნოულის" დასამარცხებლად. „ბოკემ" 9:3 მოიგო.

**1945 წელი**

ახალი ზელანდიის არმიის გუნდმა ვაით სიტიში ლონდონის ნაკრები მშრალი ანგარიშით 30:0 დაამარცხა. „ველბექსონ პრესმა" (მოგვიანებით „პროგრამ პუბლიკეიშენი") გამოსცა პირველი სარაგბო პროგრამა, რომელიც გლამურული ჟურნალის ელემენტებით იყო გაჯერებული.

ამავე წელს, უელსის A ნაკრებმა სუონსიში საფრანგეთის ეროვნული ნაკრები 8:0 დაამარცხა.

**1951 წელი**

უელსის ნაკრებმა კარდიფში, ეროვნულ სტადიონზე სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდთან წააგო - 6:3. ანგარიში უელსელმა **ბლედინ ვილიამსმა** გახსნა ლელოთი, თუმცა მისი ძალისხმევა ამაო აღმოჩნდა. მასპინძლებს ჯერ **ჩამ ოშსმა** გაუტანა საპასუხო ლელო, მერე კი **ჰანს ბრევისმა** არეკნით „ბოკეს" გამარჯვება მოუტანა.

სამხრეთ აფრიკის ნაკრებს უკვე მოგებული ჰქონდა შოტლანდიისა და ირლანდიის ნაკრებებისთვის. „ბოკემ" დიდი სლემი, მომდევნო კვირაში, ინგლისის ნაკრების ძლევის შემდეგ შეასრულა. მერე კი კონტინენტზეც სცადა ძალა და საკმაოდ წარმატებითაც, სამხრეთაფრიკელებმა საფრანგეთის ნაკრებიც დაამარცხეს.



ლი ჰალპფენი

**1956 წელი**

ნისლიანი ალბიონი სქელმა ბურუსმა მოიცვა, რის გამოც მატჩების უმრავლესობა გადაიდო. მათ შორის: ბრისტოლი-კარდიფი, ბასი-ექსეტერი.

**1988 წელი**

23 დეკემბერს სუონსიში დაიბადა უელსის ნაკრებისა და „კარდიფ ბლუზის" გარემარბი **ლი ჰალპფენი.** მისი დებიუტი ეროვნულ გუნდში 20 წლის ასაკში, 2008 წელს სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან მატჩში შედგა. ამას წინ უძღოდა, უამრავი, საკმაოდ დაძაბული, ურთულესი შეხვედრა რეგიონალურ და „ჰეინეკენის თასის" გათამაშებებში. მან სადებიუტო მატჩში თავი შორეული საჯარიმო დარტყმებით გამოიჩინა. პირველი სანაკრებო ლელო კი, ერთი კვირის მერე, კანადის ეროვნულ გუნდთან მატჩში მიითვალა.

ის იმდენად ბრწყინვალე ფორმაში იყო, რომ 2009 წელს „ბრიტანელი ლომების" შემადგენლობაში მიიწვიეს, თუმცა ტრავმის გამო მხოლოდ ერთ მატჩში ითამაშა.

## ჰეინეკენის თასი

# სიმბოლური სამყურებისაა

„ჰეინეკენის თასის" გათამაშების მეოთხე ტური გუშინ ფრანგული „ტულუზისა" და შოტლანდიური „გლაზგოს" მატჩით დასრულდა, რის გამოც ტურის სიმბოლური ნაკრების დასახელება ოდნავ დაგვიანდა.

წინა, მესამე ტურისგან განსხვავებით, ამჯერად ფრანგული კლუბების მორაგბეები უმცირესობაში არიან. საუკეთესოთა შორის ყველაზე მეტი, ხუთი მოთამაშე ირლანდიურმა გუნდებმა მიავლინეს. ოთხ-ოთხი მორაგბე ჰყავთ სიმბოლურ ნაკრებში ინგლისისა და უელსის კლუბებს. შოტლანდიურმა და იტალიურმა გუნდებმა მე-4 ტურში წარუმატებლად იასპარეზეს და, ცხადია, გამორჩეული არავინ ჰყავდათ.

**სიმბოლური ნაკრები: 15. ბენ ფოდენი (ნორსჰემპთონი), 14. მაქსიმ მედარი (ტულუზი), 13. კესი ლაულალა (კარდიფი), 12. რიკი ფლუტი, 11. ტომ ვარნდელი (ორივე-ვოსფსი), 10. ფელიპე კონტეპომი (ტულონი), 9. რუან პინარი (ალსტერი). 1. კიან ჰილი (ლენსტერი), 2. რიჩარდ ჰიბარი (ოსფრიზი), 3. ადამ ჯოუნზი (ოსფრიზი), 4. საიმონ შოუ (ვოსფსი), 5. დომინიკ დეი (ჰლანეჰლი), 6. შონ ობრაიენი (ლენსტერი), 7. მარტინ ვილიამსი (კარდიფი), 8. ჯიმი ჰსლიპი (ლენსტერი).**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**



მაქსიმ მედარი (ბურთით)

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი




ალენ აივერსონი

# აივერსონმა ავსტრალია დაგეგმა

თურქეთის „ბეშიქთაშის" მცველმა **ალენ აივერსონმა** განაცხადა, რომ თუ თურქეთში ორწლიანი ასპარეზობის შემდეგ NBA-ში დაბრუნებას ვერ მოახერხებს, ავსტრალიაში გაემგზავრება პროფესიულ კარიერის დასასრულებლად.

*„გავიგე, რომ სიდნეი ძალიან კარგი ქალაქი ყოფილა, სადაც სასიამოვნოა ცხოვრება. ჩემმა მეგობარმა როდნი ომ დამიძახა იქ. ვფიქრობ, საბოლოოდ ავსტრალიაში დავასრულებ კარიერას",* - ასეთი უცნაური გეგმა გაახმოვანა NBA-ის ყოფილმა ვარსკვლავმა.

*„მნიშვნელობა არ აქვს, რა ფორმაში იქნება ორი წლის შემდეგ აივერსონი. ჩვენ მას აუცილებლად მივიღებთ, რადგან ალენი - თავის ამპლუაში ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა და მნიშვნელოვნად აამაღლებს ჩვენი ლიგის სტატუსს",* - ეს „სიდნეი კინგზის" მფლობელის **ბობ ტერნერის** სიტყვებია.

■ ■ ■

„დეტროიტ პისტონზის" მცველმა **რიჩარდ ჰემილტონმა** გუნდის დატოვების სურვილი გამოთქვა, - წერს Detroit News. 32 წლის ვეტერანმა გამოტოვა კვირას გამართული შეხვედრა „ნიუ ორლეანის" წინააღმდეგ, რის შემდეგაც კლუბის პრეზიდენტ **ჯო დუმარსს** განუცხადა თავისი უკმაყოფილება გუნდში ამჟამინდელი როლის გამო და სხვაგან გაშვება მოითხოვა.

ამ სეზონში ჰემილტონმა 25 მატჩში მიიღო მონაწილეობა. ის მოედანზე საშუალოდ 26.4 წუთს ატარებს და 13.6 ქულასა და 2.6 მოხსნას აგროვებს.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დირკმა ლარის გაუსწრო

წლის ბოლოს მძიმე კალენდარი შეხვდა „დალას მავერიქსს", რომელსაც ზედიზედ უწევს რეგულარულის ფავორიტებთან ბრძოლა, თუმცა „კოვბოები" წარმატებით ართმევენ თავს ამოცანას და არ ჩამორჩებიან ჩემპიონატის ლიდერ „სან ანტონიოს". „მაიამის" დამარცხების შემდეგ „დალასს" სახეშეცვლილი „ორლანდო" ელოდა. როგორც ამ მატჩმა გაარკვია, **რიკ კარლაილის** გუნდისთვის მნიშვნელობა არ აქვს - სად და ვის წინააღმდეგ უწევს თამაში, თანაც ერთი დღე დასვენებაც არ ყოფილა საჭირო.

„ორლანდო" ბოლო რვა მატჩში შვიდი წაგებით შეხვდა ამ შეხვედრას. ჯერჯერობით გუნდს ვერ შველის **გილბერტ არენასის, ჯეისონ რიჩარდსონისა** და **ჰედო თურქოგლუს** დამატება - ამ ტრიომ ზედიზედ მეორე მატჩი ჩააგდო - ამჯერად ჯამური 30 ტყორცნიდან მხოლოდ შვიდი მოათავსა კალათში.

„დალასმა" პირველი მეოთხედი ექვსი ქულის სხვაობით მოიგო. ასეთივე სხვაობა იყო ფინალური სირენის შემდეგ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასპინძლებმა პირველი 12-წუთეულის შემდეგ შეწყვიტეს ბრძოლა. „ორლანდო" იბრძოდა, **დუაიტ ჰოვარდის** წყალობით ფარი მოიგო, არაერთხელ დაეწია მეტოქეს და წინაც გავიდა, მაგრამ მატჩის ბოლოს დამაჯერებლობა არ ეყო გამარჯვების მოსაპოვებლად.

„მავერიქსში" კი პირიქით, ყოველთვის გამოჩნდებოდა ლიდერი, რომელიც წარმატებული მოქმედებით ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა თანაგუნდელებს. ამ როლს მორიგეობით **ბატლერი**, **კიდი**, **ჩენდლერი** (თამაშიდან შვიდიდან შვიდი ბურთი ჩააგდო), **სტივენსონი** და **ტერი** ასრულებდნენ.

დალასელთა ლიდერის **დირკ ნოვიცკის** მიღწევა ცალკე აღნიშვნის ღირსია. „ორლანდოს" წინააღმდეგ გერმანელმა 17 ქულა დააგროვა და NBA-ში თავისი სრული მონაგარი 21 798 ქულამდე აიყვანა. ამით დირკმა ყველა დროის სიაში 7 ქულით გაუსწრო ლეგენდარულ **ლარი ბერდს** და 25-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ბოლო წუთზე მთელი მატჩის განმავლობაში პასიურმა რიჩარდსონმა ორჯერ შორიდან ჩააგდო და სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩდა, რადგან მასპინძლებს მეტოქის შეცდომაც სჭირდებოდათ. მათთვის სამწუხაროდ, გადამწყვეტ მომენტში ტეხასელებმა ზუსტად ისროლეს: ტერიმ თამაშიდან ჩააგდო, ნოვიცკიმ და **მერიონმა** კი ოთხიდან ოთხი საჯარიმო გამოიყენეს.

■ ■ ■

„მილუოკი" საშუალოზე ძლიერი გუნდია და ხანდახან გამოსდის ფავორიტების გამწარება, მაგრამ როცა „ირმები" სტუმრად უგებენ მოქმედ ჩემპიონს, 79 ქულის დაგროვების საშუალებას აძლევენ მას და 19-ქულიანი უპირატესობით ასრულებენ შეხვედრას, ამას უკვე სენსაცია ჰქვია. თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ „მილუოკი" ამ მატჩში **ბრენდონ ჯენინგსის, კორი მაგეტის, კარლოს დელფინოს, დრიუ გუდენისა** და **მაიკლ რედის** (ამ სეზონში მოედანზე არ გამოჩენილა) გარეშე თამაშობდა. კალიფორნიელები **ჯონ სალმონსმა, ერსან ილიასოვამ, კრის დაგლას-რო**ბერტსმა და თქვენ წარმოიდგინეთ, 165 სანტიმეტრი სიმაღლის **ერლ ბოიკინსმა** (მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე) დაამარცხეს. ამან ისე აღაშფოთა **კობი ბრაიანტი**, რომ თამაში არც დაამთავრა - ორი წუთით ადრე მსაჯთან კამათისთვის ზედიზედ ორი ტექნიკური ჯარიმა მიიღო. იმ მომენტისთვის „მილუოკი" 15 ქულას იგებდა, ასე რომ, კობის მომენტი კრივში დამარცხებული მხარის მიერ რინგზე პირსახოცის სროლას უფრო ჰგავდა.

ყველაზე სასტიკად მეტოქეს „ჩიკაგო" მოექცა. „ხარებმა" დაამცირეს თავიანთი ყოფილი მწვრთნელის **დაგ კოლინზის** „ფილადელფია". მასპინძლებს არ დასტყობიათ **ჟოაკიმ ნოასა** და **ტაჯ გიბსონის** არყოფნა. „სიქსერზმა" ვერაფერი მოუხერხა „ბულზის" სწრაფ კონტრშეტევებს და მესამე მეოთხედში სხვაობა 40 ქულამდე ავიდა, ხოლო საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე „ჩიკაგოს" უპირატესობა 50 (!) ქულას შეადგენდა.

**ორლანდო-დალასი 99:105**

21:27, 24:22, 27:27, 27:29

ო: ჰოვარდი (26+23 მოხსნა), რედიკი (21), ნელსონი (19+6 პასი), რიჩარდსონი (10+5 მოხსნა).

დ: ბატლერი (20), ნოვიცკი (17+8 მოხსნა+5 პასი), ჩენდლერი (16), კიდი (13+12 პასი+6 მოხსნა), ტერი (13+5 პასი), სტივენსონი (11).

**შარლოტი-ოკლაჰომა 81:99**

23:21, 17:24, 29:23, 12:31

შ: ჯექსონი (20), დიაო (13+8 პასი+7 მოხსნა), ბრაუნი (11+6 მოხსნა).

ო: დურანტი (32+7 მოხსნა), უესტბრუკი (15), ჰარდენი (13), გრინი (12+5 პასი), იბაკა (10+9 მოხსნა).

**ჩიკაგო-ფილადელფია 121:76**

33:19, 28:24, 31:11, 29:22

ჩ: როუზი (22+12 პასი+5 მოხსნა), დენგი (22), ბუზერი (16+11 მოხსნა), უოტსონი (14), ტომასი (12+8 მოხსნა), კორვერი (10).

ფ: იგუოდალა (17), იანგი (12+7 მოხსნა).

**მემფისი-ნიუ ჯერსი 94:101**

18:26, 25:19, 24:28, 27:28

მ: მ. გასოლი (19), მაიო (17), კონლი (13+8 პასი), რენდოლფი (11+14 მოხსნა+5 პასი), გეი (11+9 მოხსნა), ჰენრი (11).

ნ-ჯ: ლოპესი (26+6 მოხსნა), ვუიაჩიჩი (16), ჰემფრიზი (12+15 მოხსნა), ჰარისი (12+5 პასი), აუთლო (11+9 მოხსნა).

**საკრამენტო-გ. სტეიტი 109:117 (ო)**

18:26, 30:23, 36:21, 18:32, 7:15

ს: უდრიხი (34+7 მოხსნა), ლენდრი (22+10 მოხსნა), ევანსი (15+10 მოხსნა+7 პასი), გრინი (10), კაზინსი (7+13 მოხსნა).

გ-ს: ელისი (36+7 პასი), უილიამსი (24+7 მოხსნა), რაიტი (17+6 მოხსნა+6 პასი), ლი (15+12 მოხსნა), რადმანოვიჩი (15+8 მოხსნა).

**ლეიკერსი-მილუოკი 79:98**

22:25, 24:25, 20:22, 13:26

ლ: ბრაიანტი (21), პ. გასოლი (15+11 მოხსნა), ოდომი (12+10 მოხსნა+6 პასი).

მ: ბოიკინსი (22), სალმონსი (20+6 პასი), ილიასოვა (17+11 მოხსნა), ბოგუტი (15+8 მოხსნა).




დირკ ნოვიცკი

სამთო-სათხილამურო სპორტი

მსოფლიოს თასი

# სლალომი შილდისაა

საფრანგეთის ვალ დ'იზერის შემდეგ ქალმა სამთომოთხილამურეებმა ამ ქვეყნის მეორე კურორტ კურშეველში გადაინაცვლეს და სლალომში გაარკვიეს ურთიერთობა. იქაურ ტრასაზე მსოფლიოს თასის ეტაპი 1979 წლის შემდეგ არ გამართულა და შესაძლოა, ეს იყო იმის მიზეზი, რომ პირველ ცდაზე ოცზე მეტმა მოხილამურემ ვერ მიაღწია ფინიშამდე. ხელმოცარულთა შორის იყვნენ მსოფლიოს თასის ლიდერები - ამერიკელი **ლინდსი ვონი** და გერმანელი **მარია რიში**.

თუმცა სლალომის მთავარ სპეციალისტებს კურშეველის ტრასის დაპყრობა არ გასჭირვებიათ. პირველ რიგში ეს ავსტრიელ **მარლის შილდზე** ითქმის, რომელმაც იმ დღეს ძალიან მაღალი დონე აჩვენა, განსაკუთრებით მეორე ცდაზე. ამ დისციპლინაში ოლიმპიადების ორგზის პრიზიორმა პირველ ცდა წააგო ფინელ **მარია პოუტიაინენთან**, მაგრამ მეორე დაშვებისას ისეთი ტემპი განავითარა, რომ საბოლოოდ, სკანდინაველს 78 მეასედი წამი მოუგო.

წარმატებული მეორე ცდა ჰქონდა სლოვენიელ **ტინა მაზეს**, რომელმაც მეოთხე ადგილიდან მესამე პოზიციაზე გადაინაცვლა, თუმცა გამარჯვებულ შილდთან ძალიან ბევრი - 1.98 წამი წააგო.

აღსანიშნავია მარლისის უმცროსი დის - **ბერნედეტ შილდის** წარმატება. მან მეორე ცდაზე მხოლოდ დასთან წააგო და საერთო ჯამში მეშვიდე ადგილი დაიკავა.

შილდმა წელს მეორედ მოიგო სლალომის სტარტი - პირველად ეს ნოემბერში ფინეთის კურორტ ლევიში გააკეთა. სულ ავსტრიელს კარიერაში მსოფლიოს თასის 25 ეტაპი აქვს მოგებული.

სპეციალისტები აღნიშნავენ მარია რიშის ბოლოდროინდელ ჩავარდნას. ვალ დ'იზერში გერმანელმა 24-ე ადგილი დაიკავა სწრაფდაშვებაში, პოდიუმზე ვერ ავიდა სუპერკომბინაციაში, ხოლო აქ, როგორც გითხარით, ფინიშამდე ვერ მიაღწია. რიშისთვის საბედნიეროდ, მის მთავარ კონკურენტს ვონსაც იგივე დაემართა და საერთო ჩათვლაში გერმანელზე უპირატესობის გაზრდა ვერ მოახერხა.

**კურშეველი (საფრანგეთი)**

**ქალები**

**სლალომი**

1. **მარლის შილდი** (ავსტრია) - 1:34.95 (48.38+46.57); 2. **ტანია პოუტაინენი** (ფინ) - 1:35.73 (48.27+47.46); 3. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 1:36.93 (48.93+48.00); 4. **მარია პიეტილაე-ჰოლმნერი** (შვედ) - 1:37.20 (49.38+47.82); 5. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 1:37.21 (49.14+48.07); 6. **ნიკოლ ჰოსპი** (ავსტრია) - 1:37.41 (49.63+47.78).

**საერთო ჩათვლა**

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 581 ქულა; 2. **მარია რიში** (გერ) - 578; 3. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - 366; 4. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 356; 5. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 333; 6. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 294...




მარლის შილდი

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა-სენტ ლუისი 2:4**

1:1, 0:1, 1:2

**გოლები:** 0:1 ბოიესი-7 (პორტერი-1), 1:1 ლიტლი-10 (ე. კეინი-11, ე. სტიუარტი-13), 1:2 სტინი-11 (ჯეკმენი-5, პიეტრანჯელო-13), 1:3 პიეტრანჯელო-4 (სობოტკა-9), 2:3 ბიფულინი-12 (ენსტრიომი-23, ანტროპოვი-11), 2:4 სობოტკა-4.

**ბაფალო-ანაჰაიმი 5:2**

3:0, 1:0, 1:2

**გოლები:** 1:0 სტეფორდი-9 (როი-24, მიერსი-8), 2:0 გერბე-1 (რივე-2, გოსტადი-7), 3:0 ენისი-8 (სეკერა-8, ლეოპოლდი-11), 4:0 ენისი-9 (როი-25, ლეოპოლდი-12), 4:1 პერი-18 (სელიანე-21, ფაულერი-15), 5:1 რივე-1 (რ. ნიდერმაიერი-7), 5:2 პერი-19 (სელიანე-22, გეტცლაფი-23).

**კოლამბუსი-კალგარი 3:1**

1:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ვორაჩეკი-6 (მეტოტი-12, ბრასარი-14), 2:0 ბოლი-3 (სესტიტო-1, კაილ უილსონი-6), 2:1 ო. იოკინენი-7 (იგინლა-18, ჯორდანო-16), 3:1 კლესლა-2.

**ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი 5:1**

1:0, 3:1, 1:0

**გოლები:** 1:0 გორდონი-1 (მ. იოჰანსონი-3, ერსკინი-5), 1:1 ელიაში-7 (ლანგენბრუნერი-9, ზაიაცი-14), 2:1 ბიგლი-1 (მტეკელი-4, ბრედლი-6), 3:1 ჩიმერა-5 (გორდონი-1, ჯ. კარლსონი-13), 4:1 ჯ. კარლსონი-4 (ოვეჩკინი-27), 5:1 ნუბლი-7 (პოტი-5, ლეიჩი-14).

**დალასი-მონრეალი 5:2**

2:0, 2:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ბარიში-4 (ოტი-8, რობიდასი-14), 2:0 ბენი-8 (ოტი-9), 3:0 სკრასტინსი-2 (ჯ. ნილი-16, ნისკანენი-4), 3:1 დერჩი-6 (მოენი-4, პიატი-2), 4:1 ბ. რიჩარდსი-16 (რობიდასი-15, ლ. ერიქსონი-21), 4:2 ჯონტა-12 (გომესი-11), 5:2 ლ. ერიქსონი-15 (რიბეირო-22, რობიდასი-16).

**კოლორადო-ლოს ანჯელესი 0:5**

0:1, 0:1, 0:3

**გოლები:** 0:1 სკუდერი-1 (კოპიტარი-19, დ. ბრაუნი-15), 0:2 რიჩარდსონი-5 (დაუტი-12, დ. ბრაუნი-16), 0:3 დ. ბრაუნი-12 (კოპიტარი-20, დაუტი-13), 0:4 დ. ბრაუნი-13 (რ. სმიტი-9, სკუდერი-8), 0:5 ჯასტინ უილიამსი-12 (ჯ. ჯონსონი-18, სტოლი-13).

**სან ხოსე-ედმონტონი 2:1**

0:0, 2:0, 0:1

**გოლები:** 1:0 კუტური-18 (ქლოუ-22), 2:0 დ. ბოილი-4 (მარლო-14, ჯ. ტორნტონი-22), 2:1 პენერი-11 (რაიან უიტნი-25, პოლი-10).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● კრივი

# პაკიაო-მოზლი დაინიშნა...



მენი პაკიაო

გაირკვაფილიპინელი **მენი პაკიაოს** მორიგი მეტოქე. ფილიპინელმა ამერიკელ **შეინ მოზლისთან** გააფორმა კონტრაქტი. ბრძოლა 2011 წლის 7 მაისს ლას ვეგასში, 66.7 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გაიმართება და პაკიაო დაიცავს WBO-ის საჩემპიონო ტიტულს.

პაკიაო WBO-ის ჩემპიონი 2009 წლის ნოემბერში გახდა, როცა ქულებით დაამარცხა პუერტო რიკოს წარმომადგენელი **მიგელ ანხელ კოტო**, 2010 წლის მარტში კი ეს ტიტული განელ **ჯოშუა კლოტისთან** შეხვედრაში დაიცვა. 2010 წლის 13 ნოემბერს პაკმენმა 69.9-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გადაინაცვლა, მექსიკელი **ანტონიო მარგარიტო** დაამარცხა და WBC-ის ჩემპიონი გახდა.

მოლაპარაკებების დროს განიხილებოდა 69 კილოგრამში საჩემპიონო ბრძოლის ჩატარება, მაგრამ საბოლოოდ, მოკრივეებმა 66.7 კილოგრამი აირჩიეს. WBC-ის ტიტული, რომელიც ფილიპინელმა 13 ნოემბერს მოიპოვა, სავარაუდოდ ვაკანტურად გამოცხადდება.

39 წლის მოზლი წინა წლებში მსოფლიოს ჩემპიონი იყო 61.2, 66.7 და 69.9-კილოგრამამდე წონით კატეგორიებში. სულ მას პროფესიულ რინგზე 54 ბრძოლა აქვს გამართული, რომელთაგანაც 46 მოიგო (39 - ნოკაუტით), ექვსჯერ დამარცხდა, ერთი ბრძოლა ფრედ დაასრულა და ერთი ჩხუბის შედეგი გაუქმდა.

32 წლის პაკიაოს ხშირად უწოდებენ წონითი კატეგორიის გაუთვალისწინებლად პლანეტის საუკეთესო მოკრივეს. მის ანგარიშზე 57 ბრძოლაა - 52 მოგება (37 - ნოკაუტით), სამი მარცხი და ორი ფრე. ფილიპინელი საერთო ჯამში რვა წონით კატეგორიაში იყო მსოფლიოს ჩემპიონი.

# ...კლიჩკო-ჰეი ახლოსაა



ვლადიმირ კლიჩკო

არანაკლებმნიშვნელოვანი იყო კრივის სამყაროში გუშინ გავრცელებული მეორე ინფორმაცია. სუპერმძიმე წონაში WBA-ის ჩემპიონმა, ბრიტანელმა **დევიდ ჰეიმ** WBO-სა და IBF-ის ჩემპიონის, უკრაინელი **ვლადიმირ კლიჩკოს** პირობები მიიღო და მზად არის კონტრაქტის გასაფორმებლად. ჰეი დაეთანხმა ტელეტრანსლაციებიდან მიღებული შემოსავლის თანაბრად გაყოფას. ადრე ბრიტანელი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მას მიელო ბრიტანეთში ტრანსლიაციისგან შემოსული ფული, კლიჩკოს - გერმანული რეპორტაჟების შემოსავალი.

ჰეიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ ახლა არაფერი უდგას წინ ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლის გამართვას. ბრიტანელი მოკრივის თქმით, ის დათმობაზე წავიდა, რადგან ბრიტანეთში ბრძოლის ჩვენება უფრო მეტ შემოსავალს მოიტანდა, ვიდრე გერმანიაში.

მაგრამ როგორც სააგენტო AP იუწყება, მოლაპარაკებების დროს ახალი წინაღობა გაჩნდა. გერმანიაში ძმები კლიჩკოების ბრძოლებს ტელეარხი RTL გადასცემს, ხოლო პრომოუტერულ კომპანია Sauerland Event-ს, რომელსაც ჰეის ბრძოლაზე აქვს უფლებები, ტელეკომპანია ARD-სთან აკავშირებს კონტრაქტი.

– როგორც უკრაინელი ძმების მენეჯერმა **ბერნდ ბენტემ** განაცხადა, ჰეის გუნდს მიაჩნია, რომ ARD მზად არის კლიჩკო-ჰეის ჩვენებისთვის უფრო მეტი გადაიხადოს, ვიდრე RTL-მა. ამასთან დაკავშირებით ჰეის გუნდს სურს, კლიჩკომ დაფაროს სხვაობა ტელეარხების შემოთავაზებებს შორის.

ბენტეს თქმით, მას არ სჯერა, რომ ARD მართლაც მზად არის უფრო სარფიანი წინადადების შესათავაზებლად. გარდა ამისა, ძმები კლიჩკოები ნებისმიერ შემთხვევაში აპირებენ RTL-ის კონტრაქტის პირობების შესრულებას, რადგან ეს ხელშეკრულება კიდევ ორ ბრძოლაში თანამშრომლობას ითვალისწინებს.

სავარაუდოდ, ეს ორი ბრძოლა იქნება **ვიტალი კლიჩკოსა** და კუბელი **ოდლანიერ სოლისის** ჩხუბი, რომელიც სავარაუდოდ მარტში გაიმართება და ვლადიმირ კლიჩკოს შემდეგი შეხვედრა.

11 დეკემბერს ვლადიმირი ბრიტანელ **დერეკ ჩისორას** უნდა შეხვედროდა, მაგრამ ბრძოლამდე რამდენიმე დღით ადრე ზურგის ტრავმა მიიღო. კონტრაქტის თანახმად, უმცროს კლიჩკოს ერთი თვე აქვს ახალი მეტოქის მოსაძებნად. თუ ის 11 იანვრამდე ვერ შეძლებს ამის გაკეთებას, ჩისორასთან შეხვედრა მოუწევს.

● ფორმულა 1

# დებიუტანტები მომრავლდნენ

მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონატში კიდევ ერთი დებიუტანტი მიიღებს მონაწილეობას. გასული სეზონის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა „ვირჯინმა“ კონტრაქტი გააფორმა ბელგიელ პილოტ **ჟერომ დ'ამბროზიოსთან**. მისი მეწყვილე გამოცდილი გერმანელი **ტიმო გლოკი** იქნება.

ჯერ კიდევ ოქტომბრის ბოლოს ამ საჯინიბოს ხელმძღვანელობა ამბობდა, რომ ბელგიელს 95 პროცენტით გარანტირებული ჰქონდა კონტრაქტი „ვირჯინთან“. ამის შემდეგ აბუ დაბიში გამართულ ახალგაზრდულ ტესტებზე დ'ამბროზიომ ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა და კონტრაქტი დაიმსახურა. 27 დეკემბერს ჟერომი 25 წლის გახდება და ფორმულა 1-ის გუნდთან გუშინ გაფორმებული ხელშეკრულება საშობაოდ საუკეთესო საჩუქარია.



ჟერომ დ'ამბროზიო

*„დიდი ხანი ვადევნებდით თვალს ჟერომის კარიერას და მას ჩვენს გუნდში მოხვედრის ერთ-ერთ სერიოზულ კანდიდატად განვიხილავთ. მან რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა პარასკევის თავისუფალ პრაქტიკაში, სადაც მისმა შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და დაიმსახურა კონტრაქტი.*

*ვფიქრობ, ტიმო გლოკისა და ჟერომ დ'ამბროზიოს დუეტი ახალგაზრდობისა და გამოცდილების, სისწრაფისა და პოტენციალის პერსპექტიული კავშირი იქნება. მოუთმენლად ველით ახალი სეზონის დაწყებას და კარგი შედეგების იმედი გვაქვს“*, - ამბობს „ვირჯინის“ ხელმძღვანელი **ჯონ ბუტი**.

გასულ სეზონში „ვირჯინში“ გლოკის მეწყვილე **ლუკას დე გრასი** იყო.

■ ■ ■

გუშინვე ცნობილი გახდა მეორე პილოტის ვინაობა „ლოტუს რენოში“. ამ გუნდში ადგილი შეინარჩუნა რუსმა **ვიტალი პეტროვმა**, რომელმაც სადებიუტო სეზონში არც ისე დამაჯერებელი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ მაინც მოახერხა ორი წლით კონტრაქტის გაფორმება. პეტროვი 2011 წელს კვლავ **რობერტ კუბიცას** მხარდამხარ გამოვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ჩინეთი-მაკედონია | 1:0 |
| კატარი-ესტონეთი | 2:0 |
| სირია-ერაყი | 0:1 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/16 ფინალი. I მატჩები** | |
| ბეტისი-ხეტაფე | 1:2 |
| ალმერია-მალიორკა | 4:3 |
| სევილია-მალაგა | 5:3 |
| ატლეტიკო-ესპანიოლი | 1:0 |
| რეალი-ლევანტე | 8:0 |
| **გერმანიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ვოლფსბურგი-კოტბუსი | 1:3 |
| კიოლნი-დუისბურგი | 1:2 |
| შტუტგარტი-ბაიერნი | 3:6 |
| ალემანია-აინტრახტი | 0:0 პენ. 5:3 |
| **საფრანგეთი** | |
| არლი-ნიცა | 0:0 |
| ბრესტი-მარსელი | 0:0 |
| კაენი-რენი | 1:0 |
| ლილი-სტ. ეტიენი | 1:1 |
| ლიონი-ოსერი | 1:1 |
| მონაკო-სოშო | 2:1 |
| ნანსი-პსჟ | 2:0 |
| ვალანსი-ტულუზა | 2:1 |
| ბორდო-ლანსი | 2:2 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| უტრეხტი-ვოლენდამი | 1:0 |
| როდა-პსვ ეინდჰოვენი | 1:3 |
| **შოტლანდია** | |
| ჰამილტონი-ჰიბერნიანი | გადაიდო |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| პაოკ-იანინა | 2:1 |
| ასტერასი-ოლიმპიაკოსი | 0:1 |
| პანათინაიკოსი-ტრიკალა | 3:2 |
| **თურქეთის თასი** | |
| სექერი-ანტალია | 1:1 |
| გაზიანთეპი-გალათასარაი | 1:1 |
| ბეშიქთაში-ქონია | 3:2 |
| გენჩლერი-ანკარაგიუჯუ | 1:1 |
| ქირიხანი-ბუიუქსეჰირი | 0:1 |
| **ავსტრალია** | |
| სენტრალი-ნ. ქუინსლენდი | 1:0 |
| პერტი-ადელაიდა | 4:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ვალენსია-ოლიმპია | 78:77 |
| პანათინაიკოსი-მილანი | 93:62 |
| ცსკა-ეფესი | 78:69 |
| **გერმანია** | |
| ბრაუნშვაიგი-ლუდვიგსბურგი | 80:76 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-ამური | 4:0 |
| მეტალურგი (ნ)-სიბირი | 3:5 |
| ს. იულიაევი-ნეფტეხიმიკი | 5:3 |
| ტრაქტორი-ავტომობილისტი | 4:5 (ბ) |
| იუგრა-აკ ბარსი | 1:5 |
| ლოკომოტივი-ტორპედო | 5:1 |
| დინამო (მნ)-ბარისი | 4:0 |
| დინამო (რ)-დინამო (მ) | 2:1 (ბ) |
| **ბელარუსი** | |
| ბრესტი-გომელი | 5:4 (ბ) |
| მეტალურგი-ხიმიკი | 4:2 |
| ნემანი-სოკილი | 4:1 |
| მოგილოვი-იუნოსტი | 3:10 |
| შახტარი-ლიეპაიასი | 2:3 |
| შინიკი-ვიტებსკი | 5:3 |
| **დანია** | |
| როდოვრე-სონდერიისკი | 1:4 |
| ოდენსე-ესბერგი | 4:1 |
| ჰვიდოვრე-ჰერნინგი | 1:0 |
| ფრედრიკშავნი-ოლბორგი | 5:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-პლზენი | 6:4 |
| ზლინი-ტრშინეცი | 3:2 |
| ლიტვინოვი-ბოლესლავი | 3:5 |
| ბუდეიოვიცე-პარდუბიცე | 1:3 |
| კარლოვი ვარი-კლადნო | 3:4 (ო) |
| სლავია-ლიბერეცი | 7:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-იურგორდენი | 1:3 |

● TV პროგრამა

**23 დეკემბერი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

23:40 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. X ტური. ფენერბაჰჩე-შოლე (LIVE).
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-პიტსბურგი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

21:30 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. X ტური. ხიმკი-ჟალგირისი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

23:40 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. X ტური. ბარსელონა-მონტეპასკი (LIVE).

● ველოსპორტი/ფეხბურთი

# ბურთი ველოსიპედის ნაცვლად

2006 წლის ტურ დე ფრანსის ჩემპიონმა **ოსკარ პერეირომ** საფეხბურთო კარიერა დაიწყო. ესპანელმა 2010 წელს მიატოვა ველოსპორტი და ცოტა ხნის შემდეგ კონტრაქტი გააფორმა ესპანეთის ჩემპიონატის მესამე დივიზიონის კლუბ „კორუჩოსთან“. და აი, ორი დღის წინ პერეირომ პირველი მატჩი ჩაატარა სარეზერვო გუნდში.

„კორუჩოს“ რეზერვისტები ერთ-ერთ სამოყვარულო ლიგაში თამაშობენ. პერეირო მეორე ტაიმში გავიდა მოედანზე, მაგრამ ამან მის გუნდს ვერ უშველა და 0:1 დამარცხდა. ყოფილ ველომრბოლს იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში „კორუჩოს“ ძირითად შემადგენლობაში მისცემენ თავის გამოჩენის საშუალებას.

33 წლის პერეირომ 2006 წელს ტურ დე ფრანსზე მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ მოგვიანებით ტურის გამარჯვებულმა **ფლოიდ ლენდისმა** დისკვალიფიკაცია მიიღო და პერეირო ტიტულის მფლობელად გამოცხადდა.

● ჩოგბურთი

# ნოვაკმა ბალკანეთი ვერ დაიპყრო



ნოვაკ ჯოკოვიჩი

მსოფლიოს მესამე ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ვერ გახდა ბალკანეთის წლის საუკეთესო სპორტსმენი. გამოკითხვაში სერბმა ჩოგბურთელმა ბულგარელ ქალ მოჭიდავე **სტანკა ზლატევასთან** წააგო.

გამოკითხვას ბულგარეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო აწარმოებდა და ზლატევამ, რომელმაც წელს 72-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები მოიგო, 2 ქულით გაუსწრო ამერიკის ღია პირველობის ფინალისტსა და დევისის თასის მფლობელს.

მესამე ადგილი თურქმა კალათბურთელმა **ჰედო თურქოგლუმ** დაიკავა, რომლის ეროვნული გუნდი წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილზე გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# 1:0 ფედერერის სასარგებლოდ



პრინციპული მეტოქეები

მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელებმა - ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** და შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** საქველმოქმედო მიზნებისთვის გამოიყენეს თავიანთი პრინციპული დაპირისპირება და აფრიკელი ბავშვებისთვის 2.5 მილიონი შვეიცარიული ფრანკი შეაგროვეს. როგორც ადრე ვწერდით, მსოფლიოს ჩოგბურთის ლიდერებმა დეკემბერში ორი საჩვენებელი შეხვედრა დაგეგმეს - შვეიცარიასა და ესპანეთში. პირველი მატჩი ციურიხში Hallenstadion-ზე გაიმართა.

შეხვედრის საჩვენებელი ხასიათის მიუხედავად, ბრძოლა დაძაბული გამოვიდა, თითქოს ჩოგბურთელები „დიდი სლემის" ტურნირის მატჩში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. პირველი სეტის სასტარტო გეიმები ფედერერის მცირე უპირატესობით წარიმართა - მასპინძელი მშვიდად იღებდა საკუთარ მოწოდებებს, მალე კი ნადალის მოწოდებაზე ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, თუმცა კარგი მოწოდებით რაფაელმა გადაარჩინა გეიმი და შვეიცარიელს ბრეიკით წინ გასვლის საშუალება არ მისცა. სეტის ბედი მეცხრე გეიმში გადაწყდა - ნადალმა ორმაგი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, ფედერერმა კი მარტივ სიტუაციაში ბადეს გაარტყა ბურთი და ესპანელი 5:4 დაწინაურდა, რის შემდეგაც სეტზეც წარმატებით ჩაანოდა - 6:4. პირველი პარტია 32 წუთი გაგრძელდა.

მეორე სეტის მეორე გეიმში ფედერერმა ისევ მიიღო ბრეიკ-პოინტი და ამჯერად შანსი ხელიდან აღარ გაუშვა. ნადალს ანგარიშის გათანაბრების შანსი მეშვიდე გეიმში მიეცა, როცა როჯერმა ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა, მაგრამ მასპინძელმა იქვე გამოასწორა სიტუაცია. მეცხრე გეიმში ფედერერმა თავის მოწოდებაზე ორი სეტბოლი მოიპოვა, მაგრამ ნადალი იოლად არ დანებდა და ანგარიში „თანაბარი" გახადა, თუმცა შემდეგ შვეიცარიელმა ზედიზედ ორი ქულა აიღო და 6:3 გაიმარჯვა.

გადამწყვეტ პარტიაში ნადალმა პირველმა მოიპოვა ბრეიკის შანსი, მაგრამ ფედერერმა ორი ეისით გამოასწორა სიტუაცია და სეტში ანგარიში გაათანაბრა - 2:2. მეშვიდე გეიმში როჯერის ჯერი დადგა - მან მეორე ბრეიკ-პოინტიდან აიღო მეტოქის მოწოდება და წინ გაიჭრა - 4:3. ამის შემდეგ ნადალი დანებდა და იოლად წააგო მომდევნო ორი გეიმი და მასთან ერთად მატჩი - 6:4, 3:6, 3:6.

ნადალსა და ფედერერს შორის ურთიერთშეხვედრათა ანგარიში 14:8 გახდა ესპანეთის სასარგებლოდ. თუმცა ბოლო დროს შვეიცარიელი აშკარად ჯობნის პრინციპულ მეტოქეს - წლის შემაჯამებელი ტურნირის ფინალშიც სამ სეტში დაამარცხა.

*„ეს განსაკუთრებული მატჩი იყო ჩემთვის, რომელიც მთელი ცხოვრება დამამახსოვრდება,* - განაცხადა პრესკონფერენციაზე ფედერერმა. - *დიდი ხანია ეს იდეა მქონდა და მადლობა რაფას, რომელიც გამოეხმაურა ჩემს შემოთავაზებას.*

*ეს იყო მატჩი აფრიკისთვის. მთელი შემოსული თანხა ჩემს საქველმოქმედო ფონდში ჩაირიცხება და შემდეგ გაეგზავნება აფრიკელ ბავშვებს. ამიტომაც ვამაყობ ჩატარებული სამუშაოთი და უზომოდ ბედნიერი ვარ იმით, რომ ყველაფერი ასე კარგად გამოვიდა".*

გუშინ, ეს ჩოგბურთელები მადრიდში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ამჯერად მასპინძლის როლში ნადალი იყო, რომელსაც ასევე საკუთარი საქველმოქმედო ფონდი გააჩნია - მსოფლიოს პირველი ჩოგანი უნარშეზღუდულ და ხელმოკლე ოჯახიდან გამოსულ ბავშვებს ეხმარება.

ინტერვიუ მარტინა ჰინგისთან

# იდეალური ქმარი

ცოტა ხნის წინ ვწერდით იმის შესახებ, რომ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა ფრანგ ტიბო იუტინზე იქორწინა. ცერემონია მოკრძალებული იყო, თუმცა შვეიცარიელი ჩოგბურთელი Schweizer Illustrierte-სთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ ნამდვილი ქორწილი მომავალი წლის ზაფხულში გაიმართება.

**- მარტინა, როცა ახალგაზრდები გაცნობიდან რამდენიმე თვეში ქორწინდებიან, გარშემო მყოფებს საეჭვო აზრები ებადებათ...**

- არა, ფეხმძიმედ არ ვარ (იცინის). ტიბომ დაქორიწინება ჯერ კიდევ სექტემბერში შემომთავაზა და სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ, რომ 12 დეკემბერი ამისთვის შესანიშნავი თარიღი იქნებოდა.

**- რატომ არ მოისურვეთ საქორწინო ესკორტი და პომპეზური ქორწილი?**

- ეს ყველაფერი აუცილებლად იქნება. ზაფხულში ღია ცის ქვეშ გადავიხდით ქორწილს. ძალიან რომანტიკული საღამო გამოვა.

**- რამდენად რომანტიკული იყო თქვენი რჩეულის წინადადება?**

- ჩემს დაბადების დღეზე ტიბომ ულამაზესი ბეჭედი მაჩუქა, რომელიც Bulgari-ის ალმაზით იყო მორთული. მან მითხრა, რომ ეს ბეჭედი ჩვენი სიყვარულის სიმბოლო იქნებოდა. ასე გახდა ჩემი დაბადების დღის საჩუქარი ნიშნობის ბეჭედი.

**- მაინცდამაინც ტიბო რატომ გახდა თქვენი მეუღლე?**

- რაიმე საკითხზე განსხვავებული აზრიც რომ გვქონდეს, ან რაღაცაზე გაღიზიანებული ვიყო, საკმარისია მას თვალებში ჩავხედო და მივხვდე, რომ ძალიან მიყვარს და სხვა ყველაფერი უაზრობაა. როცა სხვადასხვა ქალაქში ვართ, მის გარეშე ძალიან მოწყენილი ვარ. და, რა თქმა უნდა, მეუღლის გვერდით შემიძლია ნებისმიერი სიმაღლის ქუსლიანი ფეხსაცმელი ვატარო, რადგან ტიბოს სიმაღლე 192 სანტიმეტრია (იცინის).

**- დაგვიხასიათეთ თქვენი მეუღლე?**

- ძალიან მომხიბვლელია, საინტერესო ლაპარაკი შეუძლია და გარშემო ყველაფერი აინტერესებს. მასში ბევრი ენერგიაა და იუმორის შესანიშნავი გრძნობა აქვს. კარგი ოჯახიდან არის. მოკლედ, იდეალურია.

**- გაცნობისთანავე „წამოეგეთ" მის მომხიბვლელობაზე?**

- დიახ, პირველი შეხვედრისთანავე მომეწონა. ის ფრანგია, მე - შვეიცარიელი, ასე რომ, მსგავსი მენტალიტეტი გაგვაჩნია.

**- ეს რას ნიშნავს?**

- ხშირად ერთნაირი მიზნები გვაქვს, ერთნაირად ვუყურებთ სამყაროს. კარგად შეგვიძლია ერთმანეთის სტიმულირება. ჩვენ შორის მცირედი კონკურენციაც არის. მაგალითად, ვინ უკეთ აჭენებს ცხენს ან უკეთ თამაშობს მაგიდის ჩოგბურთს...

**- ქორწილის შემდეგ გვარი შეინარჩუნეთ. როგორ უყურებს ამას თქვენი რჩეული?**

- სრულიად მშვიდად. საერთოდ, ფრანგები პროგრესული ერია. ჩემი სახელი - უკვე ცნობილი ბრენდია, ამიტომაც არ ღირდა მისი შეცვლა. თუმცა ყოველდღიურ ცხოვრებაში შეგიძლიათ დამიძახოთ მარტინა იუტინი.

**- ამასწინათ საკუთარი სახლი გაყიდეთ. ქმართან გადასვლას აპირებთ?**

- არა, უახლოეს მომავალში დავიწყებთ სახლის ძებნას შვეიცარიაში. ტიბომ იცის, როგორ მიყვარს ეს ქვეყანა და სწორედ იქ მინდა ცხოვრება.

**- ტიბო თქვენზე ექვსი წლით უმცროსია. ეს არ გაწუხებთ?**

- რა თქმა უნდა, თავიდან ამაზე სერიოზულად ვფიქრობდი, მაგრამ დიდი ხანი არ მინაღვლია. ბოლო და ბოლოს, გრძნობებმა გაიმარჯვეს.

**- როგორია თქვენი ყოველდღიური ოჯახური ცხოვრება?**

- ძალიან ტრადიციული.

**- გინახავთ ტიბო მტვერსასრუტით ხელში?**

- არა (იცინის). სახლში სისუფთავის დაცვა - ჩემი საქმეა. ტიბო ამ მხრივ დედამისმა „გააფუჭა", რომელიც ბევრის უფლებას აძლევდა. ის მართლაც ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ტიბოს თავი კომფორტულად ეგრძნო.

**- დედამისთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

- ძალიან მიყვარს მასთან დროის გატარება. ერთად ავარჩიეთ საქორწინო კაბა. ცნობისთვის, ტიბო ძალიან დიდ პატივს სცემს დედას. მომწონს მათი ურთიერთობა. კარგია, როცა ორი ოჯახი გაქვს.

**- ბავშვები გეყოლებათ?**

- დიახ, მაგრამ ფეხმძიმობამდე ერთი ან ორი წელი მოცდა ვამჯობინე, რათა უფრო მეტი დრო გავატარო ტიბოსთან და სიამოვნება მივიღო ამ პერიოდით.

**- საქორწინო ლამემ როგორ ჩაიარა?**

- ამაზე ტიბოს დედამ იზრუნა. მან შეუკვეთა პარიზის ცენტრში, სასტუმრო George V-ში საპრეზიდენტო ლუქსი. იქ ყველაფერი არაჩვეულებრივად იყო მორთული.



ხელისმოწერის შემდეგ



„ახალგაზრდა" ბეკერი მეუღლესთან ერთად

# ბეკერმა სახე დაიჭიმა

ლეგენდარულმა გერმანელმა ჩოგბურთელმა **ბორის ბეკერმა** გერმანული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ გაახარგაზრდავებისთვის პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, კერძოდ, სახე დაიჭიმა. „დიდი სლემის" ტურნირების ექვსგზის ჩემპიონის თქმით, მან 43 წლის ასაკში შეამჩნია თავისი შინაგანი მდგომარეობისა და გარეგნობის შეუთავსებლობა. სწორედ ამ მიზეზით დათანხმდა პლასტიკურ ოპერაციას.

ბეკერი იმავე ინტერვიუში ბავშვების თემას შეეხო. როგორც აღმოჩნდა, ყოფილ ჩოგბურთელს უნდა კიდევ ჰყავდეს მინიმუმ ერთი შვილი. შეგახსენებთ, რომ ბორისს ამჟამინდელ მეუღლესთან - 33 წლის **ლილი კერსენბეგთან** ერთი ვაჟი ჰყავს - **ამადეუსი**.

*„ჩემი მეუღლე ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და ამადეუსი მისი პირველი ბავშვია. დარწმუნებული ვარ, კიდევ მოისურვებს არაერთი შვილის ყოლას და ამაში სრულიად ვეთანხმები",* - განუცხადა ჟურნალისტს ბეკერმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**